პრაქტიკული
მითითება №5

გენდერი და უსაფრთხოება -
პრაქტიკული მითითებების კრებული

თავისუფლების აღკვეთის ადგილები და გენდერი

ომარ ფენიქს ხანი

DCAF Geneva Centre for Security Sector Governance
OSCE ODIHR Office for Democratic Institutions and Human Rights
UN WOMEN

ავტორის შესახებ
ომარ ფენიქს ხანი გახლავთ საერთაშორისო სისხლის სამართლის კონსულტანტი, მოწვეული ლექტორი დიდ ბრიტანეთში, ლონდონის ვესტმინსტერის უნივერსიტეტში და დოქტორანტობის კანდიდატი. იგი ხელმძღვანელობდა ლონდონის ციხეებში თანასწორობისა და მრავალფეროვნების საკითხების განყოფილებას, მუშაობდა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებში როგორიცაა „ციხის საერთაშორისო რეფორმა“ (Penal Reform International, PRI), უძღვებოდა პროექტებს კენიაში, უგანდასა და ტანზანიაში ციხის ალტერნატივების საკითხებზე. ომარ ჰანი ატარებდა ტრენინგებს გაეროს სტანდარტებზე, როგორიცაა ნელსონ მანდელას და ბანგკოკის წესები. კონსულტანტის სტატუსით წარმოადგინა პროექტების შეფასებები გაეროს ბავშვთა ფონდისთვის (UNICEF), ტაილანდის სამართლის ინსტიტუტისა და დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტისთვის.

რედაქტორი
გრაციელა პავონე, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR)

მადლობა
შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრს (DCAF), ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს (OSCE/ODIHR) და გაეროს ქალთა ორგანიზაციას სურს მადლიერება გამოხატონ იმ მრავალი ადამიანის მიმართ, რომელთაც წვლილი შეიტანეს ამ პროექტში. მათ შორისაა ჟენევაში, 2018 წლის დეკემბერში გამართულ სემინარში მონაწილე პირები და ისინი, ვინც განიხილეს და თავისი მოსაზრებები მოგვაწოდეს წინამდებარე კრებულის სამუშაო ვერსიების შესახებ. ესენი გახლავთ: შერონ კრიტოფი და ნურიდინ ნურაკოვი, ბრედ ორჩარდი და გაეროს ქალთა ორგანიზაციიდან ლარა ქრისტინა უილკინსონი, მეგან ბასტიკი, ანა-ლენა შლუჰტერი, ლორეინ სერანო და გალუმ ვატსონი (DCAF). განსაკუთრებული მადლობა მარტა გიტონის (DCAF) კრებულის მომზადების დროს გაწეული კოორდინაციისთვის.
ავტორი მადლიერებით აღნიშნავს მთელი მსოფლიოს მასშტაბით იმ ექსპერტების წვლილს, რომელთაც გამონახეს დრო და მისცეს ინტერვიუ აღნიშნული კრებულისთვის, ასევე მნიშვნელოვანი და ღირებული მასალები მიაწოდეს.

შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი (DCAF) აღნიშნული კრებულის შემუშავების მხარდაჭერისათვის მადლობას უხდის შვეიცარიის, შვედეთისა და დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტს (DfID).

გამოქვეყნებულია შვეიცარიაში შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრის (DCAF) მიერ.

DCAF ჟენევა
PO Box 1360
CH-1211 ჟენევა 1
შვეიცარია

დიზაინი: ელის ლეიქ ჰამონდი (alicelh.co)

ფოტოსურათი გარეკანზე: ადამიანის უფლებათა ამერიკათშორისი კომისია ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულებას სტუმრობს ტამარაში, ჰონდურასი, 2018 წელი. © Francisco Proner/ Farpa.

© DCAF, OSCE/ODIHR, UN Women, 2019 მისასალმებელია წინამდებარე კრებულის გამოყენება, თარგმნა და გავრცელება. თუმცა, გთხოვთ, აღნიშნოთ და მიუთითოთ გამოყენებული მასალა და არ შეცვალოთ მისი შინაარსი.

წინამდებარე დოკუმენტი თავდაპირველად გამოქვეყნდა შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრის (DCAF), ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მიერ 2020 წელს ინგლისურ ენაზე შემდეგი სახელწოდებით: გენდერი და უსაფრთხოება - პრაქტიკული მითითებების კრებული (თავისუფლების აღკვეთის ადგილები და გენდერი). ამ გამოცემის ქართულენოვანი ვერსია წარმოადგენს არაოფიციალურ თარგმანს, რომელიც მომზადდა და გამოიცა გაეროს ქალთა ორგანიზაციის საქართველოს ოფისის მიერ დიდი ბრიტანეთის კონფლიქტის, სტაბილურობის და უსაფრთხოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. მისი შინაარსი შესაძლოა არ ასახავდეს OSCE/ODIHR-ის პოლიტიკას და პოზიციას. ტექსტებს შორის შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან დოკუმენტს, რომელიც ზუსტ და ოფიციალურ ვერსიას წარმოადგენს.

ციტირებისას მიუთითეთ: DCAF, OSCE/ODIHR, UN Women (2019) „თავისუფლების აღკვეთის ადგილები და გენდერი“, გენდერის და უსაფრთხოების შესახებ პრაქტიკული მითითებების კრებული, ჟენევა: DCAF, OSCE/ODIHR, UN Women.

ISBN 92-9222-502-2

გენდერი და უსაფრთხოება - პრაქტიკული მითითებების კრებული

წინამდებარე კრებული წარმოადგენს შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრის (DCAF), ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) *გენდერის და უსაფრთხოების შესახებ პრაქტიკული მითითებების კრებულის* ნაწილს, რომელიც ცხრა კრებულისა და შესაბამისი პოლიტიკის მოკლე აღწერილობების სერიე-ბისგან შედგება.

პრაქტიკული მითითებების კრებული:

1. უსაფრთხოების სექტორის მმართველობა, უსაფრთხოების სექტორის რეფორმა და გენდერი
2. პოლიციის სამსახურები და გენდერი
3. თავდაცვა და გენდერი
4. მართლმსაჯულება და გენდერი
5. თავისუფლების აღკვეთის ადგილები და გენდერი
6. საზღვრების მართვა და გენდერი
7. უსაფრთხოების სექტორსა და გენდერის საკითხებზე საპარლამენტო ზედამხედველობა
14. დაზვერვის სამსახურები და გენდერი
15. უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორში გენდერის საკითხების გათვალისწინება პროექტის შემუშავებისა და მონიტორინგის დროს

პოლიტიკის მოკლე აღწერილობები:

2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის, უსაფრთხოების სექტორისა და გენდერული თანასწორობისათვის

უსაფრთხოების სექტორის მმართველობითი მიდგომის გამოყენება ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში

გენდერი, ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენცია და ტერორიზმთან ბრძოლა

გენდერი და უსაფრთხოების დაცვის კერძო სექტორის რეგულირება

ამასთან, გენდერულ თანასწორობასთან, უსაფრთხოების და მართლმსაჯულების სექტორთან დაკავშირებული საერთაშორისო და რეგიონული კანონებისა და პრაქტიკული მითითებების კრებული ხელმისაწვდომია ინტერნეტში.

გენდერის და უსაფრთხოების შესახებ პრაქტიკული მითითებების კრებული ეფუძნება შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრის (DCAF), ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR), გაეროს ქალთა განვითარების საერთაშორისო კვლევისა და ტრენინგის ინსტიტუტის (UN-INSTRAW) დოკუმენტს *„გენდერი და უსაფრთხოების სექტორის რეფორმა - პრაქტიკული მითითებების კრებული“*, რომელიც პირველად 2008 წელს გამოქვეყნდა. წინამდებარე კრებულთან ერთად შესაძლოა გამოიყენოთ *გენდერის* და *უსაფრთხოების სექტორის* რეფორმის შემდეგი კრებულები:

8. ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება და გენდერი
9. უსაფრთხოების სექტორსა და გენდერზე სამოქალაქო საზოგადოების ზედამხედველობა
11. უსაფრთხოების სექტორის რეფორმის განსაზღვრა, მონიტორინგი, შეფასება და გენდერი
12. უსაფრთხოების სექტორში დასაქმებულთათვის გენდერის საკითხებზე ტრენინგი
13. უსაფრთხოების სექტორის რეფორმაში ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე რეზოლუციების განხორციელება

Orangez le monde
HeForShe
Orangez
freestyle
MADE IN CHINA
Tosi
NET 5KG

შინაარსი

1.მიმოხილვა.....1
1.1 რატომ გენდერი? 1
1.2 რატომ ახლა? 4
1.3 წინამდებარე პრაქტიკული მითითების სამიზნე აუდიტორია 5
1.4 წინამდებარე პრაქტიკული მითითების სტრუქტურა 5
1.5 როგორ გამოვიყენოთ წინამდებარე პრაქტიკული მითითება 6

2. რატომაა მნიშვნელოვანი გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება თავისუფლების აღკვეთის ადგილებში?.....9
2.1 არსებული პოპულაცია 9
2.2 დანაშაულის ჩადენასა და მის გამეორებამდე გავლილი გზის გენდერული ასპექტი.....10
2.3 გენდერული მეინსტრიმინგი და გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება.....10
2.4 სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა და გენდერული გამოხატვა.....12
2.5 ინტერსექციურობა.....14
2.6 გენდერი და საპატიმრო დაწესებულებების მიზნები.....15
2.7 საპატიმრო დაწესებულებების მიღმა გენდერული პერსპექტივის მქონე მიდგომის დადებითი წვლილი.....18

3. როგორი გამოიყურებიან საპატიმრო დაწესებულებები, რომლებიც ხელს უწყობენ გენდერულ თანასწორობას და გენდერულ პერსპექტივას ითვალისწინებენ? 23
3.1 ერთიანი აზრი მასზედ, რომ გენდერი მნიშვნელოვანია.....23
3.2 უსაფრთხოებაზე, პატივისცემასა და ღირსებაზე დაფუძნებული დადებითი ინსტიტუციური გარემო 23
3.3 გენდერული პერსპექტივა ინტეგრირებულია ყველა დონეზე და ყველა შესაძლო ტრენინგ პროგრამაში 24
3.4 ადამიანების სათანადო კატეგორიზაცია და უსაფრთხო სივრცეში განთავსება 25
3.5 პოლიტიკა, პრაქტიკა და პროგრამები ბავშვებთან, ოჯახის წევრებთან, მნიშვნელოვან ადამიანებთან და საზოგადოებასთან ჯანსაღი ურთიერთობების ხელშეწყობისათვის 27
3.6 სრულყოფილი, ინტეგრირებული და კულტურულად მისაღები ფიზიკური და მენტალური ჯანდაცვის შეთავაზება 28
3.7 სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის გაუმჯობესების თანაბარი შესაძლებლობა მიღწეულია გენდერული პერსპექტივის მქონე სტრატეგიებით.....28
3.8 სრულყოფილი და თანამშრომლობაზე ორიენტირებული საზოგადოებრივი მომსახურება და ზედამხედველობა 29
3.9 ზედამხედველობისა და შეფასების შიდა და გარე კონტროლის გზით, გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება 29

ფოტო: გომა, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა: ჩრდილო კივუს გენდერული თემატური ჯგუფის წევრები - გაეროს ადამიანთა უფლებების გაერთიანებული ოფისი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები - გომას ცენტრალურ ციხეში პატიმარი ქალების და არასრულწლოვანთა დაკავების ცენტრის ბავშვების მხარდასაჭერად გამართული „სოლიდარობის დღის“ განმავლობაში, 2018 წლის 8 დეკემბერი. 1516 საჩუქარი გადაეცა მათ. ხოლო 20 გაათავისუფლეს.
© MONUSCO.

4. რჩევები თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში გენდერული თანასწორობის გაუმჯობესებისთვის 31
4.1.რჩევა სახელმწიფოს/ეროვნული ჩართულობისათვის.....31
4.2 რეკომენდაციები თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებისათვის 36
4.3 რეკომენდაციები სამოქალაქო საზოგადოებისთვის 52

5. საორიენტაციო კითხვარი ინსტიტუციური თვითშეფასებისთვის 61
6. დამატებითი რესურსები 73

აბრევიატურები

APT Association for the Prevention of Torture
წამების პრევენციის ასოციაცია

CEDAW Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women
ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია

DCAF Geneva Centre for Security Sector Governance
შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრი

LGBTI lesbian, gay, bisexual, transgender and intersex
ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი (ლგბტი) ადამიანები

NGO non-governmental organization არასამთავრობო ორგანიზაცია

NPM National Preventive Mechanism პრევენციის ეროვნული მექანიზმი

ODIHR OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი

OSCE Organization for Security and Co-operation in Europe ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო)

PAHO Pan-American Health Organization პან-ამერიკული ჯანდაცვის ორგანიზაცია

PPO Prisons and Probation Ombudsman ციხისა და პრობაციის ომბუდსმენი

PRI Penal Reform International ციხის საერთაშორისო რეფორმა

SGBV sexual and gender-based violence
სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობა

UN United Nations გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

UNODC UN Office on Drugs and Crime
გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო

WRNA women’s risk need assessment
ქალთა რისკებისა და საჭიროებების შეფასება

1. მიმოხილვა

1.1 რატომ გენდერი?

როგორ წესი, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები* იქმნებოდა უსაფრთხო გარემოს შესანარჩუნებლად, კონკრეტული ინდივიდების ძირითადი საზოგადოებისაგან განცალკევების მიზნით. ადამიანის უფლებათა დაცვის, სარეაბილიტაციო ძალისხმევის გაუმჯობესების ან მენტალური ჯანმრთელობის გაძლიერების ხელშეწყობის პოლიტიკა მოგვიანებით გახდა აქტუალური. ფიზიკური ინფრასტრუქტურა, პოლიტიკა და პრაქტიკა ტრადიციულად მიიჩნევს, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებული პირები წარმოადგენენ ჰეტეროსექსუალი ზრდასრული კაცების ჰომოგენურ ჯგუფს და ძირითადად მიეკუთვნებიან იმ რეგიონში ყველაზე გავრცელებულ ეთნიკურ, კულტურულ და რელიგიურ ჯგუფებს. იქ სადაც გატარდა საკმარისი ღონისძიებები პირობების გასაუმჯობესებლად და საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, გაჩნდა დამატებითი ვარაუდი, რომ ყველას მიმართ ერთნაირად მოპყრობა თანაბრად მოპყრობას უდრის. ამასთანავე, ამჟამად უფრო გაცნობიერებულია, რომ თავისუფლებააღკვეთილ პირთა სხვადასხვა ჯგუფს აქვთ სხვადასხვა საჭიროებები, შესაბამისად საჭიროა მართლმსაჯულების რეფორმა, რათა უზრუნველყოფილ იქნას ყველა ადამიანის ღირსება და პატივი.†

მიუხედავად იმისა რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში შეიქმნა სპეციალური პირობები გოგოებისა და ქალებისთვის, ის მაინც კაცზე ორიენტირებულ ჩარჩოებში ექცევა და არ ნერგავს გენდერულ კონცეფციებს, რომელიც არამარტო ზრდასრული კაცის, არამედ კონკრეტული ჯგუფის სპეციფიკურ საჭიროებებსაც გამოკვეთდა და ასევე შეცვლიდა კაცებთან მუშაობის გზებსაც. კაცების მიერ დომინირებული სივრცეები, ტრადიციულ მართლმსაჯულების ინსტიტუტებში, ხშირად ხელს უწყობს მასკულინობის ვიწრო აღქმას, რაც ბევრი მათგანისათვის აძლიერებს ძალადობასა და იზოლაციას. ასეთ გარემოში მყოფი კაცები და ბიჭები, რომელებიც არ აიგივებენ ან ემორჩილებიან მასკულინობის კულტურულად მიღებულ „მაჩო“ წარმოდგენას, ხშირად ექვემდებარებიან ძალადობას.

ამასთანავე, გაზრდილია ცნობიერება, რომ საჭიროა სპეციალური პოლიტიკისა და პრაქტიკების შემუშავება, რათა შენარჩუნდეს ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსი (ლგბტი) პატიმრებისა და დაკავებულების უსაფრთხოება, ღირსება და თანაბარი მონაწილეობა.

მუშაობა ქალებთან და გოგოებთან

გენდერული უთანასწორობის გამო ქალები და გოგოები წარმოადგენენ მოწყვლად ჯგუფს არამარტო ციხეებში, არამედ ციხის გარეთაც. თუმცა, სხვადასხვა ქვეყანაში

* ეს ინსტრუმენტი იყენებს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმის განმარტებას, მუხლი 4: „თავისუფლების აღკვეთა ნიშნავს ნებისმიერი ფორმით დაკავებას ან დაპატიმრებას, ან პირის მოთავსებას საერთო ან ცალკე იზოლატორში, რომლის დატოვებაც პირს არ შეუძლია სასამართლო, ადმინისტრაციული ან სხვა ორგანოს ბრძანების გარეშე“.

† გენდერისა და მართლმსაჯულების შესახებ ფართო დისკუსიისათვის იხ. პრაქტიკული მითითება 4.

ფოტო: ადგილობრივი კომისიის მიერ საპატიმროების მონიტორინგი #13 პენიტენციურ დაწესებულებაში სასწავლო ვიზიტის დროს, კიშინიოვი, მოლდოვა, 2013, © OSCE.

არსებული განსხვავებული მოწყვლადობის მწვავე მიზეზებისა და შესაბამისი საჭიროებების მიუხედავად, რამდენიმე ფაქტორი საერთოა, მათ შორისაა:

- კაცებისა და ბიჭებისგან განსხვავებით, ბევრ ქვეყანაში მართლმსაჯულებაზე, ისევე როგორც განათლებასა და შრომით შესაძლებლობებზე, თანაბარი ხელმისაწვდომობის სირთულე
- პატიმრობამდე სექსუალური ან ფიზიკური ძალადობის და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის გამო არაპროპორციულად მაღალი ვიქტიმიზაციის დონე
- ხშირად სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის შედეგად, მენტალური ჯანმრთელობის საჭიროებების მაღალი მაჩვენებელი*
- ალკოჰოლზე ან ნარკოტიკზე დამოკიდებულების მაღალი მაჩვენებელი
- პატიმრობით გამოწვეული განსაკუთრებული სტრესი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ან გაამძაფროს უკვე არსებული მენტალური ჯანმრთელობის პრობლემები
- სექსუალური შევიწროვება და ძალადობა ციხეში
- ბავშვებზე და სხვებზე ზრუნვის პასუხისმგებლობის მაღალი ალბათობა
- გენდერულად-სპეციფიკური ჯანდაცვის საჭიროებები, რომელთა უზრუნველყოფაც სათანადოდ ვერ ხდება
- ოჯახების მხრიდან სტიგმატიზაცია, იზოლაცია და მიტოვება, გათავისუფლების შემდეგაც.

მუშაობა კაცებთან და ბიჭებთან

მთელი მსოფლიოს მასშტაბით თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების უმრავლესობას კაცები წარმოადგენენ. მიიჩნეოდა, რომ აშენებულ დაწესებულებებში განათავსებდნენ კაცებს, თუმცა, მიუხედავად ამისა, არავის არ შეუსწავლია და მხედველობაში არ მიუღია ის გენდერული გზები, რომლებმაც მიიყვანეს კაცები და ბიჭები ციხეში; არავის არ გაუთვალისწინებია კაცების გენდერული საჭიროებები (მეტი ინფორმაციისთვის იხ. ნაწილი 2.2 „გენდერული გზები“). მაგალითად, ზოგადად, ციხის რეჟიმები უარყოფითია თავისი ბუნებით, თანამშრომლებს განაწყობენ პატიმრების წინააღმდეგ, რამაც შეიძლება გაამწვავოს პრობლემები ხელმძღვანელობასთან და ხელი შეუწყოს აგრესიული მასკულინობის ვიწრო გამოვლინებებს.

ასევე, როგორც წესი, არ გამოიყენება არანაირი საშულება, რაც ხელს შეუწყობდა მამებისა და შვილების დადებითი ურთიერთობის შენარჩუნებას, თუმცა, რა თქმა უნდა არსებობს გამონაკლისებიც.

მიზეზები ბიჭებისა და კაცების გენდერული მოთხოვნებისა და საჭიროებების შესახებ დასაფიქრებლად მოიცავს შემდეგს:

- კაცებთან და ბიჭებთან მუშაობა, რათა შემცირდეს და აღმოიფხვრას სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობა მთელ საზოგადოებაში; ასეთ ქმედებებს უმეტესწილად კაცები და ბიჭები სჩადიან, თუმცა არა ყველა შემთხვევაში
- აღიარება იმისა, რომ კაცები და ბიჭებიც განიცდიან სექსუალურ და ფიზიკურ ძალადობას თავისუფლების აღკვეთამდე და შემდეგაც.
- ფოკუსირება კაცებზე, როგორც მამებზე და მათი დადებითად ჩართვა თავიანთი შვილების ცხოვრებაში.
- მასკულინობის მრავალფეროვნების შესწავლა, მისი გამოხატვის ხელშეწყობა და იდენტიფიცირება უზრუნველყოფს მასკულინობის გავრცელებული სტერეოტიპული, პრევალენტური და ვიწრო წარმოდგენების ალტერნატივების უზრუნველსაყოფად.
- იმ გენდერული ზეწოლისა და პასუხისმგებლობების გაცნობიერება, რომლებიც გავლენას ახდენენ კაცებისა და ბიჭების ეფექტურ რეაბილიტაციაზე.

* ამ პრაქტიკული კრებულის მიზნებისათვის ფრაზა „სექსუალური და გენდერული niSniT ძალადობა“ (SGBV) გამოყენებულია ყველა იმ საზიანო ქმედების აღსანიშნავად, რომელიც ადამიანს მიაყენეს მისი გენდერული კუთვნილების მიმართ ნორმატიული დაშვებების გამო. „სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობა“ არის საერთო ტერმინი ყველა საზიანო ქმედების აღსანიშნავად, რომელიც ჩადენილია პირის ნების წინააღმდეგ და ეფუძნება ქალებსა და კაცებს შორის (გენდერულ) სხვაობებზე შედგენილ სოციალურ კონსტრუქციებს. სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის შინაარსი და კონკრეტული ტიპების მასშტაბი განსხვავდება სხვადასხვა კულტურაში, ქვეყნასა და რეგიონში. მაგალითები მოიცავს სექსუალურ ძალადობას, მათ შორის, სექსუალურ ექსპლუატაციას/ძალადობას და სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგს, ოჯახში ძალადობას, იძულებით/ადრეულ ქორწინებას, სხვადასხვა საზიანო ტრადიციულ პრაქტიკას, როგორიცაა ქალთა გენიტალიების დასახიჩრება, ღირსების მკვლელობებს, ლევირატს და ჰომოფობიურ და ტრანსფობიურ ძალადობას.
იხ: UN Women (2019) „გენდერული თანასწორობის კითხვარი“, trainingcentre.unwomen.org/mod/glossary/view.php?id=36 (27.03.20); გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი (2011), „დისკრიმინაციული კანონები და პრაქტიკა და ძალადობის აქტები პირთა წინააღმდეგ მათი სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის გამო“, UN Doc. A/HRC/19/41, 17 ნოემბერი, მუხლი. 20.

მუშაობა ტრანსგენდერ ადამიანებთან

ძალიან ცოტა კვლევა არსებობს ტრანსგენდერ, გენდერულად ცვალებად და გენდერულად არაკონფორმულ თემთან დაკავშირებით თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. ზოგიერთ ქვეყანაში კანონი ოფიციალურად აღიარებს მესამე სქესს, ხოლო სხვა ქვეყნებში ეს კონცეფცია ტაბუდადებულია. სულ უფრო ცხადი ხდება, რომ სახელმწიფო მართლმსაჯულების სისტემებმა უნდა გააუმჯობესონ ამ თემთან დაკავშირებული პროცესები და პოლიტიკა, რათა უზრუნველყონ მათი უსაფრთხოების, ღირსებისა და თანასწორობის შესაძლებლობა.

კონკრეტულად ტრანსგენდერ ადამიანებთან მუშაობისთვის გენდერული კონცეფციის გამოყენების მიზეზები მოიცავს შემდეგს:

- გენდერულად სპეციფიკური საჭიროებები ხშირად არასათანადოდ არის დაკმაყოფილებული, როდესაც ტრანსგენდერ პირებს ინსტიტუციებში ათავსებენ დაბადებისას მინიჭებული სქესის მიხედვით და არა იმ გენდერის მიხედვით, რომელთანაც თავს აიგივებენ
- სხვებთან და განსაკუთრებით კაცებთან შედარებით, ბევრ ქვეყანაში ტრანსგენდერი ადამიანების წინაშე არსებული მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის სირთულეები
- ტრანსგენდერი კაცისა და ტრანსგენდერი ქალის, ასევე გენდერულად ცვალებადი და გენდერულად არაკონფორმული ადამიანების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინების აუცილებლობა მართლმსაჯულების სისტემის შიგნით
- ვერბალური, ემოციური და ფიზიკური ძალადობის არაპროპორციულად მაღალი დონე პატიმრობამდე და მის შემდეგ
- გარეშე მიზეზებთან დაკავშირებული მენტალური ჯანმრთელობის საჭიროებების მაღალი დონე. ბევრი ტრანსგენდერი ადამიანი განიცდის ან განუცდია გენდერული დისფორია, ხოლო პატიმრობისას მიღებულმა უკიდურესმა სტრესმა შეიძლება მენტალური ჯანმრთელობის პრობლემები გამოიწვიოს ან გაამწვავოს უკვე არსებული მენტალური შეზღუდვები
- თვითმკვლელობისა და თვითდაზიანების მაღალი მაჩვენებელი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში
- აივ და სხვა სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები
- ნარკოტიკული ნივთიერებების და ალკოჰოლის მოხმარების მაღალი მაჩვენებელი
- სხეულის მოდიფიკაციის მიზნით თვითნებურად მიღებული ნივთიერებების უარყოფითი შედეგები და არასწორად შესრულებული სქესის შეცვლის ინტერვენციით გამოწვეული გართულებები
- შესაბამის ჰორმონალურ მკურნალობაზე ხელმისაწვდომობის სირთულეები
- სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხები
- ოჯახების მხრიდან სტიგმატიზაცია, იზოლაცია და მიტოვება, გათავისუფლების შემდეგაც[1]

მუშაობა ბავშვებთან და ახალგაზრდებთან

ზემოაღნიშნული პუნქტები შეიძლება ასევე ეხებოდეს თავისუფლებააღკვეთილ ბავშვებს, მოზარდებსა და ახალგაზრდებს, თუმცა შეიძლება არსებობდეს ასაკთან დაკავშირებული სხვა გენდერული ასპექტები.

- იმის გამო რომ მოზარდობა გულისხმობს სწრაფ ცვლილებებსა და ზრდას, 12 წლის თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს შესაძლოა, ჰქონდეს ძალიან განსხვავებული საჭიროებები ვიდრე 17 წლის ასაკში დაკავებულ პირს
- ასაკი და საზღვრები, რომელიც ასხვავებს ბავშვობას ან მოზარდობასა და ზრდასრულობას ერთმანეთისაგან სხვადასხვა კულტურებში სხვადასხვანაირად არის აღქმული. როგორც წესი, საზღვარი არის საკმაოდ სპეციფიკური ასაკი, მაგალითად 18 წელი. რაც ნიშნავს, რომ ახალგაზრდა ადამიანი, შესა-

ძლებელია უეცრად გადაიყვანონ ზრდასრულთა ინსტიტუციაში, თუმცა კვლავაც ესაჭიროებოდეს დახმარება, რომელსაც უწევდნენ არასრულწლოვანთა დაწესებულებაში
- გარდატეხის ასაკში განვითარებასა და სქესობრივი სიმწიფის შესახებ განათლება უნდა მიეწოდოს საჭიროების შემთხვევაში, სანიტარული პროდუქტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სექსუალური ჯანმრთელობის შესახებ რეკომენდაციებთან ერთად
- ხშირ შემთხვევაში, გოგოები უფრო მეტ სირთულეს აწყდებიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით; შესაბამისად, განათლება მათთვისაც, ბიჭების მსგავსად, თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა გახდეს
- ახალგაზრდებმა შეიძლება განიცადონ წნეხი და იძულება უფრო გამოცდილი დაკავებულების მხრიდან
- განსაკუთრებული მხარდაჭერა შეიძლება დასჭირდეთ ახალგაზრდა ლგბტი ადამიანებს, რომლებმაც შეიძლება, განიცადონ დამატებითი სტიგმა და შიში, თავიანთი სექსუალური ორიენტაციის გენდერული იდენტობის გამოვლენის გამო.

1.2 რატომ ახლა?

ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ჟენევის ცენტრის (DCAF), ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) და გაეროს ქალთა განვითარების საერთაშორისო კვლევისა და ტრენინგის ინსტიტუტის (UN-INSTRAW) მიერ შემუშავებული დოკუმენტი - გენდერი და უსაფრთხოების სექტორის რეფორმა - პრაქტიკული მითითებების კრებული გამოქვეყნდა. ათი წელი საკმარისი დროა იმისათვის, რომ გავიაზროთ გენდერული თანასწორობის კუთხით მიღწეული წარმატებები და მუდმივი გამოწვევები, ახალი და განვითარებადი პრაქტიკები.

გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით მრავალი მნიშვნელოვანი ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობაა მიღებული, ისევე როგორც გაეროს საკვანძო სტანდარტები კონკრეტული დირექტივებით თავისუფლების აღკვეთის ადგილებისათვის. მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი მოცემულია ქვემოთ.

- *გაეროს წესები ქალ პატიმართა მოპყრობის შესახებ და არასაპატიმრო ღონისძიებები ქალი დამნაშავეებისათვის (ბანგკოკის წესები).* დოკუმენტი მიიღო გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2010 წლის დეკემბერში, ბანგკოკის წესები შეიქმნა მკაფიო განზრახვით, შეავსოს სტანდარტების არარსებობა, რომელიც გულისხმობს ქალი დამნაშავეებისა და პატიმრების სპეციფიკური მახასიათებლებისა და საჭიროებების უზრუნველყოფას.
  70 წესი აძლევს მითითებებს პოლიტიკის შემქმნელებს, კანონმდებლებს, სასამართლოებსა და ციხის პერსონალს, შეამცირონ ქალთა პატიმრობა, ხოლო დაპატიმრების შემთხვევაში დააკმაყოფილონ ქალთა სპეციფიკური საჭიროებები. წესები მოიცავს მიღების პროცედურებს, ჯანდაცვას, ადამიანურ მოპყრობას, ჩხრეკის პროცესსა და დედებთან ერთად საპატიმროში მყოფი ბავშვების მიმართ მოპყრობას*.
- *გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმართა მოპყრობის შესახებ.* პატიმართა მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები გამოიცა 1957 წელს, მაგრამ ადამიანთა უფლებებისა და სისხლის სამართლის სფეროებში ძირითადი მოვლენების გათვალისწინებით, 2015 წელს ისინი გადაიხედა და გამოიცა როგორც ნელსონ მანდელას წესები (შემდგომში - მანდელას წესები).
  მანდელას წესები სახელმწიფოების მიერ ხშირად მიიჩნევა პატიმართა მოპყრობასთან დაკავშირებული სტანდარტების პირველწყაროდ, და წარმოადგენს საკვანძო ჩარჩოს, რომელიც გამოიყენება მონიტორინგისა და შემოწმების მექანიზმების მიერ პატიმართა მოპყრობის შეფასებისათვის**.

* ბანგკოკის წესების სრული ტექსტის ხილვა შეგიძლიათ გაეროს გენერალური ასამბლეის (2010) „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები ქალ პატიმართა მოპყრობის შესახებ და არასაპატიმრო ღონისძიებები ქალი დამნაშავეებისათვის“ UN Doc. A/65/229, 21 დეკემბერი.

** მანდელას წესების სრული ტექსტი შეგიძლიათ იხილოთ გაეროს გენერალური ასამბლეის (2015) „გაერთიანებული ერების სტანდარტული მინიმალური წესები პატიმართა მოპყრობის შესახებ“ ვენა: UNODC.

უფრო დეტალური მითითებები მანდელას წესების დანერგვის შესახებ მოცემულია ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) და ციხის საერთაშორისო რეფორმის (PRI) „სახელმძღვანელო დოკუმენტი ნელსონ მანდელას წესების შესახებ: გაეროს განახლებული სტანდარტული მინიმალური წესები პატიმართა მოპყრობის შესახებ“ (2018).

აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის შემდგომ, მთელი მსოფლიოს მასშტაბით სახელმწიფოებმა, ინსტიტუციებმა და სამოქალაქო საზოგადოებამ შეძლეს მათი ინტერპრეტაცია და პრაქტიკაში დანერგვა. ეს კრებული ასახავს პროგრესის ზოგიერთ ნაწილს და გვთავაზობს სამომავლო ხედვას.

1.3 წინამდებარე პრაქტიკული მითითების სამიზნე აუდიტორია

ეს კრებული შექმნილია ყველა იმ ინსტიტუტისთვის, რომელიც მუშაობს თავისუფლებააღკვეთილ ადამიანებთან. ესენი არიან პოლიტიკის შემქმნელები, კანონმდებლები, დაწესებულებების ხელმძღვანელები, წინა ხაზის თანამშრომლები, არასამთავრობო ორგანიზაცის წევრები და სხვები.

წინამდებარე კრებულში ყურადღება გამახვილებულია თავისუფლების აღკვეთაზე სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, თუმცა აქ წარმოდგენილი შინაარსის ნაწილი, შეიძლება, ეხებოდეს თავისუფლების აღკვეთის სხვა გარემოებებსაც როგორიცაა, მაგალითად ადმინისტრაციული დაკავება, სამხედრო დაკავების იზოლატორები, საიმიგრაციო ცენტრები და ლტოლვილთა ბანაკები.

1.4 წინამდებარე პრაქტიკული მითითების სტრუქტურა

მე-2 ნაწილში დეტალურად არის განხილული გენდერული პერსპექტივის ინტეგრირების მნიშვნელობა თავისუფლების აღკვეთს ადგილებში. ეს ნაწილი იწყება საკითხთან დაკავშირებული საკვანძო განმარტებებით და განიხილავს გენდერის არაბინარულ ცნებებსა და ინტერსექციურობის აღქმას. დაბოლოს, ეს ნაწილი ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ შეიძლება დაეხმაროს გენდერული კონცეფციის დანერგვა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებს მიზნების მიღწევაში და რა დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია მას დაწესებულებების გარეთ.

მე-3 ნაწილში კი წარმოდგენილია ხედვა თუ როგორი იქნებოდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები, თუ ისინი დანერგავდნენ გენდერულ კონცეფციებს თავიანთ პოლიტიკასა და პრაქტიკაში. აღწერილია ცხრა ძირითადი მახასიათებელი. ეს ნაწილი შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ცვლილებების განხორციელების შთაგონების წყარო თავისუფლების აღკვეთის ადგილებში.

მე-4 ნაწილი გვთავაზობს კონკრეტულ ნაბიჯებს, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში გენდერული პერსპექტივების ეფექტურად ინტეგრირების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ არცერთ ქვეყანას არ აქვს სრულად ინტეგრირებული გენდერული პერსპექტივები თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, მსოფლიოს მასშტაბით იზრდება დადებითი მაგალითების რიცხვი.

რეკომენდაციები შედგენილია იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს ქმედებას სამ ძირითად დონეზე.

1) *ეროვნული/სახელმწიფო დონის პოლიტიკის შემქმნელები:* პოლიტიკური დღის წესრიგის შემქმნელები და რეფორმატორები.
2) *დაწესებულების საქმიანობა და ხელმძღვანელობა:* პირდაპირი რეფორმების განმახორციელებლები თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში.
3) *სამოქალაქო საზოგადოება:* ამ ჯგუფთან პარტნიორობა მნიშვნელოვანი ფაქტორია გრძელვადიანი და მდგრადი რეფორმის განსახორციელებლად.

მოყვანილია მოწინავე პრაქტიკის მაგალითები მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რომელიც მოიცავს ჩრდილოეთით და სამხრეთით გლობალურ კონტექსტს; ასევე მოყვანილია იმ ქვეყნების მაგალითები, რომელთაც გააჩნიათ მსხვილი თუ მწირი რესურსები; აღწერილია კონტექსტი, სადაც სახელმწიფო სრულად აკონტროლებს

მართლმსაჯულების სისტემას, ასევე ქვეყნები, სადაც ნაწილობრივ კონტროლდება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები; მაგალითად, კონფლიქტურ ან პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში.

მე-5 ნაწილში მოცემულია იმ საკითხების ჩამონათვალი, რომელიც შეიძლება დანერგონ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებმა ან მონიტორინგის ორგანოებმა გენდერული კონცეფციების ინტეგრირების შესაფასებლად.

მე-6 ნაწილში მითითებულია სხვა სასარგებლო წყაროები.

1.5 როგორ გამოვიყენოთ წინამდებარე პრაქტიკული მითითება

მაგალითები არაა მოყვანილი პირდაპირი დუბლირების მიზნით. სასურველია შესაძლებლობებზე დაფიქრება და კონკრეტული საკითხების სხვადასხვა კონტექსტში შესაბამის დანერგვაზე გადაწყვეტილებების მიღება. ყველა ქვეყანას ისევე, როგორც ქვეყნის შიგნით არსებულ რეგიონს, განსხვავებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კონტექსტი აქვს, ასე რომ, ნებისმიერი აქ წარმოდგენილი მაგალითი შეიძლება განხილული იქნას როგორც ამ კონკრეტულ ქვეყანაში მისაღები და ეფექტური ძალისხმევა და არა უნივერსალურად ეფექტური ღონისძიება.

მკითხველები, რომლებიც აპირებენ გენდერული კონცეფციის მეინსტრიმინგს საკუთარ პირობებში, უნდა დაფიქრდნენ ადგილობრივ კონტექსტზე, გამოიყენონ და მოარგონ რეკომენდაციები ქვეყნის სიტუაციას, რომელიც განსაზღვრულია ადგილობრივ დონეზე ჩატარებული კვლევებითა და ფაქტებით. რეკომენდებულია დისკუსია გაიმართოს იმ თემის წარმომადგენლებთან, რომლებიც წარმოადგენენ რეფორმის განხორციელების მიზნობრივ აუდიტორიას. ასევე მნიშვნელოვანია თქვენ ინტერესთა ჯგუფთან დაკავშირებული, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მიღებული გენდერული გამოცდილების მქონე პირებთან გასაუბრება. განხორციელებული პოლიტიკის და პროცესის შეფასება ხელს შეუწყობს რეფორმის მდგრადი შედეგების მიღწევას.

1. პან-ამერიკული ჯანდაცვის ორგანიზაციის, John Snow Inc. და მსოფლიო პროფესიული ასოციაცია ტრანსგენდერული ჯანმრთელობა (2014) „ტრანსგენდერ პირებსა და მათ თემებზე კომპლექსური ზრუნვის გეგმა, კარიბის ზღვის და სხვა ინგლისურენოვან ქვეყნებში“, არლინგტონი, VA: John Snow Inc, გვ. 88.

2. რატომაა მნიშვნელოვანი გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება თავისუფლების აღკვეთის ადგილებში?

ამ ნაწილში საუბარია ციხის პოპულაციის ცვლილების არსებულ კონტექსტსა და გენდერისთვის დამახასიათებელ ზოგიერთ მთავარ ტერმინზე. მეორე ნაწილში, 2.6 ნაწილიდან, აქცენტი კეთდება გენდერული პერსპექტივის ინტეგრირების საჭიროებასა და მნიშვნელობაზე თავისუფლების აღკვეთის ადგილებში (შემდგომში, საპატიმროები).

2.1 არსებული პოპულაცია

გლობალურად, ციხის პოპულაციის 93.1% კაცია, ასევე გლობალურად ციხის ინფრასტრუქტურა, პროგრამები და ფილოსოფია პრაქტიკულად ექსკლუზიურად ამ ჯგუფზე გათვლითა და მისი გათვალისწინებით განვითარდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად ქალთა პოპულაცია უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე კაცთა: როგორც ხედავთ, გრაფიკი 1 გვიჩვენებს, რომ 2000 წლიდან ქალთა და გოგოთა ციხის პოპულაცია გაიზარდა თითქმის 53%-ით, 466 000-დან და დღეს 714 000 -ზე მეტს შეადგენს[1]

* ინფორმაციისთვის თუ როგორ შემცირდეს ციხის ქალთა პოპულაცია კანონმდებლობისა და პრაქტიკის რეფორმირებით, იხ. UNODC-ის (2014) სახელმძღვანელო ქალებსა და პატიმრობაზე; ვენა: ნარკოტიკებისა და დანაშაულის გაეროს ოფისი, გვ. 103-128 ინფორმაციისათვის სხვადასხვა რეგიონების პატიმარ ქალთა მახასიათებლებისათვის, იხილეთ PRI-ის სერიები „ვინ არიან ქალი პატიმრები?“

გრაფიკი 1: ქალთა ციხის პოპულაციის ზრდა



ციხეში ქალთა პოპულაციის ზრდასთან ერთად საჭირო გახდა იმის გააზრებაც, რომ გაცილებით მეტი ასპექტი და ქალთა და გოგოთა საჭიროებაა გასათვალისწინებელი, რასაც არ ითვალისწინებს არსებული ზოგადი სისტემა, რომელშიც აღმოჩნდება ხოლმე ბევრი ქალი*

ფოტო: ბავშვები უზიარებენ ერთმანეთს სკოლის ნივთებს, რომლებიც გადაეცათ საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში მხარდაჭერის ძალების მიერ, ქაბულის ქალთა ციხე და დაკავების ცენტრი, ავღანეთი, 2011, © U.S. Air Force/Sgt. Nestor Cruz. (აშშ-ის საჰაერო ძალები/ სერჟ. ნესტორ კრუზი)

2.2 დანაშაულის ჩადენასა და მის გამეორებამდე გავლილი გზის გენდერული ასპექტი

კვლევა, რომელიც ცნობილია როგორც „გავლილი გზის პერსპექტივა“ (pathways perspective), უჩვენებს, რომ ქალთა დანაშაულსა და რეციდივამდე მიმავალი გზა განსხვავდება კაცების მიერ გავლილი გზისგან; ამიტომ ეს „გზები“ გენდერის პერსპექტივიდან განიხილება[2]. მოცემული კონცეფცია გვეუბნება, რომ არსებობს ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტები, რომელიც მხოლოდ ქალებისთვისაა დამახასიათებელი. მნიშვნელოვანია, მიეთითოს ქალთა და კაცთა განსხვავებულ გზებზე, რათა საპატიმროები უკეთ გაერკვნენ ციხის პოპულაციის საჭიროებებში და დაეხმარონ მათ დანაშაულის გამეორების თავიდან აცილებაში.

ამ სფეროს კვლევები ძირითადად ჩატარებულია ჩრდილოეთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში და ისინი უჩვენებს, რომ „დანაშაულებრივ ქმედებებში ჩართულ ქალებს აქვთ გავლილი ფიზიკური და სექსუალური ძალადობით, სიღარიბითა და ნარკოტიკებით სავსე ცხოვრება“[3]. სხვა კვლევები მიუთითებს, რომ „კაცთა ცხოვრება და გამოცდილება განპირობებულია კაცობის მოლოდინებით (ანუ, ფიზიკურად ძლიერი, დომინირებული, ოჯახის მარჩენალი), რაც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს მათ დანაშაულისკენ მიმავალ გზაზე.[4]

სავარაუდოდ, დანაშაულისკენ ან რეციდივისკენ მიმავალ გზას სხვადასხვა გენდერული გამოცდილებით ყველა ქვეყანა და მისი სხვადასხვა მაცხოვრებლები გადის; მაშასადამე, საჭიროა ადგილობრივი კვლევების ჩატარება ადგილობრივ კონტექსტში უკეთ გასარკვევად[†].

ზოგადად რომ ვთქვათ, დადგენილია, რომ გლობალურად, პატიმარი ქალები უფრო მეტად შესაძლოა გახდნენ:

- სექსუალური და გენდერული ძალადობისგან, ინტიმური პარტნიორის და ოჯახში ძალადობის ჩათვლით, გადარჩენილები
- მცირეწლოვან ბავშვებზე ერთადერთი მზრუნველი
- მენტალური პრობლემების მქონე[5]

არა-ბინარული გენდერული იდენტობანი*

მოცემული პრაქტიკული მითითება ძირითად აქცენტს აკეთებს გენდერის ბინარულ გაგებაზე, სადაც ადამიანები განისაზღვრებიან როგორც ქალები ან კაცები. პრაქტიკულად მთელ მსოფლიოში ადამიანები ასე არიან რეგისტრირებული სამართლებრივ დაწესებულებებში. თუმცა, ვინაიდან გენდერი სოციალური კონსტრუქციაა, არიან პირები, ვინც არ მიაკუთვნებენ თავს იმ ნორმატიულ გენდერს, რომელიც მათ დაბადებისთანავე მიენიჭათ. ასევე არსებობენ პირები, რომლებიც არ აღიქვამენ საკუთარ თავს ქალისა თუ კაცის ნორმატიული გენდერის კონცეფციების დადგენილ ფარგლებში.

მოცემული კრებული, მაშასადამე, გამოყოფს მოწინავე პრაქტიკის მაგალითებს, რომელიც ითვალისწინებს პირთა სექსუალურ ორიენტაციას, გენდერულ იდენტობასა და გამოხატვას, და მოუწოდებს პოლიტიკის შემქმნელებსა და პრაქტიკოსებს გაითვალისწინონ გენდერის არა-ბინარული ცნებები პოლიტიკისა და ყოველდღიური პრაქტიკის შემუშავებასა და დანერგვაში.

2.3 გენდერული მეინსტრიმინგი და გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება

გენდერული მეინსტრიმინგი (ან „გენდერული პერსპექტივის მეინსტრიმინგი“) განისაზღვრა გაერთიანებული ერების მიერ 1972 წელს როგორც:

† ინფორმაციისათვის სხვადასხვა რეგიონების პატიმარ ქალთა მახასიათებლებისათვის, იხილეთ PRI-ის სერიები „ვინ არიან ქალი პატიმრები?“

*მოცემული გენდერული კონცეფციების დეტალური მსჯელობისათვის, იხ. პრაქტიკული მითითება 1 „უსაფრთხოების სექტორის მართვა, უსაფრთხოების სექტორის რეფორმა და გენდერი“.

...ქალებზე და კაცებზე დაგეგმილი ნებისმიერი საქმიანობის, მათ შორის, კანონმდებლობის, პოლიტიკის ან ნებისმიერი სხვა სფეროს და ყველა დონის პროგრამების ზეგავლენის შეფასების პროცესი. ეს არის სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში პოლიტიკისა და პროგრამების შედგენის, იმპლემენტაციის, მონიტორინგის და შეფასების პროცესებში ქალებისა და კაცების ინტერესებისა და გამოცდილების ასახვას. ამის შედეგად, ქალები და კაცები თანაბრად იღებენ სარგებელს. გენდერული მეინსტრიმინგის საბოლოო მიზანს გენდერული თანასწორობის მიღწევა წარმოადგენს[6].

ამდენად, გენდერული მეინსტრიმინგი შეიძლება, გაგებულ იქნას, როგორც პოლიტიკის შექმნისა და განხორციელებისათვის საჭირო შემუშავების, შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესი, რა დროსაც გათვალისწინებულია ყველა გენდერული ასპექტს.

ცხრილი 2: ძირითადი განსხვავებები: გენდერულად ნეიტრალური და გენდერზე ორიენტირებული მიდგომები



მოცემული პრაქტიკული მითითება იყენებს მსგავს და ამავე დროს, უფრო ინკლუზიურ „გენდერული პერსპექტივის ინტეგრირების“ კონცეფციას. *გენდერული პერსპექტივა* წარმოადგენს ერთგვარ ხედვას და ანალიზს, რომელიც სწავლობს გენდერის ზეგავლენას ადამიანთა შესაძლებლობებზე, სოციალურ როლებსა და ურთიერთქმედებაზე. ასეთი ხედვის მქონე ხერხი იძლევა გენდერული ანალიზის ჩატარების და, შედეგად, გენდერული პერსპექტივის პროგრამებში, პოლიტიკასა თუ ორგანიზაციაში თანაბრად გათვალისწინების საშუალებას[7]. გენდერული ასპექტების ინტეგრირება, აუცილებელია ხორციელდებოდეს გენდერული თანასწორობისთვის გამიზნული ქმედებების შესრულების პარალელურად.

უნდა ვუფრთხილდეთ იმ ვარაუდს, რომლის მიხედვითაც, თუ გენდერის მიუხედავად ყველას ერთნაირად ეპყრობიან, მაშასადამე, მათ თანაბრად ეპყრობიან. მსგავსი „გენდერულად ნეიტრალური“ მიდგომა შეგხვდებათ ისეთ პოლიტიკასა და პროცედურებში, სადაც გენდერი არ არის ნახსენები და იგნორირებულია. შედეგად, ჩნდება ქალი-დამნაშავეების არა თანაბრად, არამედ ერთნაირად (კაცების მსგავსად) მოპყრობის ტენდენცია[8].

თუმცა, განსხვავებული საჭიროებების მქონე ჯგუფების მიმართ სხვადასხვა მიდგომებია გამოსაყენებელი რესურსების და შესაძლებლობების თანასწორად გამოყენების მისაღწევად. გრაფიკი 2 აღწერს ძირითად განსხვავებებს გენდერულად ნეიტრალურ და გენდერზე ორიენტირებულ მიდგომებს შორის; ასეთ მიდგომას ასევე უწოდებენ - გენდერულად ინკლუზიურს, გენდერზე ორიენტირებულს ან გენდერულად სენსიტიურს.

კვლევა აჩვენებს, რომ გენდერზე ორიენტირებული ქმედებები უფრო ეფექტიანია (იხ. ჩანართი 1).

ჩანართი 1: აშშ-ს კვლევა გენდერულად ნეიტრალური და გენდერზე ორიენტირებული ქმედებების შედარების შესახებ

აშშ-ს მკვლევარებმა გააანალიზეს სხვადასხვა კვლევებისა და გამოკითხვების შედეგები, რომელიც მიზნად ისახავდა ბრალდებულ ქალებზე გამიზნული ქმედებების ეფექტიანობის შეფასებას რეციდივიზმის შემცირების თვალსაზრისით; ასევე, იგი მიზნად ისახავდა გენდერულად ნეიტრალური და გენდერულად სენსიტიური მიდგომების ეფექტიანობის შედარებას. შედეგებმა, რომელიც ასახავს თითქმის 22 000 ქალის გამოცდილებას, აჩვენა, რომ ქალებს, რომლებიც მონაწილეობდნენ გამოსასწორებელ (სასჯელაღსრულებით)ინტერვენციებში, საზოგადოებაში წარმატების მიღწევის მეტი შანსი ჰქონდათ, ვიდრე ქალებს, რომლებიც ასეთ საქმიანობაში არ მონაწილეობდნენ. მაღალი რანგის კვლევები გვიჩვენებს, რომ გენდერულად სენსიტიური ინტერვენციები, მეტად შესაძლებელია ასოცირდებოდეს რეციდივიზმის შემცირებასთან.

წყარო: რ. გობილი, კ. ბლანშეტი და ლ. სტიუარტი (2016) „ბრალდებულ ქალთა სასჯელაღსრულებითი ინტერვენციების მეტა-ანალიტიკური შეფასება: გენდერულად ნეიტრალური და გენდერულად სენსიტიური მიდგომები“, სისხლის სამართალი და ქცევა; 43, გვ. 301-322.

2.4 სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა და გენდერული გამოხატვა

ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალი ადგენს, რომ ადამიანები უნდა იყვნენ დაცული დისკრიმინაციისა და ძალადობისაგან მათი სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა თუ გამოხატვის მიუხედავად[9]. თუმცა, ადამიანები, რომლებიც თვითიდენტიფიცირებას ახდენენ როგორც ლგბტი ან ქვიარი, ახლაც ზარალდებიან მათი უფლებების სისტემატიური დარღვევის გამო მთელ მსოფლიოში და ექვემდებარებიან დისკრიმინაციას თავისუფლების აღკვეთის ადგილებში - როგორც პატიმრები, ისე ამ დაწესებულებების მუშაკები. 70-ზე

მეტ ქვეყანაში ერთსქესიანი სექსუალური ურთიერთობები კრიმინალიზებულია, ხოლო ამ ქვეყნებიდან რვაში დანაშაული სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს[10].

გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა წამების საკითხებში ხაზგასმით აღნიშნა ლგბტი ადამიანებზე სექსუალური, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მზარდი შემთხვევების შესახებ:

> *... როგორც სისხლის სამართლის სისტემაში, ისე სხვა კონტექსტებშიც, როგორიცაა, მაგალითად, საიმიგრაციო პატიმრობა, სამედიცინო დაწესებულებები და ნარკოტიკების სარეაბილიტაციო ცენტრები. სისხლის სამართლის სისტემები ზედაპირულად უყურებენ და ყურადღებას არ აქცევენ მათ სპეციფიურ საჭიროებებს ყველა დონეზე. ტრანსგენდერი ადამიანებს, როგორც წესი, ავტომატურად ათავსებენ კაცების ან ქალების საპატიმროებში მათი გენდერული იდენტობის და გამოხატვის მიუხედავად[11].*

სათანადო ორგანოებმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინონ პირის გენდერული იდენტობა და გამოხატვა საპატიმრო დაწესებულებებში განაწილებისას. სპეციალური მომხსენებლის ანგარიშში ნათქვამია შემდეგი:

> *დასჯის შიში და გასაჩივრების მექანიზმისადმი ნდობის არარსებობა ხშირ შემთხვევაში ხელს უშლის პატიმრობაში მყოფ ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ და ტრანსგენდერ ადამიანებს საჩივრების წარდგენაში მათზე განხორციელებული ძალადობის თაობაზე. იზოლირებულ საკანში მათი განთავსება ან ადმინისტრაციული სეგრეგაცია მათ „დასაცავად“ შეიძლება, წარმოადგენდეს წამების და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვის დარღვევას. შესაბამის ორგანოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა, გონივრული ღონისძიებები გაატარონ, რათა თავიდან აიცილონ და ებრძოლონ ძალადობას ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ და ტრანსგენდერ პატიმრებზე სხვა პატიმრების მხრიდან[12].*

2006 წელს, ძალადობის დოკუმენტირებული მაგალითების საპასუხოდ, საერთაშორისო ადამიანის უფლებების ექსპერტთა ჯგუფი შეიკრიბა იოგიაკარტაში (ინდონეზია), სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის შესახებ საერთაშორისო პრინციპების შექმნის მიზნით. მსგავსი პრინციპები უზრუნველყოფს სრულყოფილ სტანდარტებს, რომლებიც დამატებით ინსტრუმენტს წარმოადგენს საერთაშორისო სამართლისათვის, რათა ადამიანები დაცული იყვნენ დისკრიმინაციისა და ძალადობისაგან*.

მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, რომ ტერმინი ლგბტი მოიცავს რამდენიმე მკაფიო და სხვადასხვა სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობას. თითოეული იდენტობა თუ ჯგუფი განიცდის სხვადასხვა სირთულეებს და აქვთ საჭიროებები მიუხედავად იმისა პატიმრები არიან თუ შესაბამისი დაწესებულებების თანამშრომლები. თანაც, იგივე იდენტობის მქონე ადამიანებს, შესაძლებელია სულ სხვადასხვა სირთულეები და საჭიროებები ჰქონდეთ. მაგალითად, ტრანსგენდერ ქალს შეიძლება სულ სხვა სახის დახმარება ესაჭიროებოდეს, ვიდრე ტრანსგენდერ კაცს. ამავე დროს ორ ტრანსგენდერ ქალს შეიძლება, განსხვავებული საჭიროებები ჰქონდეთ და, შესაბამისად, სხვადასხვა გარემოში უფრო დაცულად გრძნობდნენ თავს. ტრანსგენდერ ბავშვებსაც, შესაძლებელია, ზრდასრული ტრანსგენდერი ადამიანებისაგან განსხვავებული საჭიროებები ჰქონდეთ**.

ქალები, რომელთაც აქვთ სექსუალური ურთიერთობა ქალებთან, და კაცები, რომელთაც აქვთ სექსუალური ურთიერთობა კაცებთან

ზოგიერთ შემთხვევაში კონკრეტული სექსუალური ორიენტაციები ვითარდება თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, თუმცა ეს არ გულისხმობს პირის სექსუალური ორიენტაციის შეცვლას. ზოგ ერთსქესიან დაწესებულებაში, პატიმრები იმყოფებიან ერთსქესიან ურთიერთობებში გადარჩენის ან თავდაცვის მიზნით და/

* იხ. იოგიაკარტას პრინციპები და იოგიაკარტას + 10 პრინციპი, რომელიც უკავშირდება სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის ადამიანების და გამოხატვის უფლებების დაცვას. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული პრინციპები არ წარმოადგენს სავალდებულო პრინციპებს, ისინი ეფუძნება რამდენიმე ადამიანის უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულებების ტექსტებს და მათ სამართლებრივ ინტერპრეტაციას, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა მისი ხელმომწერი ქვეყნებისათვის.

** ლგბტი და განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საკითხებზე/ტერმინოლოგიაზე უფრო დეტალური ინფორმაციისათვის, იხილეთ პირველი კრებული -*უსაფრთხოების სექტორი მმართველობა, უსაფრთხოების სექტორის რეფორმა და გენდერი.*

ან სექსუალური ურთიერთობების შენარჩუნებისთვის, თუმცა ისინი არ მოიაზრებენ თავს ლესბოსელი“ ან გეი თემის წევრებად. ამ ჯგუფებს აქვთ განსაკუთრებული საჭიროებები; მაგალითად, პრეზერვატივები და შემოწმება სქესობრივად გადამტან ინფექციებზე, მიუხედავად იმისა, რომ მათ, შესაძლოა, ჰქონდეთ რომანტიული ურთიერთობა ჰეტეროსექსუალ პარტნიორებთან დაწესებულების ფარგლებს გარეთ.

2.5 ინტერსექციურობა

ზემოთ აღწერილია, თუ რა ზეგავლენას ახდენს პირის გენდერი მისდამი მოპყრობაზე, პირობებზე, საჭიროებებზე და პასუხისმგებლობის აღქმაზე. თუმცა, მნიშვნელოვანია, ფხიზლად ვიყოთ და გვახსოვდეს, რომ ადამიანები ექვემდებარებიან დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმას. მაგალითად, ქალები არ წარმოადგენენ ჰომოგენურ ჯგუფს: მრავალი პიროვნული მახასიათებელი და კონტექსტუალური გარემოებები კომბინაციაში ამძაფრებს და სისტემატურს ხდის მარგინალიზაციას და გარიყულობას. „ინტერსექციურობა“ არის კონცეფცია, რომელიც ჩამოყალიბებულია კიმბერლი ქრენშოუს მიერ როგორც „ფერადკანიან ქალთა მიმართ ძალადობის კონტექსტში სხვადასხვა რასობრივი და გენდერული ურთიერთქმედებების ჩარჩოში მოქცევის საშუალება“[13]. ახლა იგი უფრო ფართოდ გამოიყენება იმისათვის, რომ განისაზღვროს თუ როგორია გენდერთან დაკავშირებული მოლოდინების ურთიერთქმედება სხვა სოციალურ მარკერებთან, როგორიცაა ეთნო-რელიგიური ასპექტი, ასაკი, სოციალური კლასი, სექსუალური ორიენტაცია, ოჯახური მდგომარეობა, რასა, ეთნიკურობა და შეზღუდული შესაძლებლობები, ადამიანთა ძალაუფლებისა და პრივილეგიების სხვადასხვა დონეებზე გამწესება, დისკრიმინაცია და გარიყვა (იხ. ჩანართი 2).

ჩანართი 2: ინტერსექციურობა

ინტერსექციურობის იდეა გულისხმობს ორი ან მეტი დისკრიმინაციის ფორმის ან სუბორდინაციის სისტემას შორის ურთიერთქმედების სტრუქტურული და დინამიური შედეგების ასახვას. განსაკუთრებით კი, ეს ეხება რასიზმის, პატრიარქატის, ეკონომიკური მოწყვლადობის და სხვა დისკრიმინაციული სისტემებს, რომლებიც უთანასწორობის იმ ფენებს ქმნიან, რომელიც კაცებისა და ქალების შესაბამის პოზიციებს, ეთნიკურ და სხვა ჯგუფებს ანაწევრებს. მეტიც, იგი მოიცავს იმას, თუ კონკრეტული ქმედებები და პოლიტიკები როგორ წარმოშობენ ბარიერებს, რომელიც თან სდევს ინტერსექციურ ვექტორებს და აქტიურად მონაწილეობენ დასუსტების დინამიკის შემოტანაში.

წყარო: გაეროს ქალთა გაძლიერების სამმართველო, ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR) და გაეროს განვითარების ფონდი ქალებისათვის (UNIFEM) (2000), “გენდერი და რასობრივი დისკრიმინაცია. ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრის ანგარიში“, 21-24 ნოემბერი, ზაგრები, ხორვატია.

გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებში და ქვეკომიტეტი წამების პრევენციის საკითხებში აღნიშნავდნენ, რომ საპატიმრო დაწესებულებებში არსებობს კულტურა, რომელიც გულისხმობს მკაცრ იერარქიას; ამდენად, იერარქიის ძირში მყოფნი, ლგბტი ადამიანების ჩათვლით, ჩვეულებრივ ორმაგ და სამმაგ დისკრიმინაციას განიცდიან[14].

როგორც წესი, საპატიმრო დაწესებულებების პერსონალი ეთნიკურ და რელიგიურ უმრავლესობას წარმოადგენს. ხშირ შემთხვევაში ეს ნიშნავს, რომ ან უმცირესობათა ჯგუფის კულტურის არცოდნის ან (გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი) დისკრიმინაციული მოსაზრებების გამო, გენდერული თანასწორობის საკითხები შეიძლება, კიდევ უფრო გაართულოს ეთნიკურმა და/ან რელიგიურმა დისკრიმინაციამ.

ამასთან, არსებობს კონტექსტუალური გარემოებები, რომელთაც შეიძლება გაამძაფრონ დისკრიმინაცია, მაგალითად: სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, გეოგრაფიული სიშორე, წერა-კითხვის ცოდნა, საკუთრების ფლობა, ან ძლიერი ტრადიციული მოსაზრებები გენდერული როლების თაობაზე. მაგალითად, დაბალი სოციალურ-ეკონომიკური ფენის წარმომადგენელ ქალს, რომელიც საპატიმროშია მოთავსებული, სადაც გენდერის შესახებ ღრმად ტრადიციული წარმოდგენები სუფევს, სულ სხვა გამოცდილება ექნება იმ ქალისგან განსხვავებით, რომელსაც მსხვილი რესურსები აქვს და ისეთ ინსტიტუციონალურ გარემოში იმყოფება, რომელიც ხელს უწყობს თავისუფალ გენდერულ ქცევას.

ცხრილი 3 გვიჩვენებს ზოგიერთი პიროვნული მახასიათებლების გადაფარვას საპატიმრო დაწესებულებების კონტექსტუალურ გარემოებებთან, რაც იწვევს მრავალფენიანი დისკრიმინაციის წარმოშობას*.

ცხრილი 3: პირადი მახასიათებლები და ინსტიტუციონალური კონტექსტი, რომელიც დისკრიმინაციის სხვადასხვა ფენას წარმოშობს

2.6 გენდერი და საპატიმრო დაწესებულებების მიზნები

ისეთი პოლიტიკის მიღებას, რომელიც გულისხმობს გენდერული პერსპექტივის ინტეგრირებას, აქვს უამრავი დადებითი მხარე საპატიმრო დაწესებულების ეფექტურად მართვისათვის და ხელს შეუწყობს დაკისრებული ვალდებულებების სათანადოდ შესრულებას.

კანონით დაკისრებული პასუხისმგებლობების შესრულების უნარი

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებს აქვთ მათში მოთავსებულ პირებზე, იქ დასაქმებულ ან მათი მონახულების მსურველ პირებზე ზრუნვის ვალდებულება, რათა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი სასჯელის ან მოპყრობის აკრძალვის, ისევე როგორც ყველას მიმართ პატივისცემითა და ღირსებით მოპყრობის უზრუნველსაყოფად. ქალები, კაცები და ტრანსგენდერი ქალები და კაცები სხვადასხვა მიდგომას საჭიროებენ, რომ მიიღონ სამართლიანი მოპყრობა. მაშასადამე, საპატიმრო დაწესებულებებისათვის გენდერული პერსპექტივა არის იმპერატივი სასჯელაღსრულების დაწესებულებებისთვის, რათა დაცული იყოს ზრუნვის ვალდებულება და კანონი.

* იმ ჯგუფების დეტალური ჩამონათვალისთვის, რომლებიც განსაკუთრებულად დაუცველია სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის წინაშე, თუ სათანადო ორგანოები არ იღებენ შესატყვის ზომებს მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და დაცულობის უზრუნველსაყოფად, იხ. OSCE/ODIHR-ის (2019) დოკუმენტი *სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენცია საპატიმროებში: სტანდარტები, მიდგომები და მაგალითები ეუთოს რეგიონიდან.*

კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) არის ქალთა უფლებების გლობალური ქარტია. იგი რატიფიცირებულია 189 ქვეყნის მიერ და თანაბარი შესაძლებლობებით და ხელმისაწვდომობით, ქალების და კაცების თანასწორობის მიღწევის საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკურ და სამოქალაქო ცხოვრების ყველა სფეროში. ხსენებული კონვენციის რატიფიცირებით ან მიერთებით, სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, გაატარონ სხვადასხვა ღონისძიება ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის დასასრულებლად. ეს ღონისძიებებია:

- სამართლებრივ სისტემაში ქალთა და კაცთა თანასწორობის პრინციპის ასახვა, ყველა დისკრიმინაციული კანონების გაუქმება და ისეთი კანონების მიღება, რომელიც კრძალავს ქალთა მიმართ დისკრიმინაციას
- ტრიბუნალების და სხვა საჯარო დაწესებულებების შექმნა ქალთა დისკრიმინაციისაგან ეფექტიანი დაცვის მიზნით
- ქალთა მიმართ ცალკეული პირების, ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის უზრუნველყოფა

მიუხედავად იმისა, რომ გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელება უნდა იქნას ადგილობრივ დონეზე გადმოტანილი და მორგებული ცალკეული სახელმწიფოს კონტექსტზე, ძირითადი იმპერატივი უნდა დარჩეს უცვლელი კონტექსტის მიუხედავად. მნიშვნელობა არ აქვს სად ფუნქციონირებს საპატიმრო დაწესებულება - მსხვილი რესურსების მქონე ქვეყანაში, კონფლიქტის ზონაში, პოსტ-კონფლიქტურ კონტექსტში თუ ჰუმანიტარული კატასტროფიდან ახლად გამოსულ ქვეყანაში - ყველა ამ ვითარებაში ქალები, გოგოები და ტრანსგენდერი ადამიანები მაღალი რისკის ჯგუფს წარმოადგენენ ძალადობისა და დისკრიმინაციის თვალსაზრისით[15].

პერსონალისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა

საპატიმრო დაწესებულებებში განთავსებული პირების მსგავსად, სხვადასხვა გენდერის მქონე პერსონალსაც შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა გამოცდილება. ზოგ შემთხვევაში ეს დისკრიმინაცია სტრუქტურულია და ნორმად მიიჩნევა ისეთ ვითარებაში, სადაც ქალებისთვის, სხვებისგან განსხვავებით პროფესიული განვითარება და კარიერული ზრდა ხელმიუწვდომელია. სხვა სიტუაციებში, სადაც ადგილი აქვს პირდაპირ ან აშკარა დისკრიმინაციას, სადაც კაცთა დაწესებულებაში მომუშავე ქალები და ლგბტი თანამშრომლები ექვემდებარებიან შევიწროვებას, ძალადობას და დისკრიმინაციას კაცი პატიმრების და კოლეგების მხრიდან. დაბალ თანამდებობებზე და ისეთ სფეროებში, სადაც ნაკლებია კარიერული ზრდის საშუალება, ძირითადად დასაქმებულნი არიან ქალები; ამან კი შეიძლება, მათი სამსახურიდან წასვლა გამოიწვიოს. ამასთან, ქალები სავარაუდოდ, დატოვებენ დაწესებულებას, თუ მათ ხელს არ შეუწყობენ სამსახურისა და ოჯახის შეთავსებაში, ან თუ განიცდიან სექსუალურ შევიწროვებას ან მათ მიმართ დამოკიდებულება და პოლიტიკა დისკრიმინაციულია[16]. გენდერული პერსპექტივის შესაბამის პოლიტიკაში ინტეგრირება იძლევა მსგავსი დისკრიმინაციის აღმოფხვრის და, პირველ რიგში მისი გადალახვისა და პრევენციის საშუალებას.

დაცულობისა და უსაფრთხოების გაუმჯობესება

ადამიანის უფლებების გენდერული ნიშნით დარღვევა საპატიმრო დაწესებულებებში შეიძლება შემცირდეს ან თავიდან იქნას აცილებული გენდერული პერსპექტივის ინტეგრირების მეშვეობით. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები შეიძლება უსაფრთხოა, მაგრამ საკითხავია, რამდენად დაცული არიან იქ მყოფი ადამიანები[17].

უსაფრთხოების კონცეფციის გაფართოებით მოცული იქნება „გენდერული უსაფრთხოების“ მრავალი ფორმა (მაგალითებისთვის იხ. ჩანართი 3) და ბანგკოკის წესების დაცვით საპატიმროები უფრო უსაფრთხო და დაცული გახდება.

ორგანიზაციული ეფექტურობის გაუმჯობესება

კაცებისა და ქალების საჭიროებები განსხვავდება მართლმსაჯულების სისტემაში, და ამაზე ჩვენ ვისაუბრეთ ზემოთ. ქალებს ესაჭიროებათ სხვა პირობები და სხვა სახის დახმარება, ხოლო საპატიმრო დაწესებულებებს ეკისრებათ ამ საჭიროებების გათვალისწინების პასუხისმგებლობა. საპატიმრო დაწესებულების ყველა ფუნქციაში გენდერული რაკურსის გათვალისწინება დაწესებულების პოპულაციის უკეთ შესწავლას და მათი საჭიროებების უკეთ დაკმაყოფილებას გამოიწვევს.

არსებობს რამდენიმე ფუნქცია ქალებისა და გოგოების ჩხრეკასა და ზედამხედველობასთან დაკავშირდებით, რაც არ შეიძლება კაცმა თანამშრომელმა შეასრულოს. შესაბამისად, საჭიროა საკმარისი ქალი თანამშრომელი უსაფრთხოდ მუშაობდეს დაწესებულებაში, სადაც მათი საჭიროება იქნება დაკმაყოფილებული და უსაფრთხოება - უზრუნველყოფილი; სადაც ქალებისა და გოგოების საჭიროებები და ღირსება იქნება დაცული.

ჩანართი 3: გენდერული უსაფრთხოების სხვადასხვა ფორმა

ფიზიკური უსაფრთხოება შეიძლება განისაზღვროს როგორც ნებისმიერი სახის ძალადობის არარსებობა (მაგ. ფიზიკური, ემოციური, სექსუალური თუ ვერბალური), თვითმკვლელობისადმი მიდრეკილი და თვითდაზიანების ქცევისა და ქმედებების, ნარკოტიკების და სხვა დამოკიდებულებების არარსებობის; ჯანსაღი და უსაფრთხო სექსუალური ქცევის; გაუმართლებელი რისკების თავიდან აცილების; და ჯანსაღი ცხოვრების სტილის შენარჩუნების ჩათვლით.

ფსიქოლოგიური უსაფრთხოება არანაკლებ მნიშვნელოვანია და განისაზღვრება როგორც შესაძლებლობა, თავი იგრძნო დაცულად, შეძლო საკუთარი თავის დაცვა საკუთარი ან სხვა ადამინებისაგან მომდინარე დესტრუქციული იმპულსებისა თუ საფრთხისაგან.

სოციალური უსაფრთხოება გულისხმობს სხვა ადამიანების გარემოცვაში უსაფრთხოდ ყოფნის შეგრძნებას. დაცული სოციალური გარემოს შექმნა მოითხოვს პერსპექტივის შეცვლას, რომელიც გულისხმობს ადამიანის ფართო კონტექსტში დანახვას, ისე რომ, ინდივიდის ყველა ქაოტური, იმპულსური და მტკივნეული გრძნობები უსაფრთხოდ იქნას შეკავებული და განეიტრალებული. აქცენტი ინდივიდზე იცვლება და იქმნება და იმართება კარგად ჩამოყალიბებული სტრუქტურა, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია ყველა სამკურნალო მოქმედებების ჩატარება უსაფრთხოდ.

მორალურად უსაფრთხო გარემო არის ისეთი გარემო, სადაც პერსონალს აქვს კეთილსინდისიერად მუშაობის საშუალება, ვინაიდან მათი მოსაზრება სწორ მოქმედებაზე მხარდაჭერილია დაწესებულებისა და ხელმძღვანელობის მიერ და ძალაუფლების მქონე პირები ბოროტად არ იყენებენ საკუთარ ძალაუფლებას. დაწესებულებაში მყოფთათვის ეს იძლევა ეთიკური დიალოგის გამართვის საშუალებას და ქმნის სივრცეს, სადაც შესაძლებელია ზრდა სწორი და არასწორი ქმედების გამოცდის საშუალებით.

წყარო: სანდრა ლ. ბლუმი „უსაფრთხო ციტადელის მოდელი“, „ჯანდაცვის მართვა და პოლიტიკა, დორნსლაიფის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა, დრექსელის უნივერსიტეტი, sanctuaryweb.com/Home.aspx

2.7 საპატიმრო დაწესებულებების მიღმა გენდერული პერსპექტივის მქონე მიდგომის დადებითი წვლილი

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები საზოგადოების ზუსტად ისეთივე ნაწილია როგორც საავადმყოფოები და სკოლები, თუმცა ვინაიდან მათზე ხელმისაწვდომობა შეზღუდულია, მათ უმეტესად საზოგადოებიდან განცალკევებულ ერთეულად აღიქვამენ. საპატიმროებიდან გამოსულ ადამიანებს უფრო ხშირად აქვთ მენტალური პრობლემები, სხვადასხვა დამოკიდებულებები ან ვალი. მათ უჭირთ სამუშაოს პოვნა, რთულია მათი ოჯახში დაბრუნება და ინტეგრაცია, და ისინი სტიგმატიზებულები არიან. პენიტენციურ დაწესებულებებში განვითარებულმა მოვლენებმა შეიძლება გრძელვადიანი შედეგი იქონიოს ამ პირებზე და მათთან კარგ მუშაობას დადებითი შედეგი აქვს დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ.

სექსუალური და გენდერული ძალადობის აღმოფხვრის შესაძლებლობა

სექსუალური და გენდერული ძალადობა ყველა საზოგადოებასა და კულტურაში ფართოდ გავრცელებული პრობლემაა. გენდერული პერსპექტივის ისეთ პროგრამებში გათვალისწინება, რომელიც დანაშაულებრივ ქცევასთან ბრძოლას გულისხმობს, (ძალადობის გამომწვევი) ანტისოციალური მასკულინობის და პროსოციალური ან ალტერნატიული მასკულინობის უკეთ შესწავლით, საპატიმრო დაწესებულებებს შეეძლებათ თავისი წვლილი შეიტანონ სექსუალური და გენდერული ძალადობის შემცირებაში*. სექსუალური და გენდერული ძალადობის შემცირებაზე გამიზნულ ინსტრუმენტებში უკეთ გარკვევა მიგვიყვანს უკეთეს სახელმწიფო გადაწყვეტილებებამდე - ინფორმირებული პოლიტიკის შექმნის გზით. ასეთი მიდგომა გავლენას იქონიებს ციხის თანამშრომლების შეხედულებებზეც რაც კვლევების თანახმად, დიდ პრობლემას წარმოადგენს ციხის თანამშრომლების მიერ ჩადენილი სექსუალური და გენდერული ნიშნით ჩადენილი მაღალი დონის გამო[18].

ზეგავლენა ბავშვებზე

კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ არის ყველაზე ფართოდ რატიფიცირებული საერთაშორისო ადამიანის უფლებების ინსტრუმენტი. ის თუ როგორ ეპყრობიან ბავშვების ძირითად მზრუნველებს, რა პირობებში იმყოფებიან და რა კონტაქტი აქვთ საკუთარ შვილებთან, ზეგავლენას ახდენს ბავშვის საუკეთესო ინტერესზე.

პოლიტიკა და პრაქტიკა, რომელიც ითვალისწინებს დაკავებულთა და პატიმართა გენდერულ პასუხიმგებლობას, როგორიცაა, მაგალითად, ის ფაქტი, რომ ქალები არიან ბავშვებზე ძირითადი მზრუნველები, გენდერული პერსპექტივის გატარების ძალიან ძლიერი არგუმენტია.

მჭიდრო კონტაქტის შენარჩუნება პატიმარ დედებსა და მათ შვილებს შორის მნიშვნელოვანია დედისა და შვილების მენტალური ჯანმრთელობისათვის და ბავშვის უფლებათა დაცვას უზრუნველყოფს. მაგალითად, ევროპაში ბავშვის მშობლებისაგან იძულებით განცალკევება ზეგავლენას ახდენს ბავშვის უფლებებზე ევროპის ადამიანთა კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად[19]. ასევე, პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს კაცების როგორც მამების გენდერულ ვალდებულებებს (განსაკუთრებით, როდესაც ისინი არიან ძირითადი მზრუნველები, ან როდესაც ეს ასე არ არის), წარმოადგენს გენდერული კონცეფციის მეინსტრიმინგის მნიშვნელოვან ნაწილს. შეიძლება ზოგჯერ უგულებელყოფილი იყოს ის ფაქტი, რომ ტრანსგენდერი ქალები ან კაცები შეიძლება მშობლები იყვნენ, ამდენად მეტად მნიშვნელოვანია ისეთი პოლიტიკის დანერგვა, რომელიც ხელს უწყობს და უზრუნველყოფს ბავშვებთან ურთიერთობის შენარჩუნებას.

* ქცევის შეცვლაზე და ოჯახში მოძალადეებზე გამიზნული პროგრამები განხილულია მეორე კრებულში - პოლიციის სამსახურები და გენდერი.

გლობალური მიზნები*

ამჟამად, ყველაზე მნიშვნელოვანი მაღალი დონის საერთაშორისო მიზნებია მდგრადი განვითარების მიზნები. 2015 წელს ამ მიზნების გამოცხადება იყო უნივერსალური შეთანხმების შედეგი; იგი ითვალისწინებს მდგრადი განვითარების დღის წესრიგის 2030 წლამდე შესრულებას. დღის წესრიგი შეიცავს მდგრადი განვითარების 17 მიზანს და გულისხმობს, რომ „არავინ დარჩეს ყურადღების მიღმა“[20]

რეალურად, ქალები, გოგოები და ლგბტი ადამიანები, ისევე როგორც მრავალი კაცი და ბიჭი საპატიმრო დაწესებულებებში ხშირად არინ „ყურადღების მიღმა“ დარჩენილები და უფრო მეტი უნდა გაკეთდეს ამ ჯგუფების საჭიროებებისა და ინტერესების სათანადოდ გასათვალისწინებლად და სისტემატური და სტრუქტურული დისკრიმინაციის შესამცირებლად. როდესაც ქალთა უფლებები დაცულია მართლმსაჯულების ეფექტიანი სისტემების საშუალებით, იქმნება ინკლუზიის, სიღარიბის შემცირების და მდგრადი მშვიდობის ჩამოყალიბების შესაძლებლობები[21].

მიზანი 5
გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება

მიზანი 16
მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტური, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე.

მდგრადი განვითარების მიზანი 5 გენდერული თანასწორობის საკითხს მოიცავს. მიზანი 16 კი მართლმსაჯულების სექტორს შეეხება და მოიცავს ამოცანას 16.3, რომელიც აფასებს თუ რა დონეზეა კანონის უზენაესობას და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას ხელშეწყობილი. მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებისათვის საჭიროა გენდერული პერსპექტივის განხორციელება საპატიმრო დაწესებულებებში. მიზნები 2, 3 და 6 ეხება შიმშილს, ჯანმრთელობას, წყალმომარაგებასა და სანიტარულ პირობებს; ეს საკითხები კი რელევანტურია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებისათვის. ზოგ ციხეში საკვები და წამალი პატიმრებს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვთ თუ მათ მეგობრები და ოჯახის წევრები მიაწოდებენ. საყოველთაო შიმშილის, დაავადებების გავრცელების ან გვალვის დროს, პატიმრებს, როგორც წესი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. საერთო დაწესებულებებში ქალებს საკვებს და წყალს მას შემდეგ აწვდიან, რაც კაცები დაასრულებენ ჭამას; და თუ ცალკე დაწესებულებებია ქალებისთვის გამოყოფილი, როგორც წესი საკმაოდ მოშორებულები არიან ოჯახს, ამდენად საჭირო საკვებს და წამლებსაც მიღებასაც მოკლებულნი არიან.[22]

მდგრადი განვითარების მიზანი 1-ის შესრულება („სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა“) ასევე მჭიდროდაა დაკავშირებული ქალების პატიმრობის საკითხთან: „სიღარიბის ფემინიზაცია“ აღინიშნა როგორც პატიმარ ქალთა პოპულაციის გაზრდის ერთერთი გამომწვევი მიზეზი[23], ამდენად მიზანი 1 უნდა შესრულდეს თავისუფლების აღკვეთის ადგილებშიც. ორგანიზაცია Penal Reform International ამტკიცებს, რომ ციხეები, რომლებიც თავიანთ რეფორმაში ბანგკოკის წესებს ითვალისწინებენ „გააჩნიათ ქალთა სიღარიბის ციკლის გარღვევის პოტენციალი და შესაძლებლობა უზრუნველყონ, არავინ დარჩეს ყურადღების მიღმა.“[24]

ნებისმიერი ქვეყნის მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების შეფასებისას საპატიმრო ადგილების უგულებელყოფა მოგვცემს არასრულ სურათს, სადაც არ იქნება გათვალისწინებული ამ დაწესებულებების ზეგავლენა და, ცხადია, მიზანიც „არავინ დარჩეს ყურადღების მიღმა“ არ შესრულდება.

* მეტი ინფორმაცია მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ იხ. პოლიტიკის მოკლე აღწერილობა „2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის, უსაფრთხოების სექტორისა და გენდერული თანასწორობისათვის“.

1. რ. უომსლი (2017) „ქალთა პატიმრობის მსოფლიო ნუსხა“; მე-4 გამოცემა, ლონდონი, სისხლის სამართლის პოლიტიკის კვლევითი ინსტიტუტი, ბირკბეკის კოლეჯი, ლონდონის უნივერსიტეტი, გვ. 2.
2. ი.ჯეი. სალსბერი და პ. ვან ვურისი (2009) „გზა დანაშაულისკენ გენდერის მიხედვით: რაოდენობრივი კვლევა - პრობაციონერ-ქალთა გზა საკნამდე“, სისხლის სამართალი და ქცევა, 36(6), გვ. 541-566.
3. იქვე, გვ. 543.
4. ბ. ბოპრი, სალსბერი და პარკერი (2018) „გზა დანაშაულისკენ“ ოქსფორდის კვლევათა ენციკლოპედია: კრიმინოლოგია და სისხლის სამართალი, ნიუ-იორკი: ოქსფორდის უნივერსიტეტის გამოცემა, გვ. 6.
5. მაგალითად, კვლევამ დაადგინა, რომ „პატიმარ კაცთა >90% შვილებზე ზრუნავდნენ მათი პარტნიორები ან ბავშვების დედები, თუმცა ქალი პატიმრების შემთხვევაში, მხოლოდ 23% ბავშვზე ზრუნავს მათი პარტნიორი“. ტ. დოდი და პ. ჰანტერი (1992) „ციხეების ეროვნული კვლევა, 1991: შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიში ინგლისისა და უელსის პატიმართა კვლევის თაობაზე, რომელიც ჩატარებულია სოციალური კვლევებისა და OPCS-ს გამოკითხვების ოფისის მიერ“, ლონდონი, HMSO; სილვესტრი და გროუთერ-დაუი (2016) გენდერი და მართლმსაჯულება: ადამიანის უფლებათა მიდგომა, Thousand Oaks, CA: Sage.
6. გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო (1997) - გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს რეზოლუცია 1997/2: შეთანხმებული დასკვნები 1997/2, ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1997 ანგარიში, გაეროს დოკუმენტი A/52/3/Rev.1, 18 ივლისი, ნიო-იორკი, გაერთიანებული ერები.
7. გაეროს ქალთა ორგანიზაცია (2019) „გენდერული თანასწორობის ტერმინოლოგია“, trainingcentre.unwomen.org/mod/glossary/view.php?id=36 (2019 წლის 17 ოქტომბერი).
8. ბრიტანეთის ფსიქიატრიის ჟურნალი, 212 (3) გვ. 134-136.
9. OHCHR (2017) „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი და სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა”, ფაქტები,https://www.unfe.org/wp-content/uploads/2017/05/International-Human-Rights-Law.pdf ოქტომბერი), გვ. 1.
10. ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანს და ინტერსექსი ადამიანების საერთაშორისო ასოციაცია (2017) „რუკები - სექსუალური ორიენტაციის შესახებ კანონები“, ilga.org/maps-sexual-orientation-laws (2019 წლის 2 მარტი).
11. გაეროს ადამიანთა უფლებების საბჭო (2016) „სპეციალური მომხსენებლის ანგარიში წამების და სხვა სასტიკ, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასა თუ დასჯაზე“, გაეროს დოკუმენტი A/HRC/31/57, 5 იანვარი, პარაგრაფი 34.
12. იქვე, პარაგრაფი 35.
13. კიმბერლი კრენშო (1991) „საზღვრების დადგენა: ინტერსექციურობა, იდენტობის პოლიტიკა და ძალადობა ფერადკანიანი ქალების მიმართ“, სტენფორდის სამართლის მიმოხილვა, 43, გვ. 1241-1299 @1296. მეტი ინფორმაციისათვის ქალთა ამ კონკრეტული ჯგუფის ქალებისა და გოგოების მოწყვლადობისა და უფლებების დარღვევაზე (დაკავშირებულია ინტერსექციურობასთან), იხ. გაეროს ქალთა ორგანიზაციის, UNDP, UNODC და OHCHR (2018) „პრაქტიკოსის ინსტრუმენტები ქალთა მართლმსაჯულების პროგრამებზე ხელმისაწვდომობაზე“, ნიუ-იორკი: გაერო, გვ. 23-25.
14. გაერო (2016) „წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციის ქვეკომიტეტის მეცხრე ყოველწლიური ანგარიში“, გაეროს დოკუმენტი CAT/C/57/4, 22 მარტი, პარაგრაფი 61.
15. გაეროს კომიტეტი ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის თაობაზე (2013) „კონვენცია ქალთა მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის თაობაზე: ზოგადი რეკომენდაცია # 30 ქალების როლზე კონფლიქტის პრევენციის, კონფლიქტის და პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში“, გაეროს დოკუმენტი CEDAW/C/GC/30, 1 ნოემბერი, პარაგრაფი 29; გაეროს კომიტეტი ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის თაობაზე (2013) „კონვენცია ქალთა მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის თაობაზე: ზოგადი რეკომენდაცია N 33 ქალების მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის თაობაზე“, გაეროს დოკუმენტი CEDAW/C/GC/33, 23 ივლისი, პარაგრაფი 8.
16. ს. უოლკერი და დ.მ. ერლბეკი (2002) „მანქანის მართვა თუ ქალი ხარ: პოლიციის მიუღებელი ქცევის ეროვნული პრობლემა“, ნებრასკა, OM: სისხლის სამართლის დეპარტამენტი, ნებრასკას უნივერსიტეტი, გვ.7
17. ბ. ოუენი (2017) „უსაფრთხოება არ უდრის დაცულობას: ქალთა ციხეებში გენდერული საფრთხეები“, ბლოგის სტატია, 25 მაისი, www.penalreform.org/blog/security-is-not-safety-gendered-harms-in-womens/ (17 ოქტომბერი 2019).
18. ვალენტინი, ემე და მარტინი (2012) „საპატიმრო დაწესებულების ოფიცრები და ოჯახში ძალადობა: გამოცდილება და დამოკიდებულება“, ჟურნალი ოჯახში ძალადობა, 27, გვ. 531-545.
19. რ. ეფშტეინი (2014) „პატიმარი დედები: დედათა მსჯავრდება და ბავშვთა უფლებები“, რა არის სამართლიანობა? სამუშაო დოკუმენტი 3/2014, ლონდონი, ჰოვარდის ლიგა პენიტენციური რეფორმისთვის.
20. გაეროს გენერალური ასამბლეა (2015) „ჩვენი სამყაროს ტრანსფორმირება: 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგი“, გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია.
21. გაეროს ქალთა ორგანიზაცია, შენიშვნა 13, ზემოთ, გვ. 324.
22. ლ. მაიელო და ს. კარტერი (2015) „პისუარების გარეშე და ვარდისფრად შეღებილი? როგორი უნდა იყოს ქალთა ციხე?“, ბლოგის სტატია, ციხის საერთაშორისო რეფორმა, www.penalreform.org/blog/10020/ (17 ოქტომბერი 2019).
23. ტერმინი „სიღარიბის ფემინიზაცია“ გამოიყენება, მაგალითად სიერა ლეონეს სიმართლის დამდგენი და შერიგების კომისიის მიერ. იხ. AdvocAid (2012) „ქალები, ვალი და პატიმრობა: ანგარიში თაღლითურ კონვერსიაზე და ვალის კრიმინალიზაციაზე სიერა ლეონეში“, 5 ივლისი, გვ.15; ახალი ეკონომიკური ფორუმი (2008) „ღირებულებების აღმოჩენა: რა საყოველთაო სარგებელი მოაქვს ბრალდებული ქალებისათვის ციხის ალტერნატივებში ინვესტირებას“ 25 ნოემბერი https://neweconomics.org/uploads/files/6533e0a823956802b3_10m6buwft.pdf .
24. დორინ ნ. კიაზე (2018) „მდგრადი განვითარების მიზნები: ქალი დამნაშავეების „ყურადღების მიღმა“ არდარჩენის უზრუნველყოფა“, ბლოგის სტატია, ციხის საერთაშორისო რეფორმა, 22 თებერვალი, www.penalreform.org/blog/sustainable-development-goals-making-sure-female-offenders-not/. ასევე იხ. (2016) „რატომაა კრიტიკულად მნიშვნელოვანი სისხლის სამართლის რეფორმის განხორციელება 2030 წლის გაეროს მდგრადი განვითარების დღის წესრიგისათვის, ბრიფინგი, ციხის საერთაშორისო რეფორმა, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, იხ. ზემოთ კომენტარი 13.

3. როგორი გამოიყურებიან საპატიმრო დაწესებულებები, რომლებიც ხელს უწყობენ გენდერულ თანასწორობას და გენდერულ პერსპექტივას ითვალისწინებენ?

ბოლო ათი წლის განმავლობაში უდიდესი ნაბიჯები გადაიდგა ბევრ ქვეყანაში თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გენდერული პერსპექტივის ინტეგრირების თვალსაზრისით. თუმცა, შესაძლებელია ბევრი ასპექტის დახვეწა. მოცემულ ნაწილში აღწერილია, თუ როგორი შეიძლება იყოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, რომელიც გენდერულ პერსპექტივას ნერგავს და ცხრა ძირითად პარამეტრს ითვალისწინებს დაწესებულებაში[1].

ბანგკოკის წესები გვთავაზობს კონკრეტულ რჩევებს საპატიმრო დაწესებულებებისთვის გენდერული პერსპექტივის მიღებასთან დაკავშირებით. მოცემულ ნაწილში ხაზგასმულია შესაბამისი წესები.

3.1 ერთიანი აზრი მასზედ, რომ გენდერი მნიშვნელოვანია

ეროვნულ დონეზე პოლიტიკის შემქმნელებითა და პოლიტიკოსებით დაწყებული, უსაფრთხოების სექტორის ხელმძღვანელობითა და წინა ხაზის მომუშავე კადრებით დამთავრებული, გააზრებულია და აღიარებულია რომ ქალებს, კაცებს, ბიჭებს, გოგოებს და ტრანსგენდერ ადამიანებს აქვთ სხვადასხვა საჭიროებები და მათი დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია სხვადასხვა მიდგომების გამოყენება.

მაგალითად, აღიარებულია შემდეგი განსხვავებები:

- პატიმრობამდე გავლილი გზის გენდერული ასპექტი
- ნარკოტიკული ნივთიერებების მიღება
- მენტალური ჯანმრთელობა, ტრავმა და მენტალური დაავადებები
- ფიზიკური ჯანმრთელობის საჭიროებები
- მშობლის ვალდებულებები
- რისკების დონეები საპატიმროებსა და საზოგადოებაში
- რეაქცია ზედამხედველობაზე, დაკავებაზე და ქცევით პროგრამებზე

საპატიმრო დაწესებულებებში პოლიტიკა და პრაქტიკა არ იქმნება გენდერულად ნეიტრალურ და კაცებზე ორიენტირებულ პოლიტიკაში ცვლილებების შეტანით; არამედ საჭიროა მისი გააზრება და შემუშავება თითოეული ჯგუფის კონკრეტული საჭიროებების გათვალისწინებითა და ამ ჯგუფებთან კონსულტაციების მეშვეობით.

3.2 უსაფრთხოებაზე, პატივისცემასა და ღირსებაზე დაფუძნებული დადებითი ინსტიტუციური გარემო

თავისუფლების აღკვეთის იმ დაწესებულებებში, რომელიც გენდერულ პერსპექტივის ინტეგრირებას ახდენს,აქტიურად უწყობს ხელს პოზიტიური გარემოს შექმნას. გააზრებული უნდა იქნას, რომ მსგავს დაწესებულებებში მოხვედრილმა მრავალმა

ფოტო: ქალები ელ პასტორის ციხეში (ბოგოტა, კოლუმბია) ქმნიან კედლის სურათს ტუბერკულოზის გადაცემის თაობაზე სხვა პატიმრების ცნობიერების ამაღლების მიზნით, 2015 © Pan American Health Organization (პან-ამერიკული ჯანდაცვის ორგანიზაცია)

ადამიანმა ტრავმა გამოიარა, შესაბამისად, მათი საპატიმროში განთავსებით ეს ტრავმები შეიძლება გაღვივდეს ან, პირიქით, შემცირდეს და შემსუბუქდეს.

მათთვის ვინც ქალებთან მუშაობს, ცნობილია, იმ გენდერული ასპექტების შესახებ, რომლებმაც ეს ქალები თავისუფლების აღკვეთამდე მიიყვანა; ასეთი გამოცდილება ხშირ შემთხვევაში მოიცავს ემოციური, ფიზიკური და სექსუალური ძალადობის ისტორიას. პოლიტიკა და პრაქტიკა აქტიურად ცდილობს არ შექმნას ძალადობის გარემო და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ არ მოხდეს გადატანილი ტრავმის ხელახლა პროვოცირება ან მენტალური ჯანმრთელობის საკითხების გაღვივება.

კაცებთან მომუშავე თანამშრომლებმა იციან იმ ზეწოლის შესახებ, რაც კაცებს და ბიჭებს მასკულინობის გამომჟღავნებას აიძულებს, და რამაც, შესაძლოა, ხელი შეუწყო მათ საპატიმროში მოხვედრას. მენეჯმენტისთვის ცნობილია, რომ ასეთი გენდერული წნეხი, შესაძლებელია, განაპირობებდეს კაცთა ქცევას, რაც უარყოფით შედეგებს გამოიღებს უსაფრთხოებისა და ზრდის თვალსაზრისით. საპატიმრო დაწესებულებები აქტიურად უწყობს ხელს მასკულინობის ალტერნატიული ვარიანტების დანერგვას და უზრუნველყოფს სივრცეს მასკულინობის ჯანსაღი გამოვლინებებისათვის.

იმ მუშაკებს, რომლებიც ტრანსგენდერ ადამიანებთან მუშაობენ, იციან ისეთი სირთულეების შესახებ, როგორიცაა გენდერული დისფორია, რომელმაც, შესაძლოა, განაპირობა ამ ადამიანების საპატიმროებში მოხვედრა. საპატიმრო დაწესებულებები იყენებენ მიდგომას, რომელიც აქტიურად უწყობს ხელს განსჯისაგან თავისუფალი გარემოს შემქნას, სადაც ადამიანებს შეუძლიათ რეპრესიების და დაცინვის შიშის გარეშე მოახდინონ საკუთარი თავის იდენტიფიცირება.

ყველა ადამიანი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში თავს დაცულად გრძნობს და კონფიდენციალურად საჩივრების წარდგენის საშუალება აქვს, ხოლო პროცესი ობიექტურად და დროულად ტარდება, სადაც მოსარჩელეს აწვდიან ინფორმაციას საჩივრის განხილვის და შედეგების შესახებ. დაცვის ღონისძიებები ითვალისწინებს ქალების, ტრანსგენდერი და სხვა ლგბტი პატიმარი ადამიანების ინტერესებს გამოძიების დროს, ან მათ ინტერესებს, ვინც დაექვემდებარა სექსუალურ ძალადობას, რათა მიიღონ სამედიცინო დახმარება, ფსიქოლოგის კონსულტაცია და სამართლებრივი დახმარება (იხ. ბანგკოკის წესები, წესი 25)

3.3 გენდერული პერსპექტივა ინტეგრირებულია ყველა დონეზე და ყველა შესაძლო ტრენინგ პროგრამაში

პირველადი, საბაზისო ტრენინგი გენდერის საკითხებზე ტარდება მენეჯმენტის ყველა დონეზე, ყველა პირველი ხაზის ან ფორმიანი, ისევე როგორც სარეზერვო თანამშრომლებისათვის. მოქმედი პერსონალი მონაწილეობას იღებს სპეციალურ ტრენინგში გენდერული მეინსტრიმინგის საკითხებზე, ხოლო დაწესებულების ხელმძღვანელობა მხარს უჭერს ტრენინგების ჩატარებას და თავად იძლევა დადებით მაგალითს. გენდერული პერსპექტივის გათვალისწინება მიიჩნევა საპატიმრო დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განუყოფელ ნაწილად და არ არის მხოლოდ ფურცელზე დაწერილი სავარჯიშო.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები აფასებენ სპეციფიურ გარემოში განმცხადებელთა მუშაობის სურვილსა და უნარს; მაგალითად, ისეთ ქალთა დაწესებულებაში, რომელსაც დანერგილი აქვს გენდერული კონცეფციები თავისი პოლიტიკისა და პრაქტიკის საშუალებით. ტრენინგი აქცენტს აკეთებს ქალებთან, კაცებთან და ტრანსგენდერ ადამიანებთან მუშაობის სპეციფიკაზე. თუ დაწესებულებაში ნებადართულია ბავშვისა და მშობლის ერთად ყოფნა, საჭიროა პერსონალის გადამზადება ბავშვის განვითარების, ასევე, ჯანდაცვის საკითხებზე,

რათა საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლებმა სწორი და დროული რეაგირება შეძლონ (იხ. ბანგკოკის წესები, წესი 33).

ქალ თანამშრომლებს ერთნაირად მიუწვდებათ ხელი მაღალი ძალაუფლებისა და პასუხისმგებლობის თანამდებობებზე დაწესებულებების შიგნით. იგივე ეხება მაღალი რანგის თანამდებობებს, სადაც არსებობს შესაბამისი გენდერული ბალანსი გადაწყვეტილების მიმღებ დეპარტამენტებში.

3.4 ადამიანების სათანადო კატეგორიზაცია და უსაფრთხო სივრცეში განთავსება

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მოთავსებული ყველა პირი განთავსებულია უსაფრთხო სივრცეებში, რომელიც ხელს უწყობს კეთილდღეობას, გამოსწორებასა და/ან რეაბილიტაციას. თუ ოჯახის წევრები ერთად იმყოფებიან პატიმრობაში, მაგალითად საიმიგრაციო ცენტრებში და ლტოლვილთა ბანაკებში*, უნდა არსებობდეს ოჯახის წევრთა ერთად განთავსების საშუალება. ვინაიდან ასეთ დაწესებულებებში თავისუფლების აღკვეთა არ უკავშირდება სისხლის სამართლის დანაშაულს, არ ხდება დაკავებულების რისკების შეფასება. შეძლებისდაგვარად, დაცულია ნორმალური ოჯახური ცხოვრების ასპექტი.

ქალებისთვის, რომელთაც პარტნიორი არ ჰყავთ, უზრუნველყოფილია ცალკე და უსაფრთხო საცხოვრებელი ფართი (ბლოკები და საკნები) და სანიტარული კვანძი და შეზღუდულია კაცების დაშვება. ამ სივრცეებში ქალები ცხოვრობენ და იქვეა ადგილები ბავშვებისთვის, მათზე უსაფრთხოდ ზრუნვის უზრუნველყოფის მიზნით. ყველა შემთხვევაში წყალი რეგულარულად მიეწოდება ამ სივრცეს, განსაკუთრებით ბავშვებზე მზრუნველებს, ან მათ ვინც საკვებს ამზადებს ან ფეხმძიმედაა, ან ძუძუთი კვებავს ბავშვებს ან მენსტრუალური ციკლი აქვს (იხ. ბანგკოკის წესები, წესი 5).

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების არქიტექტურა ითვალისწინებს გენდერულ პერსპექტივას და გააჩნია სივრცეები, რომელიც ქმნის პოზიტიური კეთილდღეობის შეგრძნებას და ხელს უწყობს გამოკეთებას და რეაბილიტაციას. ქალები განთავსებული არიან მცირე ჯგუფებად სივრცეებში, რომელიც სპეციალურადაა შექმნილი ქალთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის გათვალისწინებით (იხ. ჩანართი 4). მათი განთავსება არ ხდება უფრო მაღალი უსაფრთხოების მქონე შენობებში, ვიდრე ეს საჭიროა ან სივრცეებში, რომელიც წარმოადგენს კაცების დაწესებულების დანამატს, ან თვით ასეთი დაწესებულებაა გადაკეთებული.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები იყენებენ რისკის შეფასების სპეციალურ ინსტრუმენტებს, რომელიც ორიენტირებულია გენდერულ პერსპექტივაზე და აღიარებს იმასაც, რომ ზოგადად ქალები ნაკლებ რისკს უქმნიან სხვებს. გადაწყვეტილებების მიმღებნი კატეგორიზაციისა და კონკრეტულ სივრცეებში განთავსების თაობაზე ითვალისწინებენ გენდერულ ჩარჩოს, რომელიც აღიარებს, ბანგკოკის წესების შესაბამისად, მშობლების შვილების სიახლოვეს განთავსების აუცილებლობას და ქალებზე იზოლაციის მავნე ზეგავლენას, რაც გამოწვეულია მაღალი უსაფრთხოების ზომებით (იხ. ბანგკოკის წესები, წესი 41).

ტრანსგენდერი ქალები და კაცები განთავსებული არიან დაწესებულებებში მას შემდეგ, რაც დადგინდება თუ რამდენად უსაფრთხოდ და კომფორტულად იგრძნობენ ისინი თავს ამ სივრცეში, იქნება ეს ქალთა თუ კაცთა დაწესებულება. ყველა ტრანსგენდერი ქალი და კაცი შეძლებს მონაწილეობის მიღებას დაწესებულების რეჟიმში, დამცირებისა და დისკრიმინაციის შიშის გარეშე.

* საიმიგრაციო დაკავება ასევე განხილულია პრაქტიკულ მითითებაში 6- *საზღვრის მართვა და გენდერი.*

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები იყენებენ სპეციალური შეფასების ინსტრუმენტებს, რომელიც მნიშვნელოვან ასპექტებს ადგენს და სასჯელის დაგეგმვაში უწყობს ხელს. ასევე, ეს ინსტრუმენტი ხელს უწყობს ინფორმაციის მიღებას მენტალური ჯანმრთელობის, ნარკოტიკების გამოყენების, მშობლის სტატუსის და სხვა მზრუნველობითი ვალდებულებების შესახებ (იხ. ბანგკოკის წესები, წესი 4).

პერსონალს და სისტემას კარგად ესმის, რომ უფრო დიდი საჭიროებები არ უდრის მაღალ რისკს ან საფრთხეს. ადამიანები მენტალური ჯანმრთელობის პრობლემებით განთავსებული არიან სივრცეებში, რომელიც არ არის შემზღუდველი (საჭიროების გარეშე), ვინაიდან ცნობილია, რომ მსგავსმა ქმედებამ შეიძლება ჯანმრთელობის პრობლემების გაუარესება გამოიწვიოს, რაც უფრო მეტად თავს იჩენს დაკავებულ ქალთა პოპულაციაში (იხ. ბანგკოკის წესები, წესი 41).

ჩანართი 4: ქალთა განთავსების ადგილები კანადაში

2000 წელს ონტარიოში, მაქსიმალური უსაფრთხოების ქალთა ციხე კინგსტონში კანადის ერთადერთი ფედერალური დაწესებულება იყო დამნაშავე ქალებისთვის. ყველა ფედერალური დონის დამნაშავე ქალი, უსაფრთხოების დონის მიუხედავად, ამ ციხეში იგზავნებოდა. ფედერალურ დონეზე მსჯავრდებულ ქალთა შესახებ ანგარიში, მომზადებული სპეციალური ჯგუფის მიერ, შეიცავდა რეკომენდაციებს ციხის დახურვისა და მის ნაცლად „რეგიონული დაწესებულებებისა და აბორიგენული სამკურნალო სანატორიუმის გახსნის შესახებ, სადაც ქალებს მათზე ორიენტირებულ პროგრამებს შესთავაზებდნენ“ (ბარეტი და სხვები, 2010:6).

მთავრობამ გაითვალისწინა რეკომენდაციები და შედეგად, დღეს ინფრასტრუქტურა აბსოლუტურად განსხვავებულია და გენდერული პერსპექტივის მქონე მიდგომაა გამოყენებული. დაწესებულებაში განთავსება სამი კატეგორიის მიხედვით ხდება:

1) ქალები, რომლებიც შედიან მინიმუმ ან საშუალო უსაფრთხოების დონეს, განთავსებული არიან საცხოვრებელ ბლოკებში საერთო საცხოვრებელი ზონებით, სადაც თავად ისინი არიან პასუხისმგებელნი ყოველდღიური საქმეების შესრულებაზე (საკვების დამზადება, დასუფთავება და სარეცხის რეცხვა). იქვე მუშაობს დედა-შვილის პროგრამა დამნაშავე ქალთა ყველა დაწესებულებაში;

2) ქალები, რომლებიც შედიან მინიმალურ ან საშუალო უსაფრთხოების ჯგუფში და აქვთ მენტალური ჯანმრთელობის პრობლემები ან/და კოგნიტიური შეზღუდვები, განთავსებულები არიან საცხოვრებელ ბლოკებში, რომელთაც ეწოდებათ „სტრუქტურირებული საცხოვრებელი გარემო“. იქ მუშაობს პერსონალი მენტალური ჯანმრთელობის შესახებ სპეციალიზებული განათლებით, რომელთაც შეუძლიათ დახმარებისა და ზედამხედველობის გაწევა. მათთვის უზრუნველყოფილია ინტერვენციები, სტრუქტურირებული უნარ-ჩვევების ჯგუფები და ყოველდღიური აქტივობები. ქალები დამატებითი მენტალური ჯანმრთელობის საჭიროებებით განთავსებულნი არიან კანადის სასჯელაღსრულების სამსახურის ეროვნულ სამკურნალო ცენტრებში.

3) ქალები, რომლებიც შედიან მაქსიმალური უსაფრთხოების ჯგუფებში განთავსებული არიან სპეციალურ ბლოკებში, სადაც მაღალი დონის ინტერვენციები და ზედამხედველობა ხორციელდება სპეციალიზებული პერსონალის მიერ. ზოგ ქალს მენტალური ჯანმრთელობის პრობლემებიც აქვს და მათ სთავაზობენ შესაბამის ინტერვენციებს, დიალექტიკური ქცევითი თერაპიისა და მოდულარული ინტერვენციების ჩათვლით.

ამასთან, კანადის სასჯელაღსრულების სამსახურს აქვს შეთანხმება რამდენიმე ადგილობრივ ფსიქიატრიულ კლინიკასთან და მკვიდრი თემის წარმომადგენელ ქალებს სპეციალური „სამკურნალო სანატორიუმით“ უზრუნველყოფს. ამ სანატორიუმს შემუშავებული აქვს ერთგვარი „ხედვა“, რომელიც დაგეგმვის პროცესში უხუცესებმა შეიმუშავეს, და, მაშასადამე, იგი ფართოდ არის მოწონებული თემის მხრიდან.

წყაროები: კანადის სასჯელაღსრულების სამსახური (2002) „არჩევანის შექმნა: სპეციალური ჯგუფის ანგარიში ფედერალურ დონეზე მსჯავრდებული ქალების თაობაზე“, ოტავა, ონტარიო: კანადის მთავრობა; მ.რ. ბარეტი, კ. ალენბი და კ. ტეილორი (2010) „ოცი წლის შემდეგ: ფედერალურ დონეზე მსჯავრდებული ქალების შესახებ სპეციალური ჯგუფის გადახედვა“, კვლევითი ანგარიში რ-222, ოტავა, ონტარიო, კანადის სასჯელაღსრულების სამსახური.

3.5 პოლიტიკა, პრაქტიკა და პროგრამები ბავშვებთან, ოჯახის წევრებთან, მნიშვნელოვან ადამიანებთან და საზოგადოებასთან ჯანსაღი ურთიერთობების ხელშეწყობისათვის

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები დადებითი ზეგავლენის ქვეშ ექცევიან, რაც გამოწვეულია პატიმრობაში მყოფი პირების თავის ოჯახებთან ურთიერთობით. პოლიტიკისა და პრაქტიკის დონზე, დაწესებულება ახალისებს ისეთ მიდგომას, რომელიც ხელს უწყობს ოჯახსა და საზოგადოებას შორის კავშირს, განსაკუთრებით კი ბავშვებთან ურთიერთობას.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მომუშავე პერსონალისთვის ცნობილია ბავშვებისა და მშობლების ურთიერთობის მნიშვნელობა, ვინც არ უნდა იყოს ეს მშობელი: ქალი, კაცი თუ ტრანსგენდერი კაცი თუ ქალი. ამდენად, დაწესებულებები ხელს უწყობენ ასეთ კონტაქტს, პირველ რიგში ფიზიკური ვიზიტებით და ამავე დროს, მრავალი სხვა ფორმით, ტელეფონის, ვიდეო ზარის, ელ. ფოსტის, წერილების და ა.შ. საშუალებით. პროგრამები ხელს უწყობს ჯანსაღ პოზიტიურ ურთიერთობას ადგილობრივ თემთან და აღიარებს იმ ქალთა გენდერულ გზებს პატიმრობისკენ, რომლებმაც წარსულში განიცადეს ძალადობა.

სისტემისთვის ცნობილია, რომ საპატიმროებში ყოფნის პერიოდში ბევრი ქალი მიატოვა ქმარმა და პარტნიორმა (კაცებს შედარებით უფრო ხშირად უჭერენ მხარს საკუთარი პარტნიორები), მაშასადამე, პოლიტიკა შემუშავებულია იმგვარად, რომ ქალებმა შეძლონ ოჯახებთან ურთიერთობის შენარჩუნება იზოლაციისა და სტიგმის შესამცირებლად და თავიდან ასაცილებლად.

დაკავებულებს ყოველთვის ეკითხებიან ვინ შეიძლება ეწვიოთ მათ, უშუალო ოჯახის წევრების ჩათვლით. ამას განსაკუთრებით ითვალისწინებენ ბავშვების შემთხვევაში, რომელთაც, შესაძლებელია, განუცდიათ ძალადობა, ისევე როგორც ქალების შემთხვევაში, მითუმეტეს, რომ ქალთა გაცილებით დიდი რაოდენობა ოჯახში ძალადობის მსხვერპლია (იხ. ბანგკოკის წესები, წესი 44).

არ ვრცელდება შეზღუდვები (უსაფრთხოებასთან არაა დაკავშირებული) იმაზე თუ ვის შეუძლია ეწვიოს პატიმარს, ხოლო ლგბტი დაკავებულებს შეიძლება დისკრიმინაციის გარეშე ეწვიონ პარტნიორები. ერთი სქესის მშობელთა დაკავებული შვილების (ზრდასრულების ჩათვლით) მონახულება შეუძლია ორივე მშობელს და აღიარებულ არა სისხლით ნათესავ მშობლებს, რომელთაც ზუსტად ისე ეპყრობიან, როგორც სისხლით ნათესავს.

კაცების დაწესებულებაში მომუშავე პერსონალი აცნობიერებს კულტურულ მოლოდინებს, რომელსაც გრძნობს მრავალი კაცი - დაიცვას და შეინახოს პარტნიორები, ბავშვები და სხვა ნათესავები; მათ ესმით, რომ თავისუფლების აღკვეთის გამო ეს კაცები ვერ ასრულებენ საკუთარ ფუნქციას, რაც მენტალური ჯანმრთელობის

პრობლემებს იწვევს და ანტისოციალურ ქცევას აღვივებს. დაწესებულებაში კაცებთან მუშაობს პროგრამები, ხელს უწყობს მათი ოჯახთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის შენარჩუნებას და აქცენტს აკეთებს მამობაზე, რათა მათ შეიძინონ მამა-შვილის ჯანსაღი ურთიერთობისათვის საჭირო უნარ-ჩვევები.

3.6 სრულყოფილი, ინტეგრირებული და კულტურულად მისაღები ფიზიკური და მენტალური ჯანდაცვის შეთავაზება

გაცნობიერებულია ისიც, რომ თავისუფლებააღკვეთილ მოსახლეობაში, უფრო მეტად არიან ფიზიკური და მენტალური დაავადებების მქონე ადამიანები, ვიდრე ზოგადად მოსახლეობაში[2]. ფიზიკური გარემოს შეზღუდვები შეიძლება ართულებდეს ისეთ პრობლემებს, როგორიცაა ინფექციური დაავადებები და ტრავმა.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები ქმნიან ჯანდაცვისა და სანიტარულ პირობებს ქალებისათვის, ხოლო მედპერსონალი სპეციალურადაა მომზადებული კონკრეტული კულტურისათვის მისაღები ზრუნვის, მოვლის და მკურნალობის უზრუნველსაყოფად. ჯანდაცვის სტანდარტები და ხელმისაწვდომობა პრაქტიკულად ისეთივეა, როგორც ფართო საზოგადოებისათვის.

არასრულწლოვანი ქალი პატიმრები ჩართულები არიან ასაკისთვის შესაბამის და გენდერულად სპეციფიურ პროგრამებში და მომსახურებაში, როგორიცაა ფსიქოლოგის კონსულტაციები სექსუალურ და სახვა ფორმის ძალადობაზე. ისინი იღებენ ინფორმაციას ქალთა ჯანდაცვის შესახებ და შეუძლიათ რეგულარულად ეწვიონ გინეკოლოგებს, ზრდასრული ქალი პატიმრების მსგავსად. ორსული არასრულწლოვანი პატიმრები იღებენ ისეთივე სამედიცინო დახმარებას, რასაც ზრდასრული ქალი პატიმრები, ოღონდ გასათვალისწინებელია, რომ არასრულწლოვნების შემთხვევაში ორსულობის გართულების უფრო მეტი რისკი არსებობს (იხ. ბანგკოკის წესები, წესები 38 და 39).

ნარკოტიკების მოხმარებისა და დანაშაულებრივი ქცევის პროგრამები შემუშავებულია კონკრეტული გენდერისათვის, რომელიც ითვალისწინებს იმ გენდერულ ასპექტებს, რამაც შეიძლება მიიყვანოს ადამიანი ამ მდგომარეობამდე. ტრავმის სამკურნალო პროგრამები, ფსიქოლოგიური ზრუნვა და კონსულტაციები უზრუნველყოფილია და ითვალისწინებს წარსულში ვიქტიმიზაციას და ძალადობას, ორსულ და ბავშვებიანი ქალების განსაკუთრებულ საჭიროებებს, ისევე როგორც მრავალფეროვან კულტურულ ასპექტებს (იხ. ბანგკოკის წესები, წესი 15).

3.7 სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის გაუმჯობესების თანაბარი შესაძლებლობა მიღწეულია გენდერული პერსპექტივის მქონე სტრატეგიებით

ქალი პატიმრები (ბავშვებისა და არასრულწლოვნების ჩათვლით) ზოგად და პროფესიულ განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობით სარგებლობენ (იგივე ასაკის კაცი პატიმრების მსგავსად) (იხ. ბანგკოკის წესები, წესი 37). განათლება დაბალანსებულია და შეიცავს სხვადასხვა სრულყოფილ ვარიანტებს ქალებისა და გოგოების ასაკისთვის დამახასიათებელი საჭიროებების გათვალისწინებით (იხ. ბანგკოკის წესები, წესი 42).

თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ახორციელებენ საკმაოდ მოქნილ პროგრამებს ფეხმძიმე ქალების, მეძუძური და ბავშვებიანი დედების და ფსიქოლოგიური საჭიროებების მქონეთა ინტერესების გათვალისწინებით. ბავშვზე ზრუნვის ორგანიზაციული საკითხები მოგვარებულია ისე, რომ პატიმარმა ბავშვიანმა ქალებმა ციხის აქტივობებში მონაწილეობა შეძლონ.

პროგრამები ქალების და კაცების ფინანსურად დამოუკიდებელი და სტაბილური ცხოვრებისთვის მომზადებას ისახავს მიზნად, ანუ ისინი იძენენ საჭირო უნარ-ჩვევებს (იხ. ბანგკოკის წესები, წესი 42).

3.8 სრულყოფილი და თანამშრომლობაზე ორიენტირებული საზოგადოებრივი მომსახურება და ზედამხედველობა

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები მჭიდროდ თანამშრომლობენ სამოქალაქო საზოგადოებასთან, არასამთავრობო ორგანიზაციების და ქველმოქმედი პარტნიორების ჩათვლით, რათა დაეხმარონ გათავისუფლებულ პირებს რესოციალიზაციაში და რეგულარული ზედამხედველობა და მონიტორინგი უზრუნველყონ პირობებსა და მკურნალობაზე. თანამშრომლობა მიდის ორგანიზაციებთან, რომლებიც სპეციალიზებული არიან ქალებსა და გოგოებთან მუშაობაზე, ვინაიდან აღიარებულია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მონიტორინგის ჩატარებისა და რეინტეგრაციის მართვის სპეციალური საჭიროება. კაცებზე მომუშავე ორგანიზაციები ახორციელებენ გენდერული პერსპექტივის მქონე ღონისძიებებს იმ კაცებისა და ბიჭების საჭიროებებში გასარკვევად, რომლებიც საზოგადოებაში რეინტეგრაციას გადიან.

მხარდაჭერის უწყვეტობა უზრუნველყოფილია პირის საპატიმროდან გათავისუფლებისა და საზოგადოებაში დაბრუნების გარდამავალ პერიოდში. ყოვლისმომცველი, კულტურულად სენსიტიური გეგმები შედგენილია ყველა პირზე ცალკე. გეგმები ითვალისწინებს პროცესში შესაძლო პრობლემებისა და სირთულეების წარმოქმნის შესაძლებლობას, განსაკუთრებით, თუ იგი გულისხმობს სტიგმას, ან თუ ოჯახმა მიატოვა პატიმარი, ან თუ საჭიროა შვილებთან ურთიერთობის აღდგენა - ყველაზე ხშირად ამ სირთულეებს ქალები აწყდებიან, თუმცა კაცებსაც უწევთ ასეთი პრობლემების განცდა.

3.9 ზედამხედველობისა და შეფასების შიდა და გარე კონტროლის გზით, გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება

დამოუკიდებელი ორგანიზაციები, ეროვნული ადამიანის უფლებების ინსტიტუტების და ომბუდსმენის დაწესებულებების ჩათვლით, რეგულარულად ატარებენ მკურნალობის და პირობების მონიტორინგს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში და წარადგენენ გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ რეკომენდაციებს გენდერულ ჭრილში.

ორგანიზაციები, რომლებიც ამოწმებენ ქალთა საპატიმრო დაწესებულებებს, დიდწილად ქალებისაგან შედგება და გასაუბრებებს პატიმარ ქალებთან მხოლოდ ქალები ატარებენ (იხ. ბანგკოკის წესები, წესი 25). საზედამხედველო ორგანოებსა და ინსპექციების სამსახურებს ჰყავთ თანამშრომლები, რომელთაც საპატიმროებში ტრანსგენდერ ქალებთან და კაცებთან მუშაობის გამოცდილება აქვთ და შესაბამისად რჩევების მიცემაც შეუძლიათ გენდერული მიდგომების გაუმჯობესებისათვის.

პასუხისმგებელი სახელმწიფო სამინისტროები/დეპარტამენტები ინფორმირებულები არიან მონიტორინგის ინსტიტუტების რეკომენდაციების შესახებ, ხოლო დეპარტამენტის უფროსი წევრი პასუხისმგებელია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების მიერ რეკომენდაციების შესრულებაზე. საპარლამენტო ზედამხედველობა გულისხმობს გენდერულად დაბალანსებული ჯგუფების შედგენას ზედამხედველობის განხორციელებისათვის. ხშირად დაწესებულებები შიდა აუდიტსაც ატარებენ და რეკომენდაციების შესრულების ხარისხს აფასებენ.

1. ჯ. ფედოკი და ს. კოვინგტონი (2017) „პენიტენციური სისტემის პროგრამები და გენდერი“, ოქსფორდის ენციკლოპედიაში: კრიმინოლოგია და სისხლის სამართალი https://oxfordre.com/criminology (22 ოქტომბერი 2019).
2. ს. ფაზელი, ჰეიესი, ბარტელასი, კლერიჩი და ტრესტმანი (2016) „პატიმართა მენტალური ჯანმრთელობა: პრევალენტობის, უარყოფითი შედეგებისა და ინტერვენციების შეფასება“, Lancet Psychiatry, 3, გვ. 871–881.

4. რჩევები თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში გენდერული თანასწორობის გაუმჯობესებისთვის

ნაწილი 3 აღწერდა ხედვას, ეს ნაწილი კი გვთავაზობს კონკრეტულ ნაბიჯებს, რომელიც შეიძლება, გადაიდგას გენდერული პერსპექტივის ინტეგრირებისა და გენდერული თანასწორობის დამკვიდრების ხელშეწყობისათვის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში. იგი აქცენტს აკეთებს სახელმწიფო სტრუქტურების (დაინტერესებულ პირთა) სამ ძირითად დონეზე:

1. ეროვნული, პოლიტიკის შექმნის დონე: ისინი, ვისაც ხელეწიფებათ პოლიტიკის დღის წესრიგის შექმნა და რეფორმირება.
2. ინსტიტუციურ დონეზე საქმიანობა და ხელმძღვანელობა: ისინი, ვისაც ხელეწიფებათ რეფორმების წარმართვა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში.
3. სამოქალაქო საზოგადოება: პარტნიორობა ამ ჯგუფთან მნიშვნელოვანი ფაქტორია გრძელვადიანი, მდგრადი შედეგების მისაღწევად.

გასათვალისწინებელია, რომ ჯერ-ჯერობით არც-ერთ ქვეყანას სრულად არ განუხორციელებია გენდერული პერსპექტივა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, თუმცა კარგი პრაქტიკის მაგალითების რიცხვი იზრდება; ზოგ მათგანზე ქვემოთ არის საუბარი.

4.1. რჩევა სახელმწიფოს/ეროვნული ჩართულობისათვის

საკანონმდებლო ცვლილებები

გენდერული თანასწორობის პოზიტიური რეფორმის განხორციელებისათვის საჭიროა საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები თარგმნიან და აღასრულებენ კანონს ადგილობრივ დონეზე. კანონმდებლობა არ არის აუცილებელი წინაპირობა, ვინაიდან არსებობს შემთხვევები, როდესაც დაწესებულების ხელმძღვანელობა და წინა ხაზის თანამშრომლებიც კი, კანონის გარეშეც ქმნიან ინიციატივებს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად სხვადასხვა ჯგუფებისთვის. თუმცა, რეფორმის განხორციელების ყველაზე სწორი და მდგრადი გზა კანონმდებლობის მიღებაა.

პოლიტიკოსებს და კანონმდებლებს არ მოუწევთ ყველაფრის ნულიდან დაწყება. არსებობს საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული რბილი კანონი გაეროს სტანდარტებისა და რეგიონალური შეთანხმებებისა და პროტოკოლების სახით. მაგალითად, რამდენიმე ქვეყანამ შეიტანა გაეროს ბანგკოკის ყველა წესი საკუთარ კონსტიტუციებში. ზოგმა ქვეყანამ გამოიყენა ეს წესები და მიიღო კანონი. ორი მაგალითი წარმოდგენილია ჩანართში 5*.

რა უნდა გვახსოვდეს

„ყველას ერთი ზომის ტანსაცმელი არ ერგება“. მოერიდეთ რეფორმების მარტივ დუბლირებას; შეიმუშავეთ საკუთარი რეფორმები ადგილობრივი ცოდნისა და ფაქტების საფუძველზე

* მეტი ინფორმაციისათვის ციხეში ქალთა პოპულაციის შემცირების თაობაზე საკანონმდებლო რეფორმისა და პრაქტიკის შეცვლის საშუალებით იხ. UNODC (2014) სახელმძღვანელო ქალებსა და პატიმრობაზე, UNODC, გვ. 103-128.

ფოტო: ნარატივატის ციხის თანამშრომლები განიხილავენ წყალმომარაგების პროექტს ICRC-ის წარმომადგენლებთან ერთად, ტაილანდი, 2009, © ICRC / Kanya Chimroylarp (კანია ჩიმპროილარპი)

ჩანართი 5: ალბანეთის საკანონმდებლო რეფორმა გენდერული ნიშნით ძალადობაზე

დასაწყისში ალბანეთის საკანონმდებლო ჩარჩო ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში კაცებისა და ქალების მკაცრ დაყოფას და პატიმარი ქალების მხოლოდ ქალი თანამშრომლების მიერ ზედამხედველობას. 2014 წელს კანონი დაიხვეწა და დაემატა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციაზე დისკრიმინაციის დაუშვებლობის მუხლში. ცვლილებები, ბანგკოკის წესების გათვალისწინებით, გულისხმობს გენდერული ნიშნით ძალადობის ყველა დაზარალებულის მყისიერ დაცვას და ინდივიდუალურ მოპყრობას, ისევე როგორც ჯანდაცვის ღონისძიებების გატარებას გენდერულად სპეციფიური საჭიროებების გათვალისწინებით, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ჩათვლით.

პერუს ოქმი ქალთა განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინების შესახებ

2016 წელს პერუს ეროვნულმა სასჯელაღსრულების ინსტიტუტმა მიიღო ოქმი „ბრალდებულ და მსჯავრდებულ ქალებზე სრულყოფილი ზრუნვა და მოპყრობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში და გათავისუფლების შემდგომ“ (“Atención integral y tratamiento penitenciario para mujeres procesadas o sentenciadas en establecimientos penitenciarios y medio libre”). ბანგკოკის წესების გათვალისწინებით, ოქმში აღიარებულია საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლის ყოფნა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, მათ შორის, მკვიდრი თემის წევრი ქალების, ესპანური ენის არმცოდნე ქალების, უცხოელთა, ხანდაზმულ ქალთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების, ლგბტი ადამიანების, აივ-ინფექციის ან სხვა ქრონიკული დაავადების მქონე ქალების, მენტალური პრობლემების მქონე, ორსული და იმ ქალების ჩათვლით, რომლებიც საპატიმროში 3 წლამდე ასაკის შვილებთან ერთად არიან. ეს ხაზს უსვამს ამ განსხვავებული ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინების და სახელმწიფო დაწესებულებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან პარტნიორობის მნიშვნელობას, რომ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ქალებისთვის უზრუნველყოფილი იყოს დაფინანსება, მონიტორინგი და საჭირო მომსახურების მიწოდება. ასევე, ოქმი მეტ კონკრეტიკას შეიცავს სხეულის ჩხრეკის და მსგავს სიტუაციებში ქცევის წესების შესახებ.

წყაროები: ეუთო/ოდირი (2019) სექსუალური და გედერული ნიშნით ძალადობის პრევენცია და მასზე რეაგირება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში: სტანდარტების, მიდგომებისა და მაგალითების კრებული ეუთოს რეგიონიდან, ვარშავა: ეუთო/ოდირი; მარია ევა დორიგო (2016), (პერუმ მიიღო პროტოკოლი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ქალების მოპყრობის თაობაზე გაეროს ბანგკოკის წესების გათვალისწინებით) ციხის საერთაშორისო რეფორმა, ბლოგის სტატია, 5 აგვისტო, www.penalreform.org/blog/peru-has-adopted-a-protocol-for-the-treatment/ (17 ოქტომბერი 2019).

პოლიტიკური და საზოგადოების მხარდაჭერა

პოლიტიკური მოთამაშეების და საზოგადოების მხარდაჭერის მიღწევა საკმაოდ რთულია, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანია, რომ წამყვან პოზიციებზე მყოფმა ოფიციალურმა პირებმა აღიარონ გენდერული განსხვავებები და მხარი დაუჭირონ პოლიტიკას და პრაქტიკას დისკრიმინაციის შესამცირებლად და გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად.

საჭიროა ადამიანური და ფინანსური რესურსების გამოყოფა ქალებზე, კაცებზე და ლგბტი ადამიანებზე ორიენტირებული სტრატეგიებისა და მომსახურების შესაქმნელად. მაღალი ადმინისტრაციული თანამდებობების შექმნა მართვის, მონიტორინგის და მუდმივი გაუმჯობესებისათვის უზრუნველყოფს მდგრადი ცვლილების სტრუქტურას და ხაზს უსვამს, რომ გენდერული განსხვავებები მნიშვნელოვანია და საჭიროა მათი აღიარება.

ნებისმიერ, ცალკე აღებულ სახელმწიფოში არსებულ კონტექსტში გასარკვევად, ლიდერებმა უნდა დაიწყონ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი

პირების გამოცდილების შესახებ არსებული ვითარების სრულყოფილი შეფასება. ასეთმა შეფასებამ უნდა შეისწავლოს და გამოავლინოს მათი გენდერული საჭიროებები, რის საფუძველზეც შემუშავდება რეგულარული და მონიტორინგზე დაქვემდებარებული სამოქმედო გეგმა*.

პოლიტიკა უნდა შემუშავდეს იმგვარად, რომ ხაზს უსვამდეს ფიზიკური და ემოციური დაცულობის საკითხებს და თავს არიდებდეს ისეთ პროცედურებს, რომელმაც შესაძლოა განმეორებითი ტრავმირება გამოიწვიოს. მიუღებელ ქცევაზე საჩივრების წარდგენისა და შესწავლის პროცედურები ყველასათვის გასაგები უნდა იყოს, და უნდა ტარდებოდეს ღიად და გამჭვირვალედ.

გენდერული პერსპექტივის ინტეგრირების გაუმჯობესების მომხრეთა ძალისხმევის გასაძლიერებლად შესაძლებელია თანამოაზრე დაწესებულებების, ორგანიზაციების, დეპარტამენტებისა და ცალკე პირების მონაწილეობით რეგიონული სამიტების ჩატარება. სხვა სტრატეგია გულისხმობს ისეთი საპატიმრო დაწესებულებების წარმოჩენას, რომლებიც გენდერულ პერსპექტივას იყენებს და საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მხარდაჭერას იღებს მიღწეული შედეგების კვალობაზე (იხ. ჩანართი 6). დაწესებულებების მიმდინარე მონიტორინგი მნიშვნელოვანია, რათა ასეთმა დაწესებულებებმა შეინარჩუნოს საქმიანობის მაღალი ხარისხი.

ჩანართი 6: ხელმძღვანელობა და ეროვნული მიდგომა ტაილანდში

ბანგკოკის წესების შექმნის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა იყო ტაილანდის მთავრობა. ტაილანდის იუსტიციის ინსტიტუტი საერთაშორისო ასპარეზზე ხელს უწყობდა მართლმსაჯულების სისტემაში ქალთა უფლებების დაცვას. ასეთმა დამოკიდებულებამ და ინვესტირებამ მოიზიდა დაფინანსება და გამოიწვია გენდერულად სენსიტიური პროგრამების შემუშავება სამხრეთ-აღმოსავლეთის აზიის ქვეყნების ასოციაციის რეგიონში და მის ფარგლებს გარეთაც. კერძოდ კი, ტაილანდის პრინცესამ, ბაჯრაკიტიაბა მაჰიდომამ საერთაშორისო და გაეროს ღონისძიებებზე რეგულარული მოხსენებებით და გამოსვლებით, გამოიყენა თავისი პლატფორმა ციხეში ქალთა უფლებების დასაცავად, როგორც თავის ქვეყანაში, ისე გლობალურად.

გენდერული პერსპექტივის მქონე მიდგომის მხარდაჭერამ გამოიწვია ტაილანდში ეროვნული ინიციატივის წამოწყება სახელად „ციხეების მოდელირებული პროექტი“. მოცემული სამთავრობო ინიციატივა ციხის ხელმძღვანელობას ბანგკოკის წესების დანერგვისკენ მოუწოდებს და შემდგომში მათი შესრულების მკაცრი კრიტერიუმებით შეფასებას აკეთებს და „სანიმუშო ციხის“ სტატუსს ანიჭებს იმ დაწესებულებებს, სადაც გენდერული პერსპექტივაა დანერგილი.

2017 წელს ოთხმა ციხემ მიიღო სანიმუშო ციხის სტატუსი; ამდენად, მთლიანად ტაილანდში 10 ციხეს მიენიჭა ეს სტატუსი. აღნიშნულ პროექტში ისეთი მიმართულებების განსაზღვრისას, რომელთაც დამატებითი ძალისხმევა ესაჭიროება, გამოვლინდა აიუტაიას პროვინციული ციხე, რომელიც გამართულ და წარმატებულ პროგრამებს ახორციელებს შემდეგ სფეროებში:

- ორსულ ქალებზე ზრუნვა და მათზე დამოკიდებული ბავშვები ციხეში
- დედათა და ბავშვთა ჰიგიენა
- გათავისუფლებისათვის მომზადება
- განათლება - სპეციალური „სასწავლო ცენტრის“ მეშვეობით
- ფსიქოლოგიური მხარდაჭერა - სპეციალური „ბედნიერი ცენტრის“ საშუალებით

წყაროები: ტაილანდის სამართლის ინსტიტუტი (2017) „ტრენინგი ბანგკოკის წესებზე“, training.tijbangkokrules.org/ (17 ოქტომბერი 2019).

* იხ. ნაწილი 5 თვითშეფასების ფორმის ნიმუშის სანახავად; გენდერული შეფასება და გენდერის ინტეგრირება შეფასებაში ასევე განხილულია მე-პრაქტიკულ მითითებაში 15 - უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორში გენდერის საკითხების გათვალისწინება პროექტის შემუშავებისა და მონიტორინგის დროს.

შიდა კონტროლი და მონაცემების შეგროვება

გენდერულად სენსიტიური პოლიტიკის მიღებასთან ერთად მეტად მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოებმა ჩაატარონ შეთანხმებული სტანდარტების შესრულების რეგულარული მონიტორინგი და მიიღონ შესაბამისი ზომები სიტუაციის გაუმჯობესებისათვის, თუ შედეგი შესრულებული სამუშაოს დაბალ ხარისხზე მიუთითებს. მსგავს მონიტორინგს შეიძლება, ატარებდნენ ინსპექტორების ან აუდიტორების შიდა ჯგუფები. შემოწმება არ გულისხმობს მხოლოდ უარყოფითი ფაქტების გამოვლენას, საჭიროა დადებითი ფაქტებისა და მიღწევების აღნიშვნაც ასეთი პრაქტიკის სხვა დაწესებულებებში გავრცელების მიზნით[1]. მონაცემების მუდმივი მონიტორინგი საპარლამენტო მონიტორინგის ვიზიტები ძალიან მნიშვნელოვანია*†. სამთავრობო სტრუქტურებმა შეიძლება გაითვალისწინონ შემოწმების შედეგები და მონაცემთა მონიტორინგი სხვა დამოუკიდებელი ორგანიზაციებისგან მოწოდებულ მონაცემებთან ერთად (დეტალურად განხილულია ნაწილში 4.3).

შიდა ზედამხედველობა არის ერთგვარი დაცვის მექანიზმი თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის; ამავე დროს, იგი საკმაოდ სასარგებლო შეიძლება, იყოს დაწესებულებების თანამშრომლებისთვის. შემოწმება არის პატიმართა მიმართ ციხის თანამშრომლების მხრიდან არასათანადო მოპყრობის ან სხვა მიუღებელი ქცევის ფაქტების აღმოჩენისა და შესწავლის საშუალება; ასევე, შემოწმება წარმოადგენს ციხის თანამშრომელთა უსამართლო საჩივრებისაგან დაცვის საშუალებას. მეტიც, შემოწმებები შეიძლება იყოს იმ თავდადებულ თანამშრომელთა შრომის დაფასების საშუალებაც, რომლებიც მათზე დაკისრებულ ფუნქციებს მაღალ დონეზე ასრულებენ და გენდერულად მგრძნობიარენი არიან[2].

მხოლოდ სრულყოფილი სტატისტიკის რეგულარულად შეგროვება მოგვცემს ნებისმიერი პრობლემის სათანადოდ შეფასების საშუალებას. ეს არ გულისხმობს მხოლოდ მონაცემების სიზუსტეს, არამედ იმის გათვალისწინებასაც, რომ ზოგი ადამიანი უხილავი რჩება, მათ მიმართ განხორციელებული დისკრიმინაცია და უთანასწორობა შეუმჩნეველი შეიძლება დარჩეს.

იმპერატიულია, რომ სახელმწიფო აგროვებს მრავალფეროვან სტატისტიკურ მონაცემებს ეროვნულ და ინსტიტუტების დონეზე; ეს მონაცემები გენდერის ნიშნით უნდა იყოს სეგრეგირებული. აუცილებელია მონაცემების მინიმუმ ყოველთვიურად შედგენა და რეგულარული გაანალიზება, ხოლო მიგნებები პოლიტიკის შემუშავებისთვის უნდა იყოს გამოყენებული. ასეთი მონაცემები უნდა შეგროვდეს და გაანალიზდეს იმ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, რომლებიც წარმოადგენენ მოსახლეობის შესაბამის ჯგუფებს და იმ ადამიანებთან ერთად, ვისაც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებში ყოფნისა უშუალო გამოცდილება აქვთ. კონკრეტული სტრატეგიის განხორციელებაზე ზედამხედველობა კი რეკომენდაციების შესრულებისა და შეფასების უფლებამოსილ სამთავრობო სტრუქტურას უნდა დაევალოს.

ქვემოთ მოყვანილია არასრული ჩამონათვალი, რომელიც ინსტიტუტებმა გენდერული ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების შეგროვებისთვის უნდა გაითვალისწინონ:

- პერსონალი (თანამდებობა, დაწინაურება, სამსახურიდან გათავისუფლება), მაღალი თანამდებობების ჩათვლით
- პერსონალის მონაწილეობა ტრენინგებში
- სექსუალური და გენდერული ძალადობა (პატიმრის მიერ პატიმრის მიმართ, პატიმრის მიერ პერსონალის მიმართ, პერსონალის მიერ პატიმრის მიმართ, პერსონალის მიერ პერსონალის მიმართ)
- საჩივრები (წარდგენილი და განხილული)
- ძალის და/ან შეკავების გამოყენება
- სეგრეგაციისა და იზოლირებულ საკანში განთავსების გამოყენება

* უსაფრთხოების სექტორსა და გენდერის საკითხებზე საპარლამენტო ზედამხედველობა განხილულია მე-7 პრაქტიკულ მითითებაში.

აგრეთვე, იხ. DCAF, OSCE/ODIHR, OSCE (2014) „გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობაში ომბუდსმენის ინსტიტუტისა და ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტების საშუალებით“.

† ლგბტი პატიმრებზე ფოკუსით მონიტორინგის შედეგების სანახავად იხ. წამების პრევენციის ასოციაციის ანგარიში (2018) “თავისუფლებააღკვეთილი ლგბტი ადამიანების ეფექტური დაცვა: მონიტორინგის შედეგები”, ჟენევა: APT.

ისე როგორც პატიმრებთან მუშაობის ყველა ასპექტის შემთხვევაში, შიდა ინსპექტირების ჯგუფი უნდა წარმოადგენდეს იმ გარემოს მრავალფეროვნებას, რომლშიც იგი შემოწმებას ატარებს. დამატებითი ძალისხმევაა საჭირო იმ ჯგუფებთან ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად, რომლებმაც ნაკლებად სავარაუდოა, გაამჟღავნონ სექსუალური და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის ფაქტები; სხვადასხვა კონტექსტში ეს ჯგუფები განსხვავებული იქნება. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისმა თავის ანგარიშში აღნიშნა ის დაბრკოლებები, რომელსაც ლგბტი ადამიანები აწყდებიან, როდესაც მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულის გამო საჩივრებს წარადგენენ:

> *ხშირ შემთხვევაში მსხვერპლები თავს იკავებენ საკუთარ გამოცდილებაზე ხმამაღლა საუბრისაგან გამოძალვის, კონფიდენციალურობის დარღვევისა და რეპრესიების შიშის გამო. ამასთან, მიკერძოებული და წინასასამართლო პერიოდში საქმეთა გაურკვეველი კატეგორიზაცია იწვევს არასწორ იდენტიფიკაციას, დამალვასა და საჩივრების წარდგენაზე უარის თქმას. იმის გამო რომ არ ხდება გამჟღავნებული შემთხვევების სათანადო გამოძიება, სისხლის სამართლებრივი დევნა და გამოვლენილი დამნაშავის დასჯა, ძალადობის მასშტაბის სრულყოფილი შეფასება შეუძლებელია[3].*

მონაცემების შეგროვებას რაც შეეხება, სექსუალური და გენდერული ძალადობის პრევალენტობის დადგენა შესაძლებელია სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე, პატიმრების ან ყოფილი პატიმრების გამოკითხვების, ოფიციალური ადმინისტრაციული მონაცემების, და დაკავებულების/პატიმრების მიერ მონიტორებთან შეტანილი საჩივრების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, ეროვნული და საერთაშორისო სასამართლოების მონაცემების ჩათვლით.

სხვადასხვა ქვეყნებს სექსუალური და გენდერული ძალადობის შესახებ საკუთარი განმარტებები აქვთ და სხვადასხვა მეთოდოლოგიები იყენებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნების მონაცემების შედარება საკმაოდ რთულია. თუმცა, მონაცემების შეგროვების ძლიერი მოტივატორია თემის სიღრმისეულად შესწავლა და ადგილობრივ კონტექსტში გარკვევა, ისევე როგორც საჭირო რეფორმების განსაზღვრა გენდერული თანასწორობის გაუმჯობესებისთვის.

იხილეთ მე-7 ჩანართი სექსუალური და გენდერული ძალადობის საკითხებზე მონაცემების შეგროვების მაგალითებისთვის*.

ჩანართი 7: მონაცემების შეგროვება კონტექსტში უკეთ გარკვევისათვის - აშშ

მას შემდეგ, რაც Human Rights Watch-ის გავლენიანმა ანგარიშმა (2001) გამოააშკარავა ციხეებში გაუპატიურების ენდემური პრობლემა და სექსუალური მონობა აშშ-ს ციხეებში, 2003 წელს გამოიცა კანონი ციხეებში გაუპატიურების აღმოფხვრის შესახებ.

ორგანიზაცია სპეციალური რეკომენდაციით მოუწოდებდა სასჯელაღსრულების ეროვნულ ინსტიტუტს „ეზრუნა პატიმრების მიერ პატიმრების გაუპატიურების შესახებ მონაცემების შეგროვებაზე, შენახვასა და გავრცელებაზე“, რადგან არ არსებობდა ეროვნული მონაცემები ამ საკითხზე (Human Rights Watch, 2001, ნაწილი III: რეკომენდაციები სასჯელაღსრულების ეროვნული ინსტიტუტისათვის). ციხეში გაუპატიურების აღმოფხვრის შესახებ კანონი ავალდებულებს მართლმსაჯულების სტატისტიკის ეროვნულ ბიუროს „აწარმოოს ყოველწლიური სტატისტიკა, ჩაატაროს ინციდენტების და ციხეში გაუპატიურების შედეგების სრულყოფილი სტატისტიკური შეფასება და ანალიზი“ და მისი თანამდევი სექსუალური ძალადობის შესახებ გამოკითხვა (რანტალა, 2018:4).

---

* დამატებითი ინფორმაციისთვის სექსუალური და გენდერული ძალადობის შემთხვევების გასაჩივრების პრევალენტობაზე იხ. OSCE/ODIHR (2019) სექსუალური და გენდერული ძალადობის პრევენცია და აღმოფხვრა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, სტანდარტების, მიდგომებისა და მაგალითების კრებული ეუთოს წევრი ქვეყნებიდან.

დამატებითი ინფორმაციისთვის იმაზე, თუ როგორ გააუმჯობესებენ მონიტორინგის ორგანოებმა ტრანსგენდერ პატიმრებთან მუშაობა, იხ. წამების პრევენციის ასოციაცია (2018) პატიმარი ლგბტი ადამიანების ეფექტური დაცვისათვის, მონიტორინგის სახელმძღვანელო, ჟენევა, APT.

მონაცემების რეგულარულმა მონიტორინგმა ხელი შეუწყო ციხეებში სექსუალური ძალადობის ფენომენის უკეთ გაგებას, რის შედეგადაც გაიწერა შემდგომი რეკომენდაციები. 2013 წელს სექსუალური ძალადობის გამოკითხვის სახელი შეიცვალა და დაერქვა „სექსუალური ვიქტიმიზაციის შესახებ გამოკითხვა"; ეს გაკეთდა ციხეებში გაუპატიურების აღმოფხვრის შესახებ კანონის მიღების შედეგად დანერგილ ეროვნულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით. დეფინიციები განახლდა და დაემატა კითხვები პატიმრებს შორის სექსუალური შევიწროების შესახებ. დემოგრაფიული ინფორმაცია გაფართოვდა და ახლა ტრანსგენდერ და ინტერსექს კატეგორიებსაც მოიცავს.

გამოკითხვების საშუალებით შეგროვებული მონაცემები გამოიყენება პოლიტიკის შემუშავებისათვის. მართლმსაჯულების სტატისტიკის ეროვნული ბიურო იყენებს ერთიან დეფინიციებს ყველა სქესობრივი ქმედებისა და გამოძიების შედეგებისათვის. ყველა სქესობრივი ქმედება დაყოფილია მოძალადის ტიპის (ანუ, პატიმარი თუ თანამშრომელი) და ქმედების ფორმის მიხედვით. საპატიმროებში სექსუალური ვიქტიმიზაციის რამდენიმე მაგალითი მოყვანილია ქვემოთ:

- პატიმრების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც საუბრობენ ციხეში მოხვედრის შემდეგ სხვა პატიმრის მხრიდან სექსუალური ვიქტიმიზაციის ერთ ან მეტ შემთხვევაზე
- პატიმრების პროცენტული რაოდენობა, რომლებიც საუბრობენ ციხეში მოხვედრის შემდეგ ციხის თანამშრომლის მხრიდან სექსუალური ვიქტიმიზაციის ერთ ან მეტ შემთხვევაზე
- მონაცემების სეგრეგირება და გენდერის ნიშნით (ქალი/კაცი/ტრანსგენდერი) ანალიზი და ეთნიკური წარმომავლობა
- მონაცემები მოკლე (წინასწარი დაკავების საკნები) და გრძელვადიან პატიმრობაში (ციხეები) მყოფი პირების შესახებ

წყაროები: Human Rights Watch (2001) „გამოუვალი მდგომარეობა: კაცების გაუპატიურება აშშ-ს ციხეებში - შეჯამება და რეკომენდაციები", www.hrw.org/reports/2001/prison/report1.html#_1_6; რანტალა (2018) „ზრდასრულთა სასჯელაღსრულების დაწესებულებების ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებული მონაცემები სექსუალური ვიქტიმიზაციის შემთხვევებზე", (2012-2015) ივლისი, ვაშინგტონი, იუსტიციის დეპარტამენტის მართლმსაჯულების სტატისტიკის ბიურო https://www.bjs.gov/content/pub/pdf/svraca1215.pdf (27.03.2020).

4.2. რეკომენდაციები თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებისათვის

პერსონალის შერჩევა და მიმდინარე ტრენინგი

მიუხედავად იმისა, რომ ზოგი ქვეყნის თავისუფლების აღკვეთის ქალთა დაწესებულებებში კაცებიც არიან დასაქმებულები და ისინი უშუალოდ ქალებთან მუშაობენ ან ხელმძღვანელობენ დაწესებულებას, „მანდელას წესები" (წესი 81) მკაფიოდ ამბობს, რომ ქალთა დაწესებულებას უნდა ხელმძღვანელობდეს ქალი და არსებობს დაწესებულების კონკრეტული ზონები, სადაც კაცები არ უნდა დაიშვებოდნენ. ეს კი გავლენას ახდენს პერსონალის შერჩევაზე. ზოგიერთმა ქვეყანამ კვოტები დააწესა ქალ პერსონალთა საჭირო რაოდენობაზე.

ისტორიულად, პერსონალის ტრენინგი მსგავსი იყო ყველა თანამშრომლისათვის, მიუხედავად იმისა მათ გაანაწილებდნენ კაცების თუ ქალების დაწესებულებაში. თანაც, შესაძლებელია, პერსონალი გადაყვანილ იქნას სხვა დაწესებულებაში დამატებითი ტრენინგის გარეშე. ზოგმა სახელმწიფომ დანერგა სპეციალური სავალდებულო ტრენინგი პატიმარ ქალებთან მომუშავე პერსონალისთვის(იხ. ჩანართი 8). ასეთი მიდგომა აიძულებს თანამშრომელს თავიდანვე იფიქროს (ან შეიცვალოს აზროვნება, თუ მას კაცების დაწესებულებიდან ქალთა დაწესებულებაში გადაიყვანენ) იმაზე, თუ რას ნიშნავს საპატიმრო დაწესებულებებში მოთავსებულ ქალებთან მუშაობა, რათა მან არ გამოიყენოს იგივე მიდგომები, რომელსაც კაცების დაწესებულებაში იყენებდა.

ჩანართი 8: ქალებზე ფოკუსირებული ტრენინგი - კანადა

კანადის სასჯელაღსრულების სამსახური მიიჩნევს პერსონალის აყვანას და ტრენინგს ქალ-პატიმრებთან დაკავშირებული სტრატეგიის ძირითად კომპონენტებად, შემდეგის ჩათვლით:

- ციხის თანამშრომლები უნდა შეირჩეს ქალების ან კაცების დაწესებულებაში სამუშაოდ. ოფიცრებს შეიძლება იგივე კლასიფიკაცია და ანაზღაურების კატეგორია ჰქონდეთ, მაგრამ თანამშრომელი ვერ გადავა კაცების დაწესებულებიდან ქალთა დაწესებულებაში სამუშაოდ თუ მან არ გაიარა სპეციალური, ქალებზე-ფოკუსირებული ტრენინგი;
- ქალების დაწესებულებებზე გათვლილი სპეციალიზებული კომპონენტები მოიცავს ძირითად თანამშრომლებს (ანუ, მათ ვინც უშუალო შეხებაშია ქალ პატიმრებთან) და ქცევის სპეციალისტებს (ინტერვენცია, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ ქალთა დაწესებულებებისათვის)
- პერსონალი, რომელიც მუშაობს უშუალოდ პატიმრებთან, ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს „ქალებზე ფოკუსირებულ ტრენინგში“ ქალებთან მუშაობის შესახებ სპეციფიური ცოდნის შესაძენად. ასეთი ტრენინგის ხანგრძლივობაა 1-8 დღე დაწესებულებაში თანამშრომლის როლის მიხედვით. ტრენინგის მიზანია, რომ მონაწილე ქალ პატიმართა საჭიროებებში გაერკვეს და შემდეგის დემონსტრირება მოახდინოს:
  - საზღვრების დადგენა, მედიაცია და პრობლემის გადაჭრა;
  - ქალ პატიმართა გაძლიერებასა და დაცულ და უსაფრთხო რეინტეგრაციას შორის სწორი ბალანსის დაცვის უნარი
  - მუშაობა პატიმრების მიერ გადატანილი ტრავმების გათვალისწინებით.

წყარო: ნოლანი, ჰარისი და დერკზენი (2017) „ქალზე ორიენტირებული საორიენტაციო ტრენინგის პროგრამის შეფასება“, კვლევის ანგარიში R-385, ოტავა, ონტარიო: კანადის სასჯელაღსრულების სამსახური.

პერსონალის გადამზადება გენდერული პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად მოსახლეობის იმ ნაწილში, რომელსაც ისინი უწევენ ზედამხედველობას არანაკლებ მნიშვნელოვანია, გენდერული პერსპექტივის პრაქტიკულ გამოყენებასთან და დაწესებულების თანამშრომლის შესაძლებლობების გაძლიერებასთან ერთად. თავისუფლების აღკვეთის ზოგიერთ დაწესებულებაში პერსონალთა ქსელები წარმოადგენენ კონკრეტული ჯგუფების ინტერესებს, როგორიცაა ქალი თანამშრომლები, ლგბტი თანამშრომლები და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე თანამშრომლები. როდესაც ჯგუფებს აქვთ დრო და საშუალება, განიხილონ მათ მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხები, ადამიანები უფრო კომფორტულად გრძნობენ თავს საკუთარი პრობლემები გამოხატონ რეპრესიების შიშის გარეშე, თანაც ასეთი პრობლემების წამოწევა ხელმძღვანელობის წინაშე შესაძლებელია კოლექტიურად მოხდეს.

ასევე, პატიმრების ან ბრალდებულების/დაკავებულების ფორუმების შექმნა შესაძლოა საკმაოდ კონსტრუქციული აღმოჩნდეს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში იქ მყოფი პატიმრების პრობლემების მოსასმენად. უფრო კონკრეტულად კი, ეს შეიძლება, დაეხმაროს დაწესებულების თანამშრომლებს უკეთ გაერკვნენ ინტერსექციური დისკრიმინაციის ფორმებსა და მოწყვლადობაში. მაგალითად, „ასაკოვან პატიმართა“ რეგულარული ფორუმების გამართვა კაცების დაწესებულებებში, ან სადისკუსიო ჯგუფების ჩატარება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებთან დაწესებულებებს საშუალებას მისცემს, უკეთ გაერკვნენ კონკრეტულ გენდერულ პრობლემებში, რომელიც სხვაგვარად, შეიძლება უყურადღებოდ დარჩეს.

ინფრასტრუქტურა და განთავსების ადგილები

თავისუფლების აღკვეთის ბევრი დაწესებულება წინა ეპოქაშია აგებული. ბევრი მათგანი კოლონიალური სტილის შენობაა ან სხვა მიზნებისთვის იყო გამიზნული, რომელიც შემდეგ გადაკეთდა. შემთხვევათა უმრავლესობაში ეს შენობები, რომლებშიც ადამიანები არიან განთავსებული მოკლე თუ ხანგრძლივი ვადით, არ იყო გათვლილი ქალებისა და კაცების გენდერულ საჭიროებებზე და პასუხისმგებლობებზე (იხ. მანდელას წესები, წესი 11).

ახალი დაწესებულებების მშენებლობისას რამდენიმე ტიპურ შეცდომას უშვებენ; ზოგი მათგანი ჩამოთვლილია ჩანართში 9.[4]

ჩანართი 9: გავრცელებული შეცდომები ციხის მართვაში

- გაუმართლებელი უსაფრთხოების ზომების მიღება პატიმრების მიერ შექმნილ რეალურ რისკებთან მიმართებაში, რაც აუარესებს პატიმართა ცხოვრების დონეს
- დიდი რაოდენობით სხვადასხვა კატეგორიის პატიმრის ერთ ციხეში განთავსება. შედეგად, ციხის პერსონალს უჭირს სრულად განაცალკევოს ყველა
- ციხეების მოშორებულ/ძნელად მისაწვდომ ადგილებში განლაგება. პატიმრები მოწყვეტილი არიან ოჯახებს და საზოგადოებრივ რესურსებს, რაც ხელს შეუწყობდა მათ რეაბილიტაციას და საზოგადოებაში დაბრუნებას
- ჰიგიენური/სანიტარული საშუალებების და სასმელი წყლის უკმარისობა საკნებში
- მოწყვლადი და სპეციალური საჭიროებების მქონე პატიმრებისათვის საჭირო საშუალებების გაუთვალისწინებლობა; მაგალითად, ბავშვიანი დედები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატიმრები
- მონახულების ძირითად ფორმად უკონტაქტო ვიზიტის გამოყენება და პატიმრებსა და მათ ოჯახებს შორის ფიზიკური კონტაქტის თავიდან აცილება
- არასაკმარისი ინფრასტრუქტურა პატიმრების რეაბილიტაციის უზრუნველსაყოფად

პატიმარ ქალებს ხშირ შემთხვევაში ათავსებენ კაცებისთვის გათვლილ შენობებში, ან კაცების დაწესებულებებზე მიშენებულ სივრცეებში. ქალებისა და გოგოებისთვის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების დაპროექტებისა და მშენებლობისას გასათვალისწინებელია ქალების გამოცდილება, საჭიროებები და პასუხისმგებლობები, რომელიც აღწერილია მოცემულ დოკუმენტში. ძირითადი გასათვალისწინებელი საკითხებია:[5]

სათანადო საორგანიზაციო საკითხები*

- საზოგადოებრივი მომსახურების მომწოდებლები ისეთი წრიდან შეარჩიეთ, რომ ოჯახთან და მხარდაჭერის ოფიციალურ სისტემებთან აწყობილი დადებითი ურთიერთობები პატიმრობის პერიოდშიც შენარჩუნდეს და საპატიმრო დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგაც გაგრძელდეს
- შენობის დიზაინი უნდა იძლეოდეს დადებითი ურთიერთობების დამყარების საშუალებას ემოციური მკურნალობისა და თვითშეფასების ამაღლებისათვის, რაც ყველასათვის მნიშვნელოვანია, მაგრამ განსაკუთრებით საჭიროა ტრამვა გამოვლილი პატიმრებისათვის
- რეკომენდირებულია ლოკალიზებული საცხოვრებელი ბლოკების შექმნა, თუმცა ნებისმიერი მსხვილი დაწესებულება ისე უნდა იყოს აწყობილი, რომ პირადი სივრცეებიც ჰქონდეს. ამის მიღწევა შესაძლებელია მცირე საცხოვრებელი ბლოკების „კლასტერების“ შექმნით შენობის ან ბლოკის ტერიტორიაზე, პატარა კოტეჯებით, რომლებიც მცირე მასშტაბით იფუნქციონირებს[6].

იხ. მანდელას წესები, წესები 28 და 29.

* დეტალური ინფორმაციისათვის ციხის ინფრასტრუქტურაზე, მათ შორის, დედათა და ბავშვთა ბლოკების შესახებ, იხ. UNOPS (2016) ტექნიკური მითითებები ციხის დაგეგმვის შესახებ; კოპენჰაგენი, გაერთიანებული ერები.

დაწესებულებაში უსაფრთხო მიღება და განთავსება

დაწესებულებაში პირველადი მიღება განსაკუთრებულად სტრესული პერიოდია თავისუფლებააღკვეთილებისათვის და ამას კიდევ უფრო მძაფრად განიცდიან ტრავმული გამოცდილების მქონე ადამიანები, ან ისინი, ვინც სახელმწიფო ორგანოების მხრიდან არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლი გახდა. შესაბამისად, პატიმართა ახალი ნაკადის მიმღებ ადგილებში საჭიროა შფოთვის შემცირების კონკრეტული მიზნისა და ღირსეული მოპყრობის პრაქტიკის დამკვიდრება. დადებითი პრაქტიკის მაგალითები:

- გამოიყენეთ ღია მოსაცდელი სივრცეები და არა საბადრაგო საკნები.
- უზრუნველყავით გასაუბრების ოთახების პრივატულობა ისეთი გარემოს შესაქმნელად, სადაც ახლად შემოსული დაკავებული თუ პატიმარი უფრო თავისუფლად ისაუბრებს მნიშვნელოვან და მისთვის მგრძნობიარე საკითხებზე.
- ჩხრეკის ზონებში დაბალანსებული უნდა იყოს უსაფრთხოების ზომების აუცილებლობა და ვიზუალური კონფიდენციალურობა.
- საშხაპეები და გამოსაცვლელები უნდა იყოს მოფარებული და სხვა დაკავებულების თუ პატიმრების უშუალო ხედვის არეალში არ უნდა ხვდებოდეს, ამასთანავე არ უნდა დაზარალდეს აუცილებელი უსაფრთხოება. ამისთვის, საკმარისი იქნება არასრული ტიხრის გაკეთება, სადაც მხოლოდ ადამიანის თავი და ფეხები გამოჩნდება.

ზოგ დაწესებულებაში დანერგილია ე.წ. პირველი ღამის ცენტრი, სადაც სპეციალურად მომზადებული თანამშრომლები მუშაობენ; ასეთი ცენტრის მიზანია სტრესის შეძლებისდაგვარად შემცირება. ახალ პატიმრებს ციხეში მიღების პირველ ღამეს სხვა პატიმრებისგან განცალკევებით ათავსებენ, ვინაიდან, ამ პერიოდში ძალიან ბევრი თვითმკვლელობისკენ არის მიმართული. იხ. ჩანართი 10, სადაც მოცემულია ალბანეთში გამოყენებული ოდნავ განსხვავებული მოდელი.
იხ. მანდელას წესები, წესი 24.

ჩანართი 10: ე.წ. მოცდის კომისია (waiting commission) და დადებითი გარემო თავისუფლების აღკვეთს დაწესებულებებში - ალბანეთი

როგორც წინასწარი დაკავების საკნებში, ისე ციხეში, ე.წ. მოცდის კომისიის გუნდი განსაზღვრავს თითოეული დაკავებულის თუ პატიმრის ინდივიდუალურ საჭიროებებს. პოლიტიკა ვრცელდება ქალებზე და კაცებზე, თუმცა უფრო გულმოდგინედ სრულდება ქალ პატიმართა შემთხვევაში. ამ მულტიდისციპლინურ კომისიებში, შედის ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, ექიმი და უსაფრთხოების თანამშრომელი. თითოეული ადგენს ინდივიდუალური კეთილდღეობის გეგმას, სადაც შფოთვებზე, დეპრესიასა თუ სხვა მენტალური ჯანმრთელობის პრობლემურ ნიშნებზე მიუთითებს.

ძველ სამხედრო ყაზარმებში განთავსებული „ალი დემის“ ქალთა ციხე მიმზიდველ, დაბალი უსაფრთხოების ციხედ გადაკეთდა, სადაც სოფლის მსგავსი ატმოსფერო სუფევს. იქ ბევრი მწვანე ზონაა და, ვინაიდან დაბალი რისკის დაწესებულებაა, კარი არასდროს არის ჩაკეტილი. შენობა და ტერიტორია გემოვნებითაა მოწყობილი, ქალებს თავიანთი ოთახების და საერთო ზონების მორთვა საკუთარი ხელით გაკეთებული დეკორითა თუ სურათებით შეუძლიათ. ასევე, მოწყობილია ფსიქოლოგიური კონსულტაციების ოთახი, სასადილო და ბიბლიოთეკა კომპიუტერებით და გამოყოფილია სივრცე სწავლისათვის.

წყარო: რიტერი, ბეიკერი და Dignity (დანიის წამების წინააღმდეგ ბრძოლის ინსტიტუტი) (2014) “პირობები პატიმარი ქალებისათვის: საჭიროებები, სისუსტეები და საუკეთესო პრაქტიკა“, კოპენჰაგენი: Dignity

საცხოვრებელი ბლოკები ურთიერთობების მხარდასაჭერად და თვითშეფასების ამაღლებისათვის

ცხადია, უმჯობესია თავი ავარიდოთ მრავალსართულიან შენობებს და მცირე ზომის სახლები ავამოქმედოთ, რომელიც ხელს უწყობს ურთიერთობების შენარჩუნებას. დიდი ზომის საერთო ოთახი თავდაპირველივე პროექტით უნდა დაიყოს მცირე კუთხეებად, ან შემდგომში ავეჯით გადაიტიხროს. თუ შენობებში მძიმე, დამთრგუნველი პირობებია, შესაძლებელია ასეთი პირობები უარყოფითად აისახოს იქ მოთავებული პირების მენტალურ მდგომარეობაზე, ხელი შეუშალოს მათ გამოკეთებას, „გაზარდოს მოწყვლადობა და თვითდაზიანებისა და სუიციდის რისკიც კი“[7].

განსახლების სივრცეები ჩვეულებრივი საცხოვრებლის შთაბეჭდილებას უნდა ტოვებდეს. ბუნებრივი განათება, ხმის დამხშობი მასალები, რბილი იატაკები (ხალიჩები), ხის კარი და მცენარეებიც კი დიზაინის ფიზიკურ მახასიათებლებს წარმოადგენს, რასაც მსხვილი რესურსები არ ესაჭიროება და შეიძლება, უფრო იაფიც იყოს, ვიდრე ჩვეულებრივი ციხის დიზაინი. გარე სივრცეები უნდა იყოს სიმშვიდის მომგვრელი და ფიქრის ხელშემწყობი. ასეთი სივრცეები საცხოვრებელი ბლოკების სიახლოვეს უნდა იყოს მოწყობილი. უფრო დიდი ზომის გარე სივრცეები უნდა იყოს გარკვეულწილად გამწვანებული და იქ დასვენება, გამაჯანსაღებელი აქტივობების ჩატარება და ვარჯიში უნდა შეიძლებოდეს.

წინასწარი დაკავების საკნები და პირველადი კონტაქტი

წინასწარი პატიმრობა შეიძლება რისკის შემცველი პერიოდი იყოს. წინასწარი პატიმრობის დაწესებულებები, სადაც სასამართლო პროცესების მომლოდინე პირები არიან განთავსებული, განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში. ზოგან შექმნილია ცალკე დაწესებულებები, როგორიცაა დაკავების და წინასწარი დაკავების საკნები. ზოგ ქვეყანას ასეთი საკნები პოლიციის შენობებში აქვს მოწყობილი; ზოგ ქვეყანაში კი წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები განთავსებულები არიან იგივე შენობებსა და საკნებში ან საცხოვრებელ ბლოკებში, რაც მსჯავრდებული პატიმრები.

მსჯავრდებულებისაგან განსხვავებით, წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები უარეს პირობებში არიან და მათ უფრო ცუდად ეპყრობიან. „წამება, გადავსებული საკნები და დაავადებები მძვინვარებს. განვითარებულ ქვეყნებშიც კი, ბევრად ნაკლები რესურსი გამოიყოფა წინასწარი დაკავების სფეროსთვის, და საკვების, ჯანდაცვის, საწოლის თუ ვარჯიშის საშუალება საკმაოდ შეზღუდულია“[8]. წინასწარი დაკავების საკნებში მყოფი პირების მონაცემები ნაკლებად სავარაუდოა, ასაკისა და გენდერის ნიშნით იყოს სეგრეგირებული, რაც მათი მიმართ ზიანის რისკს ზრდის[9].

ამდენად, მეტად მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებებმა, სადაც სასამართლოს მომლოდინე პირები არიან განთავსებული და დაკავებულების დაკითხვაზე პასუხისმგებელმა პირებმა გაითვალისწინონ გენდერული პერსპექტივა და ეს კონცეფცია პოლიციური საქმიანობის შესაბამის სფეროებში გამოიყენონ*.

ცოტა ხნის წინ გამოსცადეს გენდერული პერსპექტივის ინტეგრირების ახალი მიდგომები იმ პირებთან, რომლებიც დაკავებულები არიან პირველადი გამოკითხვის მიზნით და წინასასამართლო შეფასებისა და დაკავების პერიოდში იმყოფებიან (იხ. ჩანართი 11).

* იხ. პრაქტიკული მითითება 2 - პოლიციის სამსახურები და გენდერი.

ჩანართი 11: სასამართლომდელი შეფასების პერიოდში გენდერული პერსპექტივის გამოყენება - კენია

კონტექსტის ანალიზი

მართლმსაჯულების სექტორთან შეხებაში მყოფი ქალების სპეციფიურ სიტუაციაში კარგად გარკვევისათვის კენიის პრობაციისა და გათავისუფლების შემდგომი სამუშაოების სამსახურმა ციხის საერთაშორისო რეფორმის ორგანიზაციასთან (Penal Reform International) პარტნიორობით ჩაატარეს სრული კონტექსტუალური ანალიზი.

კონტექსტუალური ანალიზის ანგარიშის საფუძველზე, კენიის პრობაციისა და გათავისუფლების შემდგომი სამუშაოების სამსახურმა შეძლო რამდენიმე, გაუმჯობესების საჭიროების მქონე, სფეროს გამოკვეთა. გადაწყდა აქცენტის წინასასამართლო ეტაპზე გაკეთება და შეფასების ჩატარება, რადგან ამ მიმართულებას შეუძლია ყველაზე დიდი გავლენა მოახდინოს.

მიდგომებისა და ინსტრუმენტების შემუშავება

სასამართლოს ჩატარებამდე, პრობაციის ოფიცრები პოლიციის განყოფილებებში გასაუბრებას ატარებენ თავისუფლებააღკვეთილ ბრალდებულებთან სასამართლოსთვის რეკომენდაციის გაწევის მიზნით. უპრიანად ითვლებოდა მსგავსი გასაუბრებისა და შეფასების გენდერულად ნეიტრალურად ჩატარება და ქალების საჭიროებები და პასუხისმგებლობები არ მიიღებოდა მხედველობაში.

შესაბამისად, რეკომენდაციები და ინსტრუმენტები გადაიხედა, შეიცვალა და გენდერულად უფრო მგრძნობიარე გახდა, რის საფუძველზეც უკვე გროვდება მონაცემები ქალთა ჯანმრთელობისა და ჰიგიენური საჭიროებების შესახებ, ასევე, მათი როგორც მშობლების, ვალდებულებებზე და ზრუნვის სხვა საკითხებზე. მაგალითად, წარსულში, ბრალდებულ ქალს არ ჰკითხავდნენ რა შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა მისი შვილებისთვის მის დაპატიმრებას, ან იყო თუ არა ორსულად, რადგან ადრე მას ზუსტად ისეთ შეკითხვებს უსვამდნენ, როგორც კაცს.

პრობაციის ოფიცრებს ჩაუტარეს ტრენინგი ბანგკოკის წესების და უფრო გახსნილი ტიპის დაკითხვის მნიშვნელობაზე, რამაც შესაძლებელი გახადა გასაუბრების/გამოკითხვის დაძაბულობის გარეშე წარმართვა. შესაბამისად, ქალებმა მათ უფრო გახსნილად მიწოდეს ინფორმაცია საკუთარ მდგომარეობასა და დანაშაულთან დაკავშირებულ გარემოებებზე.

გავლენა

ახალმა მეთოდებმა უფრო დიდი ინფორმაციის შეგროვება გახადა შესაძლებელი. მაგისტრატმა მოსამართლეებმა ანგარიშების ხარისხის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას გაუსვეს ხაზი და აღნიშნეს, რომ მათში მეტი შემამსუბუქებელი ფაქტორებია მოყვანილი, რაც მოსამართლეებს არასაპატიმრო ღონისძიებების უფრო ხშირად გამოყენების საფუძველს აძლევს. პრობაციის ოფიცრებმა კი აღნიშნეს, რომ გენდერული პერსპექტივის მიდგომის საშუალებით, შესაძლებელი გახდა ქალ ბრალდებულებთან უკეთესი სამუშაო ურთიერთობების აწყობა და მათი რეაბილიტაციისათვის უკეთესი რეკომენდაციები გაცემა. კიდევ ერთი, გაუთვალისწინებელი პოზიტიური გავლენაც გამოიკვეთა: პრობაციის ოფიცრებმა დაიწყეს იგივე, გენდერული პერსპექტივის კაცების მიმართ გამოყენება. ამან კი კაცების სპეციფიურ საჭიროებებსა და პასუხისმგებლობებში უკეთ გარკვევა და მათი გათვალისწინება გამოიწვია.

წყარო: ო.პ. ჰანი (2018) „გენდერულად მგრძნობიარე მიდგომის დანერგვა წინასასამართლო შეფასებებსა და პრობაციის სფეროებში: კენიის ინოვაციური მიდგომის შეფასება“, პრობაციის ჟურნალი, 65, გვ. 184-200.

რაც შეეხება ციხეში პირველადი მიღების სისტემას: გასაუბრებებმა გამოავლინა ქალებისთვის ორი პრობლემური სფერო - ბავშვებზე ზრუნვის ორგანიზება და ჩხრეკა, რომელიც, მათი თქმით, საკმაოდ დამამცირებელია[10]. ცხადია, ყველა სიტუაცია ინდივიდუალურია და, შესაბამისად, ბავშვზე ზრუნვის ხერხებიც განსხვავებული იქნება, მაგრამ იმ ადამიანებს, ვინც ბავშვებზე ერთადერთი მზრუნველები არიან, ციხეში განთავსების პროცესში უნდა მიეცეთ შესაბამის მხარეებთან კომუნიკაციის საშუალება, რათა დარწმუნდნენ მათზე დამოკიდებული ადამიანების უსაფრთხოებაში. შესაძლებელია მსჯავრის აღსრულების გადავადება, მათზე დამოკიდებული ადამიანებისათვის ზრუნვის ალტერნატიული გზების მოსაძებნად. (მეტი ინფორმაციისთვის გარე სამყაროსთან კომუნიკაციის შესახებ იხ. ქვემოთ წარმოდგენილი ნაწილი „ვიზიტებიდა საზოგადოებასთან კონტაქტი“). გასაუბრებებმა გამოავლინა გენდერული პერსპექტივის საკითხებზე სათანადოდ გადამზადებული პერსონალის საჭიროება, ასევე „სრულყოფილი სამედიცინო სკრინინგის, ძალადობის სკრინინგის და სტრესის შემცირებისათვის საჭირო ისეთი ატმოსფეროს შექმნის აუცილებლობა, რომელიც ქალებზე მორგებული და ქალებისთვის გასაგები იქნება.“[11]

გადაყვანა

ადამიანების გადაადგილება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებს შორის - როგორიცაა პოლიციის განყოფილებები, ციხეები, საავადმყოფოები და სხვა - შეიძლება რისკის შემცველი ეტაპი აღმოჩნდეს. ხშირ შემთხვევაში, გადაყვანას არ ანიჭებენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას და არ ითვალისწინებენ გენდერულად მგრძნობიარე მიდგომებს. ქალები (ტრანსგენდერი ქალების ჩათვლით) შეიძლება, მაღალი რისკის წინაშე დადგნენ თუ ისინი კაცებთან ერთად გადაჰყავთ, სადაც მათ შეიძლება სიტყვიერი, ფიზიკური და სექსუალური ძალადობა განიცადონ[12]. აუცილებელია ქალი და კაცი პატიმრების ცალ-ცალკე გადაყვანა. ისე როგორც პერსონალის შემთხვევაში, გადაყვანის დროს ქალი პატიმრების ბადრაგი მხოლოდ ქალები უნდა იყვნენ.

ბანგკოკის წესებში ნათქვამია, რომ შეზღუდვების გამოყენება მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაშია დასაშვები. ამის მიუხედავად, „ზოგ ქვეყანაში შემაკავებელი საშუალებები, როგორიცაა ფეხბორკილები, გამოიყენება ფეხმძიმე ქალების შემთხვევაშიც, როდესაც ისინი გადაჰყავთ საავადმყოფოში, გინეკოლოგიურ შემოწმებაზე თუ სამშობიაროდ“[13].

პატიმრების გადამყვანები შეიძლება იყვნენ სხვადასხვა, ზოგჯერ კერძო ორგანიზაციების წარმომადგენლები*. ისინი არ არიან სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომლები და მაშასადამე, მათ არ გაუვლიათ შესაბამისი ტრენინგი. ამდენად, საჭიროა, უზრუნველვყოთ გადაყვანის განმახორციელებელი პერსონალის ტრენინგი გენდერული პერსპექტივის შესახებ. თავისუფლების აღკვეთის ამ ასპექტს უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება მონიტორინგისა და შემოწმების თვალსაზრისით.

ჩხრეკა

ჩხრეკა შეიძლება ძალიან დამამცირებელი იყოს ყველა ადმიანისთვის. თუმცა, დამატებითი ფაქტორები, როგორიცაა კაცებით დომინირებული ძალაუფლების ურთიერთობების და სოციალური შეხედულებები ქალის სხეულზე, ისევე როგორც მაღალი ალბათობით ქალების მიერ სექსუალური და გენდერული ძალადობის გამოცდილება, ნიშნავს, რომ ქალის ჩხრეკა უფრო რთულია და შეიძლება განმეორებითი ტრავმა გამოიწვიოს.

უნდა შემუშავდეს და დაინერგოს კონკრეტული გენდერული რეკომენდაციები დამცირებისა და არასათანადო მოპყრობის თავიდან ასაცილებლად ესოდენ მოწყვლად პერიოდში. პოლიტიკამ უნდა გაითვალისწინოს კულტურული და

* რჩევები კერძო სექტორის კონტრაქტორების სათანადო გენდერული ტრენინგის თაობაზე იხილეთ პრაქტიკული მითითებების ცნობარში „გენდერი და კერძო უსაფრთხოების რეგულირება“.

რელიგიური მრავალფეროვნება სამიზნე მოსახლეობაში და გაატაროს გონივრული ცვლილებები იმისათვის, რომ ყველა პირმა დაიცვას უსაფრთხოების პროცედურები ღირსების შელახვისა და დისკრიმინაციის გარეშე. დაწესებულებებმა უნდა მიმართონ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ჯგუფებს, რათა შეთანხმდნენ ამა თუ იმ კულტურისთვის მისაღებ საკითხებზე და უარი თქვან იგივე პროცედურების ყველას მიმართ გამოყენებაზე.

მამრობითი სქესის პერსონალს უნდა აეკრძალოს ქალებისა და გოგოების ნებისმიერი სახის პირადი ჩხრეკა, ზედაპირული დათვალიერების, სრული დათვალიერების და სხეულის სიღრმისეული დათვალიერების ჩათვლით. ქალები არ უნდა გაჩხრიკონ კაცების თანდასწრებით ან მათი მხედველობის არეალში. ფეხმძიმე ქალებს და გოგოებს არასდროს არ უნდა ჩაუტარდეს ვაგინალური ჩხრეკა, ხოლო ხელმძღვანელობამ დაკავებული და პატიმარი ქალების ჩხრეკისათვის, სპეციალურად მომზადებული ქალი თანამშრომლების საკმარისი რაოდენობა უნდა უზრუნველყოს ადგილზე[14].

ფიზიკური ჩხრეკა შეიძლება, შეიცავდეს ლგბტი ადამიანებზე დისკრიმინაციისა და დაცინვის რისკს. საჭიროა სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის მქონე ადამიანებზე გათვლილი სპეციალური, გენდერულ კონცეფციაზე დაფუძნებული, პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა (იხ.ჩანართი 12). მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილება ტრანსგენდერი და ინტერსექსი ადამიანების ჩხრეკის თაობაზე არ იქნას მიღებული მხოლოდ მათი დაბადების დროს განსაზღვრული სქესის, არსებული სამართლებრივი დოკუმენტაციის არ ნებისმიერი სხვა პრეფერენციების საფუძველზე, არამედ საჭიროა მათთან წინასწარ გარკვევა ქალი თუ კაცი თანამშრომლის მიერ ჩატარებული ჩხრეკა იქნება მათთვის უფრო კომფორტული*.

ჩანართი 12: შოტლანდიის რეკომენდაციები ტრანსგენდერი ადამიანების ჩხრეკის თაობაზე

შოტლანდიის სასჯელაღსრულების სამსახურმა მოამზადა მოკლე ვიდეოების სერიები, რომლებიც შეიცავენ რჩევებს ციხის თანამშრომლებისთვის ტრანსგენდერი პატიმრების ჩხრეკის თაობაზე. ფილმებში ნაჩვენებია სასურველი პრაქტიკა; ხაზგასმულია პრობლემები, რომელიც უკავშირდება ტრანსგენდერი პატიმრის საპატიმრო დაწესებულებაში მიყვანას და მკაფიოდაა ნაჩვენები თუ რატომაა ესოდენ მნიშვნელოვანი გენდერული პერსპექტივის მიდგომების გამოყენება. ეს სერიები რამდენიმე ფილმისაგან შედგება, სადაც ნაჩვენებია ტრანსგენდერი კაცისა და ტრანსგენდერი ქალის ჩხრეკა; ფილმები მომზადებულია Scottish Trans Alliance და Equality Network კომპანიებთან თანამშრომლობით.

შოტლანდიის სასჯელაღსრულების გენდერული იდენტობისა და გენდერის პოლიტიკის შეცვლის სამსახური ამბობს, რომ დაკავებული ადამიანების სრული დათვალიერება უნდა ჩატარდეს მათი სურვილების გათვალისწინებით. დაკავებულს უნდა შეეკითხონ რომელი სქესის თანამშრომლის მიერ დათვალიერებას ისურვებდნენ; მათი პასუხი ოფისიალურად ფიქსირდება და სხეულის სრული დათვალიერებაც შესაბამისად ტარდება.

წყარო: ი. მ. რაითი, პ. ვან ვურისი, ი.ჯეი. სელსბერი და ა. ბაუმანი (2009) „NIC/UC გენდერული პერსპექტივის მქონეკლასიფიკაციის პროექტის შედეგად გაკეთებული დასკვნები“, ქალები, გოგოები & სისხლის სამართალი, 10(6), გვ. 81-96

* მეტი რეკომენდაციისა და რჩევის მისაღებად, იხ. ბანკოკის წესები 19-21 და ეუთო/ოდირი და PRI (2018) სარეკომენდაციო დოკუმენტი ნელსონ მანდელას წესებზე, გაეროს განახლებული სტანდარტის პატიმართა მკურნალობის მინიმალური წესების დანერგვა, ვარშავა: ODIHR, გვ. 63.

რისკებისა და საჭიროებების შეფასება

მოცემულ დოკუმენტში განიხილებოდა ის საკითხი, რომ დაკავებული და პატიმარი ქალები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან დაკავებული და პატიმარი კაცებისგან; თუმცა, ძალიან ხშირად რისკებისა და საჭიროებების დადგენის ინსტრუმენტის გამოყენებისას ამ განსხვავებებს ყურადღებას არ აქცევენ. შეფასების ინსტრუმენტები ხშირ შემთხვევაში შემუშავებულია ათწლეულების წინ კაცებთან გამოსაყენებლად და ქალების შემთხვევაში უმნიშვნელო ცვლილებებით ან საერთოდ უცვლელად გამოიყენება.

ეს არის სფეროები, სადაც ქალები და კაცები სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისგან და ეს განსხვავებები გათვალისწინებული უნდა იყოს რისკებისა და საჭიროებების შეფასებისას[15]:

- გამოცდილების ძირითადი მახასიათებლები
- ჩადენილი დანაშაული
- საფრთხე, რომელიც მათ შეიძლება შეუქმნან ციხის უსაფრთხოებას
- კონკრეტული გენდერული საჭიროებები და პასუხისმგებლობები
- ფაქტორები, რომელთაც გამოიწვიეს მათი თავისუფლების აღკვეთა

დაკავებული ქალების საჭიროებებისა და რისკების შეფასებისათვის უნდა იქნას გამოყენებული ისეთი სპეციალური ინსტრუმენტები, როგორიცაა ქალთა რისკების შეფასება (women’s risk need assessment) (იხ. ჩანართი 13).

გადაწყვეტილება ტრანსგენდერი პირების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განაწილებაზე დიდი სიფრთხილითაა მისაღები. ყველა შემთხვევაში, აუცილებელია ამ პირებთან გასაუბრება და გაგება სად იგრძნობენ თავს უფრო უსაფრთხოდ, შესაბამისად, გადაწყვეტილებები მათი განთავსების შესახებ მათი ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე უნდა იქნას მიღებული[16].

ხშირ შემთხვევაში ტრანსგენდერი პატიმრების დაწესებულებაში განაწილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მათი დაბადების დროს განსაზღვრული სქესის მიხედვით. წამების პრევენციის ქვეკომიტეტმა აღნიშნა, რომ „იდენტიფიცირების, რეგისტრაციის და პატიმრობის სათანადო საშუალებების არარსებობის გამო ხშირად ტრანსგენდერ ქალებს კაცების ციხეში ანაწილებენ, სადაც ისინი გაუპატიურების მაღალი რისკის ქვეშ არიან და ხშირ შემთხვევაში ამაში ციხის პერსონალიც მონაწილეობს“[17].

იხ. მანდელას წესები, წესი 7(ა).

ჩანართი 13: ქალთა რისკებისა და საჭიროებების შეფასება

ამერიკაში შემუშავებული ქალთა საჭიროებებისა და რისკების შეფასების ინსტრუმენტი (women’s risk need assessment) სტატისტიკური შეფასების სისტემაა, რომელიც ადგენს ქალთა რისკ-ფაქტორებს, ან კრიმინოგენურ საჭიროებებს, რაც, შეიძლება რეციდივიზმთან და სამომავლო არასათანადო ქცევასთან იყოს დაკავშირებული. სტატისტიკური რისკის შეფასება ქულებით ხდება. მას სასჯელაღსრულების სამსახურები მსჯავრდებულების კლასიფიკაციისათვის, მათი შესაბამისი რეჟიმის დაწესებულებაში განთავსების, სამკურნალო პროგრამებში ჩართვის, ინდივიდუალურად გათვლილი განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ან არასათანადო ქცევის რისკების მიხედვით იყენებენ. ინსტრუმენტის შემუშავების მიზანი იყო სტრატეგიების შეიქმნა - ქალთა სპეციალური საჭიროებების მიხედვით, რომელიც მიდგომებს მათ მიერ გადატანილი ტრავმების გათვალისწინებთ გამოიყენებს.

შეფასების პროცესი გულისხმობს საქმის შესწავლას, ნახევრად სტრუქტურირებული გასაუბრების ჩატარებს, წერილობით გამოკითხვასა და საქმის მართვის გეგმის შედგენას. არსებობს შეფასების სამი ვარიანტი: ქალების ციხეში შესვლის წინ, გათავისუფლებამდე და პრობაციის პერიოდში შეფასება. ამასთან, შეფასება მოიცავს ფაქტორებს, რომელიც ეფექტურად აფასებს ქალებისა და კაცების შესაძლო რეციდივიზმს; მაგალითად, ნარკოტიკების მოხმარება წარსულში და აწმყოში, პატიმრობის ისტორია, დასაქმება და ფინანსური სტაბილურობა, განათლების დონე და საჭიროებები და ანტისოციალური დამოკიდებულებები.

ქალების რისკებისა და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტი საკმაოდ წარმატებულად აფასებდა შესაძლებელ რეციდივიზმს ქალებში; ინსტრუმენტი ამ მხრივ ეფექტური აღმოჩნდა. კონკრეტულად კი, შეფასების კომპონენტებმა გამოავლინეს მნიშვნელოვანი დადებითი კავშირი განმეორებითი პატიმრობის ღონისძიებებს, ტექნიკურ დარღვევებსა და ახალ დაპატიმრებებსა და სასჯელებს შორის.

აღნიშნული ინსტრუმენტი ამჟამად აშშ-ს მრავალ იურისდიქციაში გამოიყენება. სხვა ქვეყნები ჩეხეთის, ნამიბიის, სინგაპურისა და შვეიცარიის ჩათვლით, სწავლობდნენ და განიხილავდნენ ამ ინსტრუმენტის მათ კონკრეტულ კონტექსტებში გამოყენების შესაძლებლობას.

წყაროები: ცინცინატის უნივერსიტეტი (2010) „ქალებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორები და მათი წვლილი არსებულ რისკებისა და საჭიროებების შეფასებაში“, სისხლის სამართალი და ქცევა, 37(3), გვ. 261-288; ბ. ბოპრი და ი. ჯეი სალსბერი (2016) - ქალთა რისკებისა და საჭიროებების შეფასება: გენდერის რისკის შეფასების სათავეში მოთავსება“, 12 აპრილი, www.penalreform.org/blog/womens-risk-needs-assessment-putting-gender-forefront-actuarial/).

ჯანმრთელობა

ზოგადად, პატიმრებში მენტალური დაავადებების ხარისხი უფრო მაღალია ვიდრე საერთოდ მოსახლეობაში; ამასთან, პატიმრებში არსებობს სიკვდილიანობის (სხვადასხვა მიზეზით), თვითმკვლელობის, თვითდაზიანების, ძალადობისა და ვიქტიმიზაციის მომატებული რისკი[18]. ამდენად, მნიშვნელოვანია თავისუფლება აღკვეთილ პირებს ხელი მიუწვდებოდეთ მათ საზოგადოებაში არსებული ჯანდაცვაზე.

ცხადია, პატიმარ ქალებსა და გოგოების ჯანმრთელობასთან დაკავშირებით სხვა მრავალი ეფექტური ინსტრუმენტიც არსებობს, თუმცა, ისინი ხშირ შემთხვევაში, იგნორირებულია. ჩანართი 14 ქალთა ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის შენარჩუნების დადებითი პრაქტიკის მაგალითებს აღწერს. მეტიც, მანდელას წესები, ისევე როგორც ბანგკოკის წესები შეიცავს მკაფიო დებულებებს ქალთა და გოგონათა მიმართ ფეხმძიმობის, მშობიარობის და პოსტ-ნატალურ პერიოდში მოპყრობის შესახებ.

იხ. მანდელას წესები, წესი 48(2)

მრავალ, პატიმრობაში მყოფ ადამიანს ექნება ჯანმრთელობის და მკურნალობის პრობლემები. მაშასადამე, მეტად მნიშვნელოვანია, რომ პატიმრობა, თუნდაც მოკლევადიანი და დროებითი, არ უზღუდავდეს ადამიანს მკურნალობის საშუალებას. პან-ამერიკულმა ჯანდაცვის ორგანიზაციამ (Pan-American Health Organization) აივ-ინფექციის მკურნალობა მნიშვნელოვან პრობლემად დაასახელა, ამდენად, საჭიროა ასეთი მკურნალობის სრული ინტეგრირება საპატიმრო დაწესებულების პირველადი ჯანდაცვის სისტემაში[19].

პან-ამერიკული ჯანდაცვის ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ვინაიდან არ არსებობს გენდერულად გამართული პოლიტიკა, რომელიც დაიცავდა ციხეებში მყოფ ტრანსგენდერ ადამიანებს, იზრდება მათი მოწყვლადობის დონე, რაც მათი შესაბამის

ჩანართი 14: დადებითი ინიციატივები ქალთა ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის მართვაში ავსტრალიაში

- ჯანმრთელობის ეროვნული ინდიკატორების შემუშავება პატიმრებისათვის, სპეციალური ზომების ჩათვლით, როგორიცაა, მაგალითად ორსულობის შეტყობინება
- სპეციალური დაწესებულების შექმნა კომპლექსური ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე ქალებისათვის
- დროული და სათანადო ჯანმრთელობის სკრინინგის უზრუნველყოფა, მაგალითად, მკერდის და საშვილოსნოს ყელის შემოწმება, ულტრაბგერითი კლინიკის და „ნარკოტიკებისგან თავისუფალი“ ბლოკების დანერგვა
- ზომების მიღება ორსული და მეძუძური დედების სპეციფიური კვების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად
- სამედიცინო კაბინეტის მოწყობა, სადაც შესაძლებელია ჩაწერის გარეშე მისვლა და დაწესებულებაში მრავალფეროვანი სამედიცინო მომსახურების მიღება სხვადასხვა სპეციალისტებისგან, როგორიცაა ავადმყოფის მომვლელი მედდები, თერაპევტები, ფსიქიატრები, სტომატოლოგები, ოფთალმოლოგები, პედიატრები, მენტალური ჯანმრთელობის მედდები და ფარმაკოთერაფია
- ჯანმრთელობის ხელსაწყოების პროგრამები, მაგალითად, მოწევისთვის თავის დანებება, დიაბეტის პრევენცია, გულის ჯანმრთელობა, ასევე, ინფორმაციის მიღება სისხლის დაავადებებზე
- ფარმაკოთერაპიული მკურნალობის უზრუნველყოფა პატიმრებისთვის გათავისუფლების შემდეგ
- ძალისხმევა, რათა უზრუნველყოფილი იქნას არსებული ჯანდაცვის საჭიროებების საზოგადოებაში გადატანა და ჯანდაცვის ქსელებთან ურთიერთობის ხელშეწყობა
- სპეციალური ჯგუფების მაგალითად, მკვიდრი (აბორიგენი) და ხანდაზმული ქალების საჭიროებების მოგვარებისაკენ მიმართული ზომები

წყარო: ლონარა ბარტელსი და ანტონეტ გაფნი (2017) „დადებითი პრაქტიკა ქალთა საპატიმროებში: ლიტერატურის მიმოხილვა“, Technical and Background Paper No. 41, კანბერა, CT: ავსტრალიის კრიმინოლოგიის ინსტიტუტი, გვ. 50.

მკურნალობასა და ზრუნვაზე ხელმისაწვდომობას ზღუდავს. ტრანსგენდერი ადამიანების გენდერის დამკვიდრებასთან დაკავშირებული სპეციალური საჭიროებები ხშირად უგულებელყოფილია როგორც სუფთა „კოსმეტიკური“ (ანუ, უმნიშვნელო, ზედაპირული) და მიიჩნევა, რომ ეს არანაირ კავშირში არაა ჯანდაცვასთან. განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო იმისათვის, რომ ტრანსგენდერმა ადამიანებმა შეძლონ მათთვის სჭირო ჯანდაცვის მომსახურების მიღება: მაგალითად, მნიშვნელოვანია, რომ ტრანსგენდერმა ადამიანებმა, რომლებიც ჰორმონალურ თერაპიას გადიან, შეძლონ მისი გაგრძელება. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მათ ხელი მიუწვდებოდეთ ჰორმონებზე, სათანადოდ მომზადებული პერსონალის ზედამხედველობის და სამედიცინო დახმარების ჩათვლით, რათა შეძლონ პოტენციური პრობლემების დროულად მოგვარება. პირებს, რომელთაც გაიკეთეს სხეულის ქირურგიული მოდიფიკაცია, ხელი უნდა მიუწვდებოდეთ ადეკვატურ მკურნალობაზე. პირებს, რომელთაც ჯერ არ გაუვლიათ მკურნალობა, მაგრამ აქვთ ამის სურვილი, პატიმრობის პერიოდში უნდა ჰქონდეთ მსგავსი პროცედურების გავლის საშუალება ციხის მიერ მიწოდებული სამედიცინო მომსახურების საშუალებით[20].

სარეაბილიტაციო პროგრამები და პროფესიული განათლება

კაცებისა და ბიჭებისგან განსხვავებით, ბევრგან ქალებსა და გოგოებს ხელი არ მიუწვდებათ სარეაბილიტაციო პროგრამებზე, განათლებასა თუ პროფესიულ განათლებაზე. ზოგ შემთხვევაში ეს ნიშნავს, რომ სასჯელის მოხდის გეგმა ვერ აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმს და პატიმრები გათავისუფლებისა და სა-

ზოგადოებაში დასაბრუნებლად სათანადოდ ვერ მოემზადებიან. იგი აგრეთვე ამცირებს ქალების შესაძლებლობას მოიპოვონ საკუთარი თავის ფინანსურად უზრუნველყოფის სამართლებრივი და სხვა არსებითი გზები.

დანაშაულებრივი ქცევა და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების პროგრამები ქალებისთვის არ უნდა იმეორებდეს კაცებზე მორგებულ პროგრამებს. ეს პროგრამები საჭიროებს ფუნდამენტურ გადააზრებას, რათა დადგინდეს რა არის ყველაზე სათანადო და ეფექტური ქალებზე ორიენტირებული გენდერული თვალსაზრისით. ამ პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი უნდა იყოს გადამზადებული ნარკოტიკების მოხმარების, ტრავმისა და მენტალური ჯანმრთელობის საკითხებში და ამ მომსახურების მისაწოდებლად საჭიროა ადეკვატური რესურსების გამოყოფა[21]. მკურნალობასა და რეაბილიტაციისადმი გამოყენებული უნდა იყოს კომპლექსური მიდგომა; აგრეთვე საჭიროა იმის გაცნობიერება, რომ ადამინები მრავალი, ურთიერთდაკავშირებული პრობლემის წინაშე დადგებიან, რაც საბოლოოდ მათ რეინტეგრაციაზე აისახება.

როგორც აღნიშნულია ავსტრალიის პროგრამების შეფასებაში, ეს ნიშნავს რომ:

> *... შეფასებები და ინტერვენციები არ უნდა იყოს ფოკუსირებული მხოლოდ ერთ საკითხზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნებისმიერი საკითხისა თუ პრობლემის ეფექტიანად მოგვარება სხვა საკითხის გადაწყვეტას დაეხმარება. მაგალითად, ქალი თავს ვერ დააღწევს საცხოვრებლის პრობლემას, თუ პარალელურად არ მოგვარდა ნარკოტიკების მოხმარების, მოძალადე პარტნიორთან და შვილებთან ურთიერთობის საკითხებიც*[22]

საჭიროა პროგრამების ლოკალიზაცია, რათა ისინი გახდეს ქალების, კაცების, ბიჭებისა და გოგოების საჭიროებებზე მორგებული კონკრეტულ კონტექსტში. საჭიროა მოსახლეობაში კულტურული მრავალფეროვნების გათვალისწინება და იმის უზრუნველყოფა, რომ ქალებსა და გოგოებს თანაბრად მიუწვდებოდეთ ხელი შესაბამის საშუალებებზე. ახალგაზრდები უნდა გაანათლონ მოზარდობის პერიოდის და სქესობრივი მომწიფების საკითხებში; მათ უნდა მიუწვდებოდეთ ხელი სანიტარულ პროდუქტებზე და რჩევაზე სქესობრივი ჯანმრთელობის შესახებ.

როგორც წესი, ეკონომიური დანაშაულისთვის კაცებზე უფრო ხშირად ქალებს ედებათ ბრალი, რისთვისაც ისჯებიან. ამ ქალებს, უმეტესწილად ციხის დატოვების შემდეგაც ძალიან ბევრი საზრუნავი და პასუხისმგებლობა აქვთ. მაგალითად, კრიმინალის სტატისტიკის ანალიზმა ჩინეთში აჩვენა, რომ წინასასამართლო პერიოდში გამოკითხულ კაცთა 67%-ს ბრალი ედებოდა ეკონომიკურად მოტივირებული დანაშაულის ჩადენაში, მაგრამ ქალებში ეს ციფრი 87% შეადგენდა[23]. არგენტინაში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულ ქალთა 85% ბრალად ედებოდა ეკონომიკური დანაშაულის ჩადენა, ამ ქალთაგან 75.6% ოჯახის ერთადერთი მარჩენალები იყვნენ[24]. თუმცა, ბევრ შემთხვევაში პროფესიული განათლებისა და უნარ-ჩვევების განვითარების პროგრამები ქალის როლზე ტრადიციული წარმოდგენით იზღუდება. პროგრამები არ ეწინააღმდეგება გენდერულ უთანასწორობას და ქალებისთვის სამუშაოს კონკრეტულ სფეროში რეალური განვითარების და წარმატების მიღწევის შესაძლებლობას არ უზრუნველყოფს.

მაშასადამე, მეტად მნიშვნელოვანია ქალებმა დახმარება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მიიღონ, რათა შეიძინონ შემოსავლის მიღების საჭირო და რეალური უნარი საზოგადოებაში დაბრუნების შემდეგ გამოყენებისათვის (იხ. ჩანართი 15).

ჩანართი 15: ქალების მიერ საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება ჰონგ-კონგის ციხეში

ჰონგ-კონგის სასჯელაღსრულების მომსახურების დეპარტამენტის მრეწველობისა და პროფესიული განათლების სწავლების განყოფილება პატიმრებისათვის რეალურთან მიმსგავსებულ სამუშაო გარემოს ქმნის. ეს ეხმარება მათ ჯანსაღი და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული სამუშაო უნარ-ჩვევების განვითარებაში და შემოსავლის მიღებისათვის ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. სასჯელაღსრულების მომსახურების დეპარტამენტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყოფილ ქალ პატიმართა 80%-მა შეძლო მუშაობის დაწყება.

გენდერული მოლოდინების საფუძველზე შემუშავებული ტრენინგისგან განსხვავებით, პროფესიული ტრენინგის პროგრამები აგებულია პირის უნარ-ჩვევებისა და ინტერესების მიხედვით. სასწავლო კურსები მოიცავს ელექტრიკოსის სპეციალობის შეძენას, საოფისე და კომერციულ პრაქტიკას, სურსათისა და სასმელების სფეროში მომსახურებას. სასწავლო კურსების ბოლოს გამოცდას გარე სააკრედიტაციო ორგანოები ატარებენ, მაგალითად, - როგორიცაა ქალაქის საბჭოები, გილდიები და სამშენებლო მრეწველობის საბჭოები, რაც პატიმრებს არ აკავშირებს სასჯელაღსრულების დაწესებულებას და თავიდან აცილებს სტიგმატიზაციას.

წყარო: თონგმარკი (2016) „სარეაბილიტაციო მომსახურება: ჰონგ-კონგის სასჯელაღსრულების მომსახურების დეპარტამენტის დადებითი პრაქტიკა“, ტაილანდის იუსტიციის ინსტიტუტი, TIJ Quarterly, 3, გვ. 14.

ქალებისათვის მოქმედი პროგრამების მიუხედავად, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მაინც არსებობს სირთულე მათთვის, ვისაც თან მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავთ. თავისუფლების აღკვეთის ზოგიერთ დაწესებულებაში ბავშვიან ქალებს მუშაობის საშუალება მისცეს, ვინაიდან მოძებნეს ბავშვებზე ზრუნვის სხვა გზა. ვიდრე დედები შესაბამის პროგრამებში იღებენ მონაწილეობას (იხ. მე-16 ჩანართი).

ჩანართი 16: საქართველოში ბავშვიანი დედებისათვის პროგრამების ხელმისაწვდომობა

ციხეში ძალადობისა და დისკრიმინაციის მსხვერპლი ბავშვიანი ქალებისათვის მომსახურების გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, საქართველომ დანერგა ზომები, რომლის საშუალებითაც ბავშვიან პატიმარ ქალებს თვითგანვითარების პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა ეძლევათ.

კვირაში ორჯერ სპეციალურად გამოყოფილი მომვლელი პატიმარი ქალების შვილებზე ზრუნავს, რაც დედებს საშუალებას აძლევს, დაესწრონ სარეაბილიტაციო და დანაშაულებრივი ქცევის კურსებს, ტრენინგს ან საგანმანათლებლო სასწავლო კურსებს, ან შეისვენონ და მოაგვარონ სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. ბავშვის მომვლელი, ასევე იძლევა რჩევას ბავშვის განვითარებისა და აღზრდის თაობაზე. საქართველოს პროფესიონალ ფსიქოლოგთა ასოციაციის ფსიქოლოგი კვირაში ერთხელ სტუმრობს ციხეს და ინდივიდუალურ ან ჯგუფურ სესიებს ატარებს. ფსიქოლოგები აღნიშნავენ, რომ სამიზნე ჯგუფთან მუშაობაზე დადებით გავლენას ახდენს ის ფაქტი, რომ ქალებს ემოციური განტვირთვისა და გამოხატვის საშუალება აქვთ. ასეთი სესიები აძლევს მათ იმედს და შეგრძნებას, რომ მარტონი არ არიან. ამავე დროს, სესიები ეხმარება მათ თვითშეფასების ამაღლებაში და ისინი უფრო აქტიურები და თავდაჯერებულები ხდებიან.

წყარო: რაისი და შატბერაშვილი (2018) „ძალადობის და დისკრიმინაციის მსხვერპლი პატიმარი ქალებისა და მათი შვილებისათვის მომსახურების მიწოდების გაუმჯობესების მხარდაჭერა“, ლონდონი, ციხის საერთაშორისო რეფორმა,, მაისი, გვ. 17.

ერთ-ერთი საკითხი, რომელსაც ნაკლები ყურადღება ექცევა, არის ის, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მომუშავე ადამიანებიც იგივე სირთულეებს აწყდებიან და იგივე პასუხისმგებლობები და ვალდებულებები აქვთ, რაც მათი ზედამხედველობის ქვეშ მყოფთ. ანალოგიურია ასევე, მათი საცხოვრებელი პირობები და დახმარების არარსებობა. თავისუფლების აღკვეთის ზოგმა დაწესებულებამ გაითვალისწინა ეს საკითხები და თანამშრომლებს, პატიმრების მსგავსად, სამედიცინო და საბიბლიოთეკო საშუალებების გამოყენების უფლებას აძლევენ, თუმცა მათთვის და პატიმართათვის გამოყოფილი დრო განსხვავებულია. მაგალითად, მას შემდეგ რაც ჰაიდერაბადში, პაკისტანში, აღმზრდელობითი დაწესებულებები დანერგეს, რათა ბავშვებს სწავლის, ხოლო დედებს სხვა საქმიანობაში ჩართვის საშუალება მისცემოდა, პერსონალმაც გამოხატა სურვილი და საჭიროება მსგავსი მომსახურება მათი შვილებისთვისაც ყოფილიყო ხელმისაწვდომი. ციხის დირექტორი დაეთანხმა მათ სურვილს. თანამშრომლებს უკან არ დაუხევიათ იმის გამო, რომ მათი შვილები პატიმრების შვილებთან ერთად ისწავლიდნენ, ხოლო ბავშვებს მიეცათ ერთად თამაშის, სწავლისა და განვითარების საშუალება[25].

თანამშრომლებს სჯერათ და სათანადოდ აფასებენ პროექტს და, მაშასადამე, არსებობს გრძელვადიანი წარმატების მიღწევის უფრო დიდი შანსი. ამდენად, სასურველია, სადაც ეს მიზანშეწონილი იქნება, შევთავაზოთ დახმარება თანამშრომლებს და ასეთი დახმარებისას გენდერული პერსპექტივა გამოვიყენოთ.

რა უნდა გვახსოვდეს

მნიშვნელოვანია, არ ვივარაუდოთ, რომ პატიმარი ყველა მასთან მოსანახულებლად მოსულ ადამიანს შეხვდება. მაგალითად, ქალებს შეიძლება აკითხავდნენ ყოფილი მოძალადეები, რამაც შეიძლება მიმდინარე ტრავმის გამწვავება ან განმეორებითი ტრავმა გამოიწვიოს.

ყოველთვის იკითხეთ, სურს თუ არა მას მოსული ადამიანის ნახვა და წინასწარ ჩაინიშნეთ კონკრეტული პირები, რომლებიც თავიდანვე არ დაიშვებიან პატიმართან შეხვედრაზე.

ვიზიტები და კონტაქტი საზოგადოებასთან

უახლოესმა კვლევამ გამოვლინა, რომ პატიმრები საშინელ დეპრესიაში და ყველაზე დაბალ მორალურ მდგომარეობაში იყვნენ ციხეებში, როდესაც ციხის პერსონალსა და პატიმრებს შორის ცუდი ურთიერთობები იყო, ხოლო ქალები სტიგმატიზებულად გრძნობდნენ თავს და ვინმეზე ზრუნვის შესაძლებლობა არ ეძლეოდათ. საპირისპირო ეფექტი ჰქონდა შემთხვევას, როდესაც პატიმრები დააკავშირეს გარეშე სამყაროსთან, „არასამთავრობო და სასულიერო ორგანიზაციებით დაწყებული და ოჯახის წევრებითა და შვილებით დამთავრებული, რამაც მათ შესძინათ გამკლავების მექანიზმები, კომუნიკაციის უნარი და მოამზადა მომავალი ცხოვრებისთვის“[26]. ინგლისსა და უელსში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ პატიმრები, ვისაც ოჯახის წევრები ან მეგობრები ნახულობენ ხოლმე, ნაკლებად ჩადიან განმეორებით დანაშაულს (52%), ვიდრე ისინი, ვისთანაც არავინ მოდიოდა სანახავად (70%)[27].

ციხეში ვიზიტების პოლიტიკა ხელს უნდა უწყობდეს ოჯახთან და საზოგადოებასთან კონტაქტის გაღრმავებას. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ვიზიტები, განსაკუთრებით უშუალოდ ოჯახის წევრებთან, უნდა განიხილებოდეს არა როგორც პრივილეგია, არამედ, როგორც საბაზისო ადამიანის უფლება[28].

მნიშვნელოვანია, მხოლოდ ქალებისთვის უსაფრთხო სივრცეების შექმნა ციხეში, სადაც პატიმრები შეხვდებიან მნახველებს. ეს დაეხმარება მათ „თვითშეფასების გაზრდაში დაეხმარებათ და ხელს შეუწყობს პატიმრებს მთლიანად შეცვალონ თავიანთი ცხოვრება“ . ვინაიდან მრავალ ქვეყანას არ აქვს იმის საშუალება, რომ ქალთა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები ადგილობრივ თემთან ახლოს განალაგოს, ბევრი ქალი პატიმარი ოჯახთან და მეგობრებთან მჭიდრო კონტაქტს კარგავს. სხვაგვარად, ისინი უფრო ხშირად მოინახულებდნენ პატიმრებს. დაწესებულებების ხელმძღვანელობამ უნდა შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები პოლიტიკაში; მაგალითად, უფრო ხანგრძლივი ვიზიტები, როდესაც ოჯახსა და მეგობრებს შეუძლიათ მონახულება, ან გამოყონ მეტი დრო სატელეფონო საუბრებისათვის მათთვის, ვინც დიდ მანძილზეა მათი თემებისა და ოჯახებისაგან (უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩათვლით). მაგალითად, ფილიპინებში, ქალებს შეუძლიათ მნახველების მიღება მინიმუმ სამი საათით კვირის განმავლობაში. შაბათ-კვირას ეს პაემნები შვილებთან უფრო ხანგრძლივია. მნახველები არ

იზღუდებიან მხოლოდ ერთ ოთახში ყოფნით, მათ შეუძლიათ საერთო სარგებლობის ზონებში თავისუფლად გადაადგილება, რაც ურთიერთობების ნორმალიზაციას და დაძაბულობის მოხსნას უწყობს ხელს[30].

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ციხის ხელმძღვანელობამ წაახალისოს ნებისმიერი ხელმისაწვდომი კომუნიკაციის ფორმები, იქნება ეს წერილი, სატელეფონო ზარი, ვიდეო ზარი თუ სხვა, მაგრამ ეს ფორმები არ უნდა გამოიყენებოდეს ვიზიტების ჩასანაცვლებლად.

იხილეთ მანდელას წესები, წესი 58, შემდგომი ინფორმაციისთვის „გარეშე სამყაროსთან კონტაქტის“ შესახებ.

სავარაუდოდ, ციხეებში მყოფ ქალებს მზრუნველობის მეტი ვალდებულება აქვთ, ვიდრე კაცებს. მეტად მნიშვნელოვანია, რომ ოჯახზე ძირითადი მზრუნველის ფუნქციის მქონე პირებს ოჯახებში დატოვებულ ბავშვებთან ურთიერთობის შენარჩუნების საშუალება ჰქონდეთ და შეძლებისდაგვარად, უნდა შეეძლოთ ციხის მოკლე ვადით დატოვება ოჯახთან დროის გატარების მიზნით. როდესაც ბავშვები სტუმრობენ ციხეს, საჭიროა მათ რაც შეიძლება მეტი კონტაქტის და კონფიდენციალურობის დაცვის საშუალება მიეცეთ. ძირითადი მზრუნველებისა და ბავშვების შეხვედრისას აუცილებელია ფიზიკური ურთიერთობის დაშვება. ასეთი ვიზიტები არ უნდა ჩატარდეს უკონტაქტოდ, რაიმე სახის ეკრანით ან ფიზიკური ბარიერით გამოყოფილ პირობებში. შეძლებისდაგვარად, ვიზიტები მთელი დღე უნდა გრძელდებოდეს[31].

მეუღლესთან ვიზიტი (პრეზერვატივებიც უნდა იყოს ხელმისაწვდომი) არ არის გავრცელებული, თუმცა ზოგ ქვეყანაში დაშვებულია[32]. ქვეყნებში, სადაც ეს დაშვებულია, ქალებისთვის ასეთი ვიზიტის მისაღებად საკმაოდ მკაცრი პირობებია დასაკმაყოფილებელი. მაგალითად, კარგი ქცევა, პარტნიორი მეუღლე ან სტაბილური პარტნიორი უნდა იყოს და არ უნდა ჰქონდეთ სქესობრივად გადამდები დაავადებები. კაცებს როგორც წესი, არ უწევთ ამდენად მკაცრი პირობების დაკმაყოფილება მეუღლესთან შეხვედრის მისაღებად.

იგივე სქესის პარტნიორთა შემთხვევაში ასეთი პაემნები საკმაოდ იშვიათია; ამდენად, საჭიროა დამატებითი ადვოკატირება ამ სფეროში (იხ. ჩანართი 17).

ჩანართი 17: კოსტა რიკაში მეუღლესთან ვიზიტების თანასწორობა

2011 წლის ოქტომბერში კოსტა რიკას უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება პატიმრის სასარგებლოდ, რომელმაც შეიტანა საჩივარი პენიტენციური სისტემის წესების დისკრიმინაციული ხასიათის თაობაზე, სადაც ნათქვამი იყო, რომ „ინტიმური ვიზიტები“ მხოლოდ საპირისპირო სქესის წარმომადგენელთან არის ნებადართული. ამჟამად კოსტა რიკაში ჰომოსექსუალ პატიმრებს ინტიმური ვიზიტების შესაძლებლობა ზუსტად ისევე აქვთ, როგორც ჰეტეროსექსუალ პატიმრებს.

წყარო: ბლანკი (2015) „თავისუფლებააღკვეთილი ლგბტი ადამიანები: პრევენციული მონიტორინგის ჩარჩო“, მე-2 გამოცემა, ლონდონი და ჟენევა: ციხის საერთაშორისო რეფორმა და წამების პრევენციის ასოციაცია, გვ. 13.

პოსტ-კონფლიქტური და კატასტროფის შემდგომი კონტექსტი

განსაკუთრებული სირთულეები იჩენს თავს, როდესაც სახელმწიფო გამოდის კონფლიქტის ან ბუნებრივი კატასტროფის მდგომარეობიდან. რესურსების გამოყოფა საპატიმრო დაწესებულებებისათვის სახელმწიფოს თუ დონორების პრიორიტეტს არ წარმოადგენს. თუმცა, ინფრასტრუქტურის აღდგენამ და ახალი პერსონალის აყვანამ შეიძლება გენდერული პერსპექტივის დასაწყისიდანვე ინტეგრირების საშუალება გააჩინოს. მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისმა სახელმწიფო ადმინისტრაციამ გაითავისოს რომ ქალების, კაცების, ბიჭების და გოგოების დაწესებულებებში უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის შენარჩუნებასთან ერთად, პატიმრების ღირსების შენარჩუნებაც არის საჭირო; აუცილებელია იმის გათვითცნობიერებაც, რომ საჭიროა სხვადსხვა მიდგომების გამოყენება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების მიმართ და საკმარისი რესურსის გამოყოფა ამ მიზნებისათვის. უსაფრთხოებისა და დაცულობის უზრუნველყოფა პრიორიტეტია ასეთ დაწესებულებებში, რისთვისაც ცალკე განთავსების სივრცეებისა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შექმნა ქალებისა და კაცებისათვის უმნიშვნელოვანესია.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ კონფლიქტის დროს შეიძლება სექსუალურ ძალადობასაც ჰქონოდა ადგილი, რაც გასათვალისწინებელია პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში საპატიმრო დაწესებულებებში ქალებისა და კაცების საჭიროებებისა და როლების განსაზღვრის დროს. აუცილებელია, რომ ქალ პატიმრებს ზედამხედველობას ქალები უწევდნენ და განმეორებითი ტრავმის გამომწვევი ისეთი ქმედებები, მათ შორის, ჩხრეკა, მინიმუმამდე იყოს დაყვანილი და მხოლოდ აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში სრულდებოდეს.

ციხის ინფრასტრუქტურის, სისტემებისა და პროცესების აღდგენას შეიძლება საერთაშორისო ორგანიზაციების, არასამთვარობო ორგანიზაციების, ან უცხო ქვეყნების სახელმწიფოების დახმარება დასჭირდეს. გარეშე მხარეთა ტრენინგიც საჭირო იქნება, იმისათვის, რომ ყველა ჩართულმა მხარემ იცოდეს რა არის მისაღები ამა თუ იმ კულტურაში, მის შესაბამისად იმოქმედოს*.

სისხლის სამართლის სისტემის მიღმა არსებული თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები

ციხეში ან პოლიციის მიერ დაკავებულთა მსგავსად, მთელ მსოფლიოში ასობით ათასი ადამიანი არის თავისუფლებააღკვეთილი ლტოლვილთა ბანაკებში, საიმიგრაციო ცენტრებში და სხვა დაწესებულებებში. ამ სიტუაციებსა და ციხეებს შორის საკმაოდ ბევრი მსგავსებაა იმის მიუხედავად ეს არის მუდმივი თუ დროებითი სტრუქტურა და კოლექტივები. ასეთი მსგავსებები გულისხმობს დიდი რაოდენობის ადამიანების ერთად ყოფნას, მუშაობის შეზღუდულ შესაძლებლობებს და სტრესის მაღალ დონეებს. ამდენად, გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება მსგავს გარემოში, ხელს შეუწყობს გენდერულ თანასწორობასა და რეფორმის განხორციელებას.

ლტოლვილთა ბანაკებში, ხშირ შემთხვევაში ქალებს მოეთხოვებათ წყლისა და შეშის მომარაგება. ამ საქმიანობის გამო ისინი საკმაოდ ხშირად გამხდარან სექსუალური და გენდერული ნიშნით ჩადენილი თავდასხმის მსხვერპლი სამხედროების, ადგილობრივების და ზოგჯერ, ბანაკის მაცხოვრებელი კაცებისა და ბიჭების მხრიდან. ლტოლვილთა ბანაკებში ქალების და გოგოების უსაფრთხოების გაუმჯობესების ინიციატივებმა მოიტანეს ეფექტიანი, სანდო, მდგრადი ენერგო-მომსახურება, რის გამოც ქალებისა და გოგოების სარისკო ზონებში გადაადგილება შემცირდა. თუმცა, ამას თავისი უარყოფითი მხარეც ახლავს, ვინაიდან შესაძლებელია, ქალთა თავისუფალი გადაადგილება ბანაკის ტერიტორიაზე შეიზღუდოს. აუცილებელია, მუშაობის გაგრძელება ადგილობრივი თემის წარმომადგენელ კაცებთან და ბიჭებთან, სამხედრო ძალებთან და

* მეტი ინფორმაციისთვის გენდერზე პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში, იხ. რიგერი - კონფლიქტის დროს და მისი დასრულების შემდეგ ქალებისთვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, გაეროს სამართლის უზენაესობის ჩართულობის მონახაზი, ნიუ იორკი: UN Women და UNDP; UNDPKO, UNODC და UNDP (2014) „ციხის შეფასება პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში“, ნიუ იორკი, გაერო; UNODC და აშშ-ის მშვიდობის ინსტიტუტი (2011) „სისხლის სამართლის რეფორმა პოსტ-კონფლიქტურ ქვეყნებში - სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისათვის“ ვენა, UNODC.

საზედამხედველო ორგანოებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ბანაკის ბინადრებთანაც, სექსუალური და გენდერული ძალადობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით და მსგავსი ფაქტების თავიდან ასაცილებლად. ასეთი ძალისხმევის მაგალითი არსებობს იორდანიაში (იხ. ჩანართი 18).

ჩანართი 18: კაცებისა და ბიჭების ჩართვა სექსუალური და გენდერული ძალადობის პრევენციაში - იორდანია

ჩრდილო იორდანიაში მდებარე ზაარტარის ლტოლვილთა ბანაკში 80 000 სირიელი ლტოლვილია მოთავსებული. სხვა პრობლემებთან ერთად, იქ ერთ-ერთია სექსუალური და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის მაღალი დონი, ოჯახში ძალადობის, ადრეული და იძულებითი ქორწინებისა და სექსუალური ძალადობის ჩათვლით.

ამ პრობლემის საპასუხოდ, ორგანიზაციამ Arab Renaissance for Democracy and Development სემინარები ჩაუტარა ბანაკის ბინადარ 200 კაცსა და ბიჭს. პროგრამა გულისხმობდა ორ ორსაათიან სემინარს მცირე ჯგუფებისთვის. პირველი სემინარი აქცენტს აკეთებდა კაცებისათვის ფსიქოლოგიური დახმარების საკითხებზე, ხოლო მეორე შეეხებოდა სექსუალური და გენდერული ძალადობის საკითხებს.

პროგრამის დაწყებამდე და მისი დასრულებისას მონაწილეებს უსვამდნენ სხვადასხვა კითხვას. დადგინდა, რომ ინიციატივამ ზეგავლენა იქონია შემდეგზე:

- მედეგობის შექმნა, ანუ, ფსიქოლოგიურ სტრესთან გამკლავების რიცხვი გაიზარდა 55%-დან 78%-დე.
- ცნობიერება სექსუალური და გენდერული ძალადობის საკითხზე გაიზარდა 57%-დან 82 %-დე, ანუ იმ კაცების წილი, რომელთაც გააცნობიერეს, რომ ქალები უფრო ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლი, ვიდრე კაცები.

წყარო: ARDD- იურიდიული დახმარება (2016) კაცებისა და ბიჭების SGBV-ს პრევენციაში ჩართვის 4 საფუძველი ზაარტარის ლტოლვილთა ბანაკში“, ამანი, Arab Renaissance for Democracy and Development.

4.3. რეკომენდაციები სამოქალაქო საზოგადოებისთვის*

ყველა ქვეყანა პასუხისმგებელია სახელმწიფოს მიერ თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის სათანადო პირობების შექმნასა და მოპყრობაზე. ბევრ ქვეყანას ეს ვალდებულება „ზრუნვის ვალდებულებაში“ აქვს გაწერილი. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ საზოგადოებას არ შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს მართლმსაჯულებისა და უსაფრთხოების სისტემების გამართულად მუშაობაში, რომელიც ადამიანებს თავისუფლებას უზღუდავს. რეალურად, ამ მხრივ მნიშვნელოვან როლს არასამთავრობო ორგანიზაციები ასრულებენ. მაგალითად, უზრუნველყოფენ დამოუკიდებელ ზედამხედველობას თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოპყრობასა და პირობებზე, გამოავლენენ მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს, კონკრეტულ სფეროებში საექსპერტო ცოდნას აწოდებენ და ამით ზრდიან დაწესებულებების პერსონალის შესაძლებლობებს, ატარებენ სარეაბილიტაციო პროგრამებს დანაშაულებრივი ქცევისა და ნარკოტიკების მომხმარებელთათვის, გასცემენ პოლიტიკის საკითხების შესახებ ფაქტებზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს.

მაშასადამე, სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია დადებითი ზეგავლენა იქონიოს რეფორმაზე და გენდერული პერსპექტივის დანერგვაზე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ამის ხარჯზე შემცირდება და გაქრება სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას თავისუფლებააღკვეთილი ადამიანების უსაფრთხოება.

* დამატებითი ინფორმაციისთვის სამოქალაქო საზოგადოების უსაფრთხოების სექტორის მმართველობასა და რეფორმებში ჩართვის თაობაზე, იხ. მეცხრე კრებული „უსაფრთხოების სექტორსა და გენდერზე სამოქალაქო საზოგადოების ზედამხედველობა“, DCAF, OSCE/ODIHR, UN-INSTRAW (2008) *გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის თაობაზე პრაქტიკული მითითებები.*

დამოუკიდებელი ზედამხედველობა და მონიტორინგი

ორგანიზაციები, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში არსებულ პირობებზე დამოუკიდებელ მონიტორინგს ატარებენ და ზედამხედველობას უწევენ, ნებისმიერი ისეთი სისტემის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ, რომელთაც მდგრადი და თანასწორი ადამიანური მოპყრობის უზრუნველყოფა სურთ. დამოუკიდებელი მონიტორინგისა და ზედამხედველობის ორგანოების რეკომენდაციები, ისევე როგორც შიდა შემოწმების რეკომენდაციები, სრულად უნდა იქნას გათვალისწინებული და ასახული სამთავრობო სამოქმედო გეგმებში (დეტალები განხილულია ნაწილში 4.1).

ბანგკოკის წესები აღნიშნავს ქალ წევრთა შემოწმების გუნდებში ჩართვის მნიშვნელობას, რათა „უზრუნველყოფილი იქნას ქალ პატიმრებზე გათვლილი მომსახურების მიწოდების სათანადოდ შემოწმება იგივე სქესის პირის მიერ; ამავე დროს, ეს ხელს უწყობს ქალ პატიმართა მიერ საჩივრების მიწოდებას, ვინაიდან თუ მონიტორინგის გუნდი მხოლოდ კაცებისგან შედგება, ქალმა, შესაძლოა თავი შეიკავოს“[34].

დაწესებულების შიდა მონიტორინგი და აუდიტის სისტემები მნიშვნელოვანია რეგულარული თვითშეფასებისთვის, თუმცა, დამოუკიდებელი წყაროს მიერ ჩატარებული შეფასება, რომელიც საექსპერტო ცოდნასაც ეყრდნობა, უფრო ობიექტურად სანდო შედეგებს იძლევა. მანდელას წესები უზრუნველყოფს რეგულარული მონიტორინგის ჩატარებას როგორც შიდა, ისე გარეშე ორგანოების მიერ. გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია N 33 ქალებისთვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის შესახებ, დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანიზაციების შექმნისაკენ მოუწოდებს[35].

არსებობს გარეშე ზედამხედველობის ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე ჩატარების მრავალი მეთოდი, შემდეგის ჩათვლით:

- ეროვნული პრევენციული მექანიზმი (National Preventive Mechanisms): პრევენციული სისტემის ეროვნული კომპონენტი, რომელიც შექმნილია წამებისა, სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის დამატებითი პროტოკოლის საფუძველზე. ეროვნული პრევენციული მექანიზმები უფლებამოსილია ეწვიოს ყველა სახის დაწესებულებას, სადაც თავისუფლებააღკვეთილები არიან. ასეთი ვიზიტების შედეგად იწერება რეკომენდაციები თავისუფლებააღკვეთილი პირების უკეთ დაცვისათვის. ეროვნული პრევენციული მექანიზმს შეუძლია კომენტარების გაკეთება კანონებსა და რეგულაციებზე, ისევე როგორც რეფორმების შეთავაზება. ეროვნული პრევენციული მექანიზმი ყოველწლიურ ანგარიშებს აქვეყნებს მექანიზმის საქმიანობაზე და წამების პრევენციის საკითხებზე საკუთარ ქვეყანაში.
- ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუტები და ომბუდსმენის ინსტიტუტები (მაგალითისთვის იხ. ჩანართი 19).
- ინსპექციები
- დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციები

ჩანართი 19: ინგლისისა და უელსის ციხეებისა და პრობაციის ომბუდსმენის დამოუკიდებელი გამოძიება და რეკომენდაციები ტრანსგენდერი ადამიანების მართვისა და მათზე ზრუნვის შესახებ

ციხეებისა და პრობაციის ომბუდსმენი დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომელიც პატიმრობაში გარდაცვალების ფაქტებსა და საჩივრებს იძიებს.

ომბუდსმენის აპარატის ცნობით, წარსულში ტრანსგენდერი ადამიანის საპატიმროში წარდგენილი ბევრი საჩივარი ან გარდაცვალების შესახებ შეტყობინება არ არსებობდა, თუმცა დღეს მათი რიცხვი იზრდება. საპასუხოდ, ომბუდსმენის აპარატმა ჩაატარა კვლევა საპყრობილეში მყოფი ტრანსგენდერი ადმიანების მართვისა და მათზე ზრუნვის საკითხზე, რის შედეგადაც შექმნა „მიღებული გამოცდილების ბიულეტენი“

პატიმრებთან პირდაპირ გასაუბრების შედეგად გაკეთებული დასკვნები მოიცავს შემდეგს:

- აუცილებელია ტრანსფობიური ბულინგისა და შევიწროების განცხადებების ძირეული შესწავლა ისე, რომ პატიმრები დარწმუნებული იყვნენ ჩატარებული პროცესის სისწორეში
- ოფიცრებს უნდა ჰქონდეთ რეგულარული და მიზნობრივი კომუნიკაცია ტრანსგენდერ პატიმრებთან; პერსონალისთვის ცნობილი უნდა იყოს მათი სუსტი მხარეები (მოწყვლადობა) და აღკვეთოს მიუღებელი ქცევა
- საჭიროა გონივრული კორექტივების შეტანა იმისათვის, რომ დავეხმაროთ ტრანსგენდერ პატიმრებს იარსებონ თავის გენდერულ როლში, თუ შესაძლებელია ასეთი კორექტივების უსაფრთხოებისთვის ზიანის მიყენების გარეშე განხორციელება

ბიულეტენის გამოცემის დრო დაემთხვა და შეავსო ოფიციალური მითითება პენიტენციალური სამსახურის ყველა თანამშრომლისთვის „ტრანსგენდერ პატიმრებზე ზრუნვისა და მართვის შესახებ“.

წყაროები: ციხეებისა და პრობაციის ომბუდსმენი (2017) დასკვნების მაცნე: ტრანსგენდერი პატიმრები“, ლონდონი: PPO; მსჯავრდებულთა მართვის ეროვნული ცენტრი (2016) „ტრანსგენდერ პატიმრებზე ზრუნვა და მათი მართვა“ ლონდონი: NOMS.

ასევე, არსებობს ნაკლებად სტრუქტურირებული, თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანი სამოქალაქო საზოგადოების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების მონიტორინგში მონაწილეობის ხერხი. თუ საზოგადოებას რეგულარული ურთიერთქმედება აქვს პატიმრებთან და საზოგადოების წევრები შედიან საპატიმრო დაწესებულებებში მასწავლებლების, ჯანდაცვის მუშაკების და რელიგიური თუ კულტურული ჯგუფების სახით, მაშინ საზოგადოებას უკეთესი წარმოდგენა შეექმნება დაწესებულების შიგნით არსებულ ვითარებაზე და, შესაბამისად, ციხის ადმინისტრაციაც ნაკლები შესაძლებლობა ექნება შეუფერებლად და უხამსად მოიქცეს*.

კვლევა და შესაძლებლობების შექმნა

ბევრ შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში შეიძლება არსებობდეს გენდერული პერსპექტივის ინტეგრირების დანერგვის სურვილი, მაგრამ ვერ ხერხდებოდეს რესურსების არარსებობის გამო. სამოქალაქო საზოგადოებას შეიძლება ხელი მიუწვდებოდეს ფინანსურ რესურსზე, საექსპერტო ცოდნასა და დროზე, რაც შესაძლებელია არ არსებობდეს სახელმწიფო დაწესებულებების შემთხვევაში; ამდენად, პარტნიორობა სახელმწიფოსა და იმ ექსპერტებს შორის სხვადასხვა თემებზე, შეიძლება უმნიშვნელოვანესი გახდეს. უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერების ფაკულტეტებს ჰყავთ ექსპერტები, რომლებიც სპეციალიზებულები არიან სხვადასხვა თემაზე; მათ შორის არიან გენდერული თანასწორობის, ციხეებში განათლების და რეაბილიტაციის, საპყრობილეში დედების,

* მეტი ინფორმაციისთვის შიდა და გარეშე შემონმებისა და მონიტორინგის შესახებ, იხ. კოილი და ფეარი (2018) - ადამიანის უფლებების მიდგომა ციხის მართვისადმი. სახელმძღვანელო ციხის პერსონალისთვის, მე-3 გამოცემა, ლონდონი: სისხლის სამართლის პოლიტიკის კვლევა.

ტრანსგენდერი პატიმრების, სექსუალური და გენდერული ძალადობის შემცირების, ციხეში მასკულინობის და მრავალი სხვა დარგის სპეციალისტი.

ამასთანავე, არსებობს მრავალი ეროვნული და საერთაშორისო არასამთავრობო და საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს სხვადასხვა თემატურ სფეროში და მათ შეუძლიათ ახალი პილოტური პროექტების განხორციელებაში დახმარება, სხვადასხვა მოდელების დადებითი და უარყოფითი ასპექტების გამოვლენა და რეფორმების ადგილობრივ კონტექსტზე მორგება (იხ. ჩანართები 18, 20 და 21).

ჩანართი 20: ქალებისთვის ტრენინგის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა - პაკისტანი

ციხის ოფიცრების ტრენინგი, როგორც წესი, რომელიმე ცენტრალურ ადგილზე ტარდება, სადაც იკრიბებიან სხვადასხვა დაწესებულებების თანამშრომლები რეფორმების შესახებ ინფორმაციის მიღების, მოსაზრებების და დადებითი გამოცდილების ერთმანეთთან გაცვლისათვის. პაკისტანის იურიდიული დახმარების სამსახურმა, სახელმწიფო-კერძო პარტნიორობამ და პროექტმა, რომელსაც პატიმართა კეთილდღეობის კომიტეტი ატარებდა, შეიტყვეს, რომ ასეთ ტრენინგებს ქალი თანამშრომლები არ ესწრებოდნენ. პაკისტანის ზოგიერთ მხარეში მიუღებლად მიიჩნევა ქალების ოჯახიდან შორს გასვლა და ღამის სხვაგან გატარება. შედეგად, ქალები შეიძლება ვერ დაესწრონ მნიშვნელოვან ტრენინგს, რაც შეზღუდავს მათ პროფესიულ განვითარებას და ხელს შეუშლის კარიერულ ზრდას.

იურიდიული დახმარების ოფისმა მოაწყო ადგილობრივი ტრენინგი ქალთა ციხეებში კარაჩიში, ჰაიდერაბადში, სიკურსა და ლარკანაში, იმისათვის, რომ ქალ-თანამშრომლებს შორს არ ემგზავრათ და დასწრებოდნენ ტრენინგს. ტრენინგის აქცენტი გაკეთებული იყო გენდერულ თანასწორობაზე, კონსტიტუციის გარანტირებულ უფლებებზე, პრობაციაზე, ციხის წესებზე, საოჯახო სამართალზე და სისხლის სამართლის პროცესზე.

წყარო: იურიდიული დახმარების ოფისი (2019), მეცადინეობების გეგმები 1-9, კარაჩი:: LAO. დოკუმენტები მიღებულია პაკისტანის იურიდიული დახმარების ოფისიდან პირდაპირი მიმართვის საფუძველზე.

გრძელვადიანი პროგრესის ხელშეწყობა

ზოგმა ორგანიზაციამ ქალთა მდგომარეობის მოკლევადიან პერსპექტივაში გაუმჯობესების და გენდერული თანასწორობისთვის გრძელვადიან პერსპექტივაში ადვოკატირების საშუალებას მიაგნო. ცვლილების განხორციელება შეუძლებელია ერთ დღე-ღამეში და მიუხედავად იმისა, რომ ეს კრებული მარტივი ცვლილების ისეთ მაგალითებს შეიცავს, რომელთაც შეუძლიათ ძალზედ სწრაფად გააუმჯობესონ გენდერული თანასწორობის ვითარება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, ღრმად გამჯდარი მოსაზრებების შეცვლისათვის გრძელვადიანი სტრატეგიაა საჭირო. სახელმწიფოს და დაწესებულებების წარმომადგენლები უნდა ჩაერთონ რეფორმაში, ხოლო სამოქალაქო საზოგადოებამ შეიძლება მასშტაბური რეფორმის სფეროში შესაძლოა მამოძრავებელი ძალის როლი შეასრულოს.

ჩანართი 21 შეიცავს ასეთი გრძელვადიანი ღონისძიების მაგალითს. სადაც ნაჩვენებია სამოქალაქო საზოგადოების, ციხის თანამშრომლებისა და პოლიტიკოსების ერთობლივი ძალისხმევა ციხეებში სექსუალური და გენდერული ძალადობის შემცირებაზე ორიენტირებული კანონმდებლობის მისაღებად.

ჩანართი 21: პატიმართა გაუპატიურების შემთხვევათა შემცირებაზე მიმართული ძალისხმევა - სამხრეთ აფრიკა

ერთი ციხის პერსონალის სამმა წევრმა 2000 წელს წამოიწყო ადგილობრივი ინიციატივა - „მეგობრები ძალადობის წინააღმდეგ“. ეს ინიციატივა კაცების დაწესებულებაში გაუპატიურების ნორმალიზაციაზე საპასუხოდ დაიწყო. ჯგუფს მხარი დაუჭირეს ადგილობრივმა ბიზნესებმა და კოლექტივებმა და 2004 წელს დასახული გეგმა სამხრეთ აფრიკის პარლამენტს წარედგინა. ისტორიაში პირველი საპარლამენტო სხდომა გაიმართა ციხეში პატიმრების გაუპატიურების საკითხზე. მათ იდეებს გამოუჩნდათ, როგორც მოწინააღმდეგეები, ისე მომხრეები.

დაახლოებით იმავე პერიოდში, „მეგობრები ძალადობის წინააღმდეგ“ დაუკავშირდა აშშ-ს ორგანიზაცია Just Detention International-ს (წინათ Stop Prisoner Rape). Just Detention International-მა დიდი ინტერესი გამოიჩინა სამხრეთ აფრიკის მიმართ და თანამშრომლობდა ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, კერძოდ კი „ძალადობისა და შერიგების კვლევით ცენტრთან“, რომელმაც გამოაქვეყნა ამ სფეროში პირველი კვლევა სამხრეთ აფრიკის კაცების ციხეებში გაუპატიურების თაობაზე. ორგანიზაციებმა დაიწყეს ერთობლივი მუშაობა სასჯელაღსრულების სამსახურთან პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული სტრატეგიის შესამუშავებლად; ასევე, დაიწყეს მუშაობა პარლამენტში და სხვა საზედამხედველო ორგანოებში ცნობიერების ამაღლების საკითხებზე. ჯგუფი თანამშრომლობდა ბევრ ადგილობრივ თუ საერთაშორისო პარტნიორთან ცვილების მიღწევისა და ცნობიერების ამაღლებისათვის.

2008 წელს სასჯელაღსრულების სამსახურის ახლად დანიშნულმა კომისარმა ჩაატარა ღონისძიება ციხეებში გაუპატიურების საკითხის განხილვისა და პრობლემების გამოვლენის მიზნით. კომისარმა პრობლემის მოსაგვარებლად დეპარტამენტთან თანამშრომლობისთვის Just Detention International და „ძალადობისა და შერიგების კვლევითი ცენტრი“ მოიწვია.

2009 წელს სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა, Just Detention International-მა და „ძალადობისა და შერიგების კვლევითმა ცენტრმა“ შეიმუშავეს პოლიტიკა, რომელიც ციხეებს ავალდებულებდა, გაეტარებინათ პრევენციის, გამოვლენის, რეაგირების და პატიმართა გაუპატიურების აღრიცხვა-დოკუმენტირების ზომები. შემდეგ დეპარტამენტის ხელმძღვანელობა შეიცვალა, პოლიტიკის დამტკიცების პროცესი კი შენელდა და გართულდა. იგი მოგვიანებით, 2013 წელს, სამოქალაქო საზოგადოების მიერ სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან მრავალი წლის ადვოკატირების შემდეგ დამტკიცდა.

ამასობაში, Just Detention International-მა დააფუძნა ორგანიზაცია Just Detention International – South Africa და ციხეებში პოლიტიკის ტესტირების მიზნით პილოტური პროექტის განხორციელება დაიწყო. მხოლოდ 2017 წელს, პილოტური პროექტიდან 3 წლის შემდეგ, პოლიტიკა ქვეყნის ყველა დაწესებულებაზე გავრცელდა. Just Detention International – South Africa აგრძელებს მუშაობას სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით და ატარებს ციხის ოფიცერთა (და ფსიქოლოგიური თუ სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი პერსონალის, ა.შ) ტრენინგებს შემდეგ თემებზე:

- სექსუალური ძალადობის დინამიკა და მასკულინიზმის, მიზოგინიისა და ჰომოფობიის ტოქსიკური ცნებები
- გენდერი და სექსუალობა
- რისკ ფაქტორებისა და სექსუალური ძალადობის ურთიერთკავშირი
- ტრავმა და როგორ ვლინდება იგი პატიმრობაში მყოფ ადამიანებში
- თანაგრძნობით მოსმენის მნიშვნელობა და არა მხოლოდ უსაფრთხოების ფაქტების დადგენა
- სამართლებრივი ჩარჩო - სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ვალდებულება, მოახდინოს ძალადობის პრევენცია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში

წყარო: ამ მაგალითის შესახებ ინფორმაცია აღებულია სამომავლო პუბლიკაციიდან, რომელიც მოგვაწოდა Just Detention International – South Africa-მ. იგი გამოქვეყნდება ვებ-გვერდზეც https://southafrica.justdetention.org/.

1. კოილი და ფეარი (2018) „ადამიანის უფლებების მიდგომა ციხის მმართველობაში. სახელმძღვანელო ციხის პერსონალისათვის, მე-3 გამოცემა, ლონდონი: სისხლის სამართლის პოლიტიკის კვლევითი ინსტიტუტი, გვ. 125.
2. იქვე.
3. გაეროს გენერალური ასამბლეა (2015) „დისკრიმინაცია და ძალადობა ადამიანების წინააღმდეგ მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გამო“, გაეროს ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის ოფისის ანგარიში, გაეროს დოკუმენტი A/HRC/29/23, პარა. 25. მეტი ინფორმაციისთვის იმაზე თუ რატომ არ წერენ საჩივრებს ზოგი ჯგუფები, იხ. ინგლისისა და უელსის ციხისა და პრობაციის ომბუდსმენის ანგარიში (2015) - ომბუდსმენის კვლევების დასკვნები: რატომ არ წარადგენენ საჩივრებს პატიმარი ქალები და ახალგაზრდები? ლონდონი: PPO.
4. ჯ. ნუტალი და პ. ჯურისიკი (2015) – „როგორ ავაშენოთ ციხე ადამიანის უფლებების ნორმების დაცვით“, ბლოგის სტატია, ლონდონი: ციხის საერთაშორისო რეფორმა, www.penalreform.org/blog/how-to-build-a-prison-compliant-with-human/.
5. ლ. მაიელოზე და ს.კარტერზე დაყრდნობით (2015) - პისუარების გარეშე და ვარდისფრად შეღებილი?, ბლოგ-პოსტი, ლონდონი: ციხის საერთაშორისო რეფორმა, www.penalreform.org/blog/10020/.
6. ჟანა კორსტონი (2007) „კორსტონის ანგარიში. ბარონესა ჟანა კორსტონის ანგარიში მართლმსაჯულების სისტემაში გარკვეული მოწყვლადობის მქონე ქალების შეფასება“, ლონდონი: შინაგან საქმეთა სამინისტრო.
7. ლორდ ბრედლი (2009) „ბრედლის ანგარიში“, ლონდონი: ჯანდაცვის დეპარტამენტი. მეტი ინფორმაციისათვის ციხის ინფრასტრუქტურასა და მენტალურ ჯანმრთელობაზე იხ. დ.მ. ლოპესი და ლ. მაიელო-რეიდი (2017) - ციხეები და მენტალური დაავადებები: რატომაა დაგეგმვა მნიშვნელოვანი“, ბლოგ-პოსტი, ლონდონი: ციხის საერთაშორისო რეფორმა, www.penalreform.org/blog/prisons-and-the-mentally-ill-why-design-matters/.
8. მ. შონტეხი და რ.ო. ვარენიკი (2014) ბრალის პრეზუმფცია: გლობალურად წინასწარი დაკავების გადაჭარბებულად გამოყენება, ნიუ იორკი, ღია საზოგადოების ფონდი, გვ.7.
9. იქვე, გვ.60.
10. ტ. რიტერი, ჯ. ბეიკერი და Dignity (დანიის წამების წინააღმდეგ ბრძოლის ინსტიტუტი) (2014) „პირობები პატიმრობაში მყოფი ქალებისთვის: საჭიროებები, სისუსტეები და საუკეთესო პრაქტიკა“, კოპენჰაგენი: Dignity, გვ. 31.
11. იქვე, გვ. 15.
12. გაეროს ქალთა ორგანიზაცია, (UN Women), გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA),მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის ოფისი (UNODC) (2015), „მოდული 3: მართლმსაჯულება და პოლიციური საქმიანობა“, კრიტიკული მომსახურების პაკეტი ძალადობას დაქვემდებარებული ქალებისა და გოგოებისათვის: რეკომენდაციები ძირითადი ელემენტებისა და ხარისხის შესახებ, ნიუ-იორკი: გაეროს ქალთა ორგანიზაცია.
13. UNODC (2014) სახელმძღვანელო ქალებსა და პატიმრობაზე, ვენა: გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის ოფისი, გვ. 20.
14. OSCE/ODIHR და PRI (2018) სარეკომენდაციო დოკუმენტი ნელსონ მანდელას წესებზე: გაეროს განახლებული სტანდარტის პატიმართა მკურნალობის მინიმალური წესების დანერგვა, ვარშავა: ODIHR, გვ 63.
15. ი.მ. რაითი, პ. ვან ვურისი, ი.ჯეი სელსბერი და ა. ბაუმანი (2009) „NIC/UC -ის გენდერულად სენსიტიური კლასიფიკაციის პროექტის შედეგად გაკეთებული დასკვნები“, ქალები, გოგოები & სისხლის სამართალი, 10(6), გვ. 85-87.
16. ჯეი-ს ბლანკი (2015), „თავისუფლებააღკვეთილი ლგბტი ადამიანები: პრევენციული მონიტორინგის ჩარჩო“, მე-2 გამოცემა, ლონდონი და ჟენევა: ციხის საერთაშორისო რეფორმა და წამების პრევენციის ასოციაცია, გვ. 9.
17. წამების პრევენციის და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის ქვეკომიტეტი (2015), „მერვე ყოველწლიური ანგარიში“, გაეროს დოკუმენტი, CAT/C/54/2, 26 მარტი, პარაგრაფი 68.

   ფაზელი, ჰეიესი, ბარტელასი, კლერიჩი და ტრესტმანი (2016) “პატიმართა მენტალური ჯანმრთელობა: პრევალენტობის, უარყოფითი შედეგებისა და ინტერვენციების შეფასება“, Lancet Psychiatry, 3, გვ. 871–881.
18. პან-ამერიკული ჯანდაცვის ორგანიზაცია, John Snow Inc. და ტრანსგენდერული ჯანდაცვის მსოფლიო პროფესიული ორგანიზაცია (2014) „ტრანსგენდერი ადამიანების და მათი თემებისათვის სრულყოფილი ზრუნვის უზრუნველყოფის გეგმა კარიბის კუნძულებზე და სხვა ინგლისურენოვან ქვეყნებში, არლინგტონი, ვირჯინია: John Snow Inc., გვ. 21.
19. იქვე, გვ. 24.
20. ფედოკი და კოვინგტონი (2017) „გასწორებითი პროგრამები და გენდერი“, ოქსფორდი კრიმინოლოგიის კვლევების ენციკლოპედია, ნიუ იორკი: Oxford University Press.
21. ტროტერი და ფლინი (2016) „ლიტერატურის მიმოხილვა: საუკეთესო პრაქტიკა ქალი-დამნაშავეების შემთხვევაში“, მელბურნი: მონაშის უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კვლევათა კონსორციუმი, გვ. 4.
22. უბერი (2016) „ქალები სისხლის მართლმსაჯულების სისტემაში და გაეროს ბანკოკის წესების დამატებითი ღირებულება“, კური, რედო და ში - ნაშრომში: ქალები და ბავშვები - მსხვერპლები და დამნაშავეები: საფუძველი, პრევენცია, რეინტეგრაცია. წინადადებები შემდგომი თაობებისთვის, ტ. 2, ბასელ სპრინგერი, გვ. 35-84.
23. ჩიკაგოს უნივერსიტეტის იურიდიული სკოლის ადამიანის უფლებების კლინიკა, არგენტინის ადმიანის უფლებათა სახელმწიფო სკოლა (არგენტინა) და კორნელის იურიდიული სკოლა (2013), „ქალები არგენტინის ციხეში: მიზეზები, პირობები და შედეგები“, იტაკა, ნიუ იორკი: ავონის გლობალური ცენტრი ქალებისა და მართლმსაჯულებისთვის, და დოროტეა კლარკის პროგრამა ქალთა იურისპრუდენციაში https://scholarship.law.cornell.edu/avon_clarke/4/ , გვ. 2.
24. ჰაშამ ჩიიმა (2017) „კარაჩის პატიმრობაში მოქცეული ბავშვების ბუნდოვანი მომავალი“, Dawn News, 14 მარტი, www.dawn.com/news/1319619?fbclid=IwAR358uUKv-wcPHTlK8upEqZ3AKTQZCVqfadPeucTQA90a8SZiX9BcGwgH3M.
25. რიტერი, და სხვები, კომენტარი 10 ზემოთ, გვ. 68
26. მულერნი, გაფი და მენი (2010) „ციხიდან გაქცევა: რეციდივიზმთან ბრძოლა, ხარჯების შემცირება“, ლონდონი, სოციალური ბაზრის ფონდი, http://www.smf.co.uk/wp-content/uploads/2010/03/Publication-Prison-Break-Tackling-recidivism-reducing-costs.pdf.
27. კოილი და ფეარი, კომენტარი 1 ზემოთ.
28. ლორანა ბარტელსი და ანტონეტ გაფნი (2017), დადებითი პრაქტიკა ქალთა ციხეებში: ლიტერატურის მიმოხილვა“ , No. 41, კანბერა: ავსტრალიის კრიმინოლოგიის ინსტიტუტი, გვ 58.
29. რიტერი და სხვები, კომენტარი 10 ზემოთ, გვ. 107
30. კოილი და ფეარი, კომენტარი 1, გვ. 154

32. ბოსუორტი (2018) „ციხეებში პრეზერვატივებისა და მეუღლის ვიზიტის შესაძლებლობის არსებობის გლობალური შეფასება: ციხეთა გლობალური კვლევის წინასწარი შედეგები“, ვენა, UNODC

33. ქალ ლტოლვილთა კომისია (2018) „ფაქტები და ციფრები“, www.womensrefugeecommission.org/empower/resources/practitioners-forum/facts-and-figures (14 აგვისტო 2018); „Moving Energy Initiative“ განცხადება გაეროს მაღალი დონის ფორუმზე მდგრადი ენერგეტიკის საკითხებზე. ნიუ იორკი, (2018) mei.chathamhouse.org/statement-advance-launch-global-plan-action-sustainable-energy-solutions-un-high-level-political.

34. გაერთიანებული ერები (2011) „გაეროს წესები იმ ქალების მიმართ მოპყრობის თაობაზე, რომელთა მიმართ გამოყენებულია საპატიმრო ან არასაპატიმრო ღონისძიებები“ (ბანკოკის წესები) UN Doc. A/RES/65/229, 16 მარტი, წესი 25(3).

35. გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (2015) „ზოგადი რეკომენდაცია N33 ქალებისათვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის თაობაზე“, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია, UN Doc. CEDAW/C/GC/33, 23 ივლისი, para. 16(d).

5. საორიენტაციო კითხვარი ინსტიტუციური თვითშეფასებისთვის

ინსტიტუციური თვითშეფასების ეს მაგალითი მიზნად ისახავს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების პირველად შეფასებას მასზედ, თუ როგორ შეიძლება უკეთ მოხდეს გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება და მიღწეულ იქნას გენდერული თანასწორობა.

კითხვარი არ წარმოადგენს კითხვათა ამომწურავ ჩამონათვალს. საჭიროა კითხვარის შესაბამის კონტექსტზე მორგება. მათ, ვინც გამოიყენებს მოცემულ კითხვარს, მოვუწოდებთ, დაამატონ დაწესებულებებში გენდერთან დაკავშირებული შესაბამისი საკითხები*

გენდერული ინსტიტუციური შეფასების მხარდაჭერის სხვა რესურსები ჩამოთვლილია ნაწილში 6.

კომპონენტი	#	საკითხი	დიახ/არა/ნაწილ	რისი გაკეთება შეუძლია თქვენს ორგანიზაციას მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?	პასუხისმგებელი პირი	ვადები
გენდერი მნიშვნელოვანია	1.01	ციხის ხელმძღვანელობას გააზრებული აქვს გენდერული თანასწორობის მნიშვნელობა				
	1.02	ხელმძღვანელობას გააზრებული აქვს, რომ ერთნაირი მოპყრობა არ ნიშნავს თანაბარ მოპყრობას; არსებობს პოლიტიკა გენდერული საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებების დასანერგად				
	1.03	ჩატარებულია ადგილობრივი კვლევა მოსახლეობაში დანაშაულის ჩადენის გენდერულ ასპექტებში გასარკვევად				
	1.04	პოლიტიკა ქალებსა და ტრანსგენდერ პატიმრებზე არ ეფუძნება კაცების ციხისთვის შექმნილი პოლიტიკის შეცვლილ ვარიანტს, არამედ იგი ფუნდამენტურად გადააზრებული პროცესის შედეგია				
	1.05	პოლიტიკის შემუშავებაში წვლილი შეიტანეს ამჟამინდელმა პატიმრებმა და/ან ამ გამოცდილების მქონე ყოფილმა პატიმრებმა				

* გენდერული შეფასება და გენდერის ინტეგრაცია შეფასებაში ასევე განხილულია პრაქტიკულ მითითებაში 15, „უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორში გენდერის საკითხების გათვალისწინება პროექტის შემუშავებისა და მონიტორინგის დროს.

ფოტო: ქუიბეთის ციხე, სამხრეთ სუდანი, პატიმრები ესაუბრებიან გაეროს თანამშრომლებს გადატვირთულ საკნებზე, არასაკმარის საკვებზე, უმძიმეს სანიტარულ პირობებზე, სპორტის და სხვა ფიზიკური აქტივობის და სხვა ფიზიკური აქტივობის არარსებობისა და ციხეში პროფესიის მიღების შეუძლებლობის შესახებ, 2018, © UNMISS / Tonny Muwangala (ტონი მუვანგალა)

კომპო-ნენტი	#	საკითხი	დიახ/არა/ ნაწილ	რისი გაკეთება შეუძლია თქვენს ორგანიზაციას მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?	პასუხისმგებელი პირი	ვადები
გენდერი მნიშვნელოვანია	1.06	შექმნილია ცალკე პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს ქალებისა და გოგოების სპეციალურ საჭიროებებს და მათთან მუშაობის სპეციფიკას				
	1.07	არსებობს პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს ტრანსგენდერი კაცის და ქალის სპეციფიურ საჭიროებებს და მათთან მუშაობის სპეციფიკას				
	1.08	არსებობს პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს კაცებისა და ბიჭების სპეციფიურ საჭიროებებს და მათთან მუშაობის სპეციფიკას				
	1.09	ტარდება რეგულარული ფოკუს-ჯგუფები დაკავებულებთან/ პატიმრებთან გენდერული საჭიროებების განხორციელების თაობაზე				
	1.10	პერსონალს ესმის ციხის პოპულაციის მიერ გამოვლილი გზების გენდერული ასპექტები				
	1.11	კაცი და ქალი პერსონალი საკმარისია ყველა ფუნქციის შესასრულებლად უსაფრთხოებისა და პატიმართა ღირსების შენარჩუნებისთვის				
	1.12	პერსონალს ესმის და აცნობიერებს ლგბტი პატიმრების განსხვავებულ საჭიროებებს				
	1.13	პერსონალს ესმის და აცნობიერებს ლგბტი პერსონალის განსხვავებულ საჭიროებებს				
	1.14	ლგბტი პერსონალის ჯგუფ(ებ) ი აქტიურია და ხელმძღვანელობა მხარს უჭერს				

კომპო-ნენტი	#	საკითხი	დიახ/არა/ ნაწილ	რისი გაკეთება შეუძლია თქვენს ორგანიზაციას მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?	პასუხისმგებელი პირი	ვადები
უსაფრთხო გარემო	2.01	რეჟიმი აქტიურად უწყობს ხელს ისეთი გარემოს დანერგვას, სადაც ადამიანებს არ განსჯიან და ისინი შეძლებენ იდენტობის გამოვლენას დაცინვის და დასჯის შიშის გარეშე				
	2.02	ქალი პატიმრები განთავსდებიან ცალკე დაწესებულებაში და კაცები იქ არ დაიშვებიან				
	2.03	არასრულწლოვანი პატიმრები განთავსდებიან ზრდასრულებისგან ცალკე				
	2.04	რეჟიმი ხელს უწყობს მასკულინიზმის ალტერნატიულ ვარიანტებს და უზრუნველყოფს სივრცეს მასკულინობის ჯანსაღი გამოვლენისთვის				
	2.05	უკუკავშირი (კომენტარები) პატიმრებისგან მიუთითებს, რომ ისინი დაცულად გრძნობენ თავს და შეუძლიათ კონფიდენციალური საჩივრების წარდგენა დასჯის შიშის გარეშე, ხოლო საჩივრები განიხილება დროულად და ობიექტურად და მოსარჩელეს აწვდის ინფორმაციას განხილვის შესახებ				
	2.06	უკუკავშირი (კომენტარები) პერსონალისგან მიუთითებს, რომ ისინი დაცულად გრძნობენ თავს და შეუძლიათ საჩივრების კონფიდენციალურად წარდგენა დასჯის შიშის გარეშე, ხოლო საჩივრები განიხილება დროულად და ობიექტურად და მოსარჩელეს აწვდის ინფორმაციას განხილვის შესახებ				
	2.07	უკუკავშირი პატიმრებისგან მიუთითებს მათ მიმართ თანაბარი მოპყრობის თაობაზე				

კომპო-ნენტი	#	საკითხი	დიახ/არა/ ნაწილ	რისი გაკეთება შეუძლია თქვენს ორგანიზაციას მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?	პასუხისმგებელი პირი	ვადები
უსაფრთხო გარემო	2.08	შიდა და გარე მონიტორინგი და შემოწმებები მიუთითებს თანაბარ მოპყრობაზე				
	2.09	საკნის და სხეულის ჩხრეკა ტარდება მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში და შეესაბამება უსაფრთხოების ლეგიტიმურ მიზნებს; მას იგივე სქესის თანამშრომელი ატარებს				
	2.10	ტრანსგენდერ პატიმრებს ეკითხებიან რომელი სქესის წარმომადგენლის მიერ ჩატარებული ჩხრეკა იქნება მათთვის უფრო უსაფრთხო (კაცი თუ ქალი); ეს პრეფერენცია უნდა იქნას დაცული ყველა შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ეწინააღმდეგება უსაფრთხოების მოთხოვნებს				
	2.11	სხეულის სიღრმისეული დათვალიერების ალტერნატივები არსებობს და ეფექტურად ზღუდავს სრულ და სიღრმისეულ დათვალიერებებს/ჩხრეკას				
	2.12	სხეულის სიღრმისეული დათვალიერება ტარდება მხოლოდ კვალიფიციური ჯანდაცვის პერსონალის მიერ (მინიმუმ, სპეციალურად ჰიგიენაში, ჯანდაცვასა და უსაფრთხოებაში გადამზადებული ციხის პერსონალის მიერ)				
	2.13	სექსუალური შეურაცხყოფისგან დაზარალებული პირები დაუყოვნებლივ იღებენ შესაბამის სამედიცინო დახმარებას და მათ სთავაზობენ შემდგომ ფსიქოლოგიურ და სამართლებრივ დახმარებას				
	2.14	ნებისმიერი განაცხადი ან ეჭვი არასათანადო მოპყრობის შესახებ მყისიერად შესწავლილია და მოგვარებულია კონფიდენციალურად				
	2.16	გამოძიების დროს გამოიყენება დაცვის ზომები, რომელიც ითვალისწინებს დამატებით რისკებს ქალებისთვის, ტრანსგენდერ და ლგბტი პატიმრებთან				
	2.17	სექსუალური და გენდერული ძალადობის ყველა შემთხვევა და შემდგომი ზომები მიღებულია პერსონალის მიერ და დოკუმენტირებულია				
	2.18	ხელმძღვანელობა ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას ატარებს სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამო პერსონალის დისკრიმინაციის, არასათანადო ქცევის ან არასათანადო მოპყრობის მიმართ				
	2.19	ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის გამო ჩადენილი მიუღებელი ქცევის ან არასათანადო მოპყრობის შესახებ წარდგენილი საჩივრების განხილვას				
	2.20	გადაყვანის პროცესში უზრუნველყოფილია ქალი და კაცი პატიმრების ცალკე განთავსება				
	2.21	პატიმრებს მიეწოდებათ ინფორმაცია მათი გადაყვანის მიზეზის შესახებ				
	2.22	ციხის ტრანსპორტის პირობები აკმაყოფილებს უსაფრთხოების, სივრცის, ვენტილაციის, განათების, ჰიგიენისა და კვების მინიმალურ სტანდარტს				
	2.23	ქალთა დაწესებულებებს შორის გადაყვანის დროს დაცულია მათი ჯანმრთელობის და ჰიგიენის სპეციფიური საჭიროებები				
	2.24	ტრანსპორტირების პროცესში ქალი პატიმრების ბადრაგი მხოლოდ ქალი პერსონალი უნდა იყოს				

კომპო-ნენტი	#	საკითხი	დიახ/არა/ ნაწილ	რისი გაკეთება შეუძლია თქვენს ორგანიზაციას მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?	პასუხისმგებელი პირი	ვადები
ძირითადი მენეჯერული რგოლის და პერსონალის ტრენინგი	3.01	საწყისი ტრენინგის პროგრამა შეიცავს გენდერულ პერსპექტივას, როგორც ძირითად საკითხს; იგი უტარდება როგორც ხელმძღვანელ პირებს, ისე წინა ხაზზე მომუშავე, ფორმიან თუ არაოპერატიულ პერსონალს				
	3.02	ტრენინგი ცალკე აქცენტს აკეთებს ქალებთან მუშაობაზე, კაცებთან მუშაობაზე და ტრანსგენდერ ადამიანებთან მუშაობაზე				
	3.03	პერსონალს უტარდება ტრენინგი სექსუალური და გენდერული ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების საკითხებზე				
	3.04	პერსონალს უტარდება ტრენინგი ტრავმაზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენების თაობაზე				
	3.05	პერსონალს უტარდება ტრენინგი პერსონალსა და პატიმრებს შორის დადებითი ურთიერთობების ჩამოყალიბების საკითხებზე				
	3.06	პერსონალს უტარდება ტრენინგი გენდერულად სენსიტიური ჩხრეკის პოლიტიკის საკითხებზე და ხელმძღვანელები უზრუნველყოფენ ამ პოლიტიკის შესრულებას				
	3.07	იმ შემთხვევაში, როდესაც დედასთან ერთად საპატიმროში იმყოფებიან მცირეწლოვანი ბავშვები, საჭიროა ტრენინგის ჩატარება ბავშვის განვითარების და ბავშვის საბაზისო ჯანდაცვის საკითხებზე				
	3.08	არსებული პერსონალი მონაწილეობას იღებს სპეციალურ ტრენინგში გენდერული კონცეფციის მეინსტრიმინგის საკითხებზე				
	3.09	ტრენინგი გენდერული პერსპექტივის ინტეგრირების შესახებ პერსონალის განვითარების განუყოფელი ნაწილია				
	3.10	ხელმძღვანელობა აქტიურად უწყობს ხელს ტრენინგის ჩატარებას და სამაგალითოა სხვებისთვის				
	3.11	რეგულარულად ხდება ქალად და კაცად იდენტიფიცირებული თანამშრომლების პროცენტული თანაფარდობის გადამოწმება				
	3.12	ციხის პოპულაციის ეთნიკური, კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნება ასახულია პერსონალში				
	3.13	ქალ თანამშრომლებს ზუსტად ისევე მიუწვდებათ ხელი თანამდებობებსა და საპასუხისმგებლო პოზიციებზე, როგორც მათ კაც კოლეგებს				
	3.14	სამუშაო პრაქტიკა უწყობს მზრუნველის როლის მქონე დაკავებულ პერსონალს დაბალანსოს პირადი და სამუშაო ვალდებულებები				

კომპო-ნენტი	#	საკითხი	დიახ/არა/ ნაწილ	რისი გაკეთება შეუძლია თქვენს ორგანიზაციას მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?	პასუხისმგებელი პირი	ვადები
სათანადო პატეგორიზაცია და განთავსება	4.01	საჭიროებებისა და რისკების შეფასება გენდერულად ინფორმირებულია და ადგილობრივი პოპულაციის გათვალისწინებით შემუშავდა				
	4.02	პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგი გენდერულად ინფორმირებული ინსტრუმენტების გამოყენებაზე და მათი გამოყენების მნიშვნელობასა და უპირატესობებზე				
	4.03	საბჭო რეგულარულად განიხილავს რისკისა და საჭიროებების შეფასების შედეგებს				
	4.04	ციხეში მიღებისას ხდება სპეციალური ყურადღების ან დახმარების საჭიროების მქონე პატიმრების იდენტიფიცირება და მათთვის შესაბამისი დახმარების გაწევა				
	4.05	პატიმრებს უწესდებათ მინიმალურად შემზღუდავი რეჟიმი				
	4.06	პატიმართა გენდერული საჭიროებები გათვალისწინებულია ციხეში ადგილების განაწილების დროს				
	4.07	ტრანსგენდერ პატიმრებს განანილებამდე ეკითხებიან ქალთა თუ კაცთა საპატიმრო დაწესებულებაში იგრძნობენ თავს უფრო დაცულად და შეძლებენ რეჟიმში მონაწილეობას				
	4.08	საცხოვრებელი ფართი შექმნილია იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას				
	4.09	ყველაფერია გაკეთებული განთავსების ადგილის ნორმალიზაციისათვის				
	4.10	ყველა ტრანსგენდერ ქალს და კაცს სრულად შეუძლია მონაწილეობის მღება დაწესებულების რეჟიმში დაცულობისა და დისკრიმინაციის შიშის გარეშე				
		ისინი ვინც ქალებსა და ბავშვებთან მუშაობენ				
	4.11	ცალკე და უსაფრთხო განთავსების ადგილი და სანიტარული პირობები უზრუნველყოფილია მარტოხელა ქალებისთვის და კაცები იქ არ დაიშვებიან				
	4.12	განთავსების ადგილებს ზედამხედველობას მხოლოდ ქალი პერსონალი უწევს				
	4.13	დაწესებულება (განთავსების ადგილი) აგებულია სპეციალურად ქალებისთვის და ისინი არ არიან განთავსებულნი რაიმე ფართში, რომელიც ან კაცთა დაწესებულების დანამატია ან გადაკეთებულია				
	4.14	ქალებს განათავსებენ მცირე ჯგუფებად, ისეთ სტრუქტურებში, რომელიც სპეციალურადაა დაპროექტებული ქალებისათვის და მათი უსაფრთხოების საკითხების გათვალისწინებით				
	4.15	წყალი რეგულარულად მიეწოდებათ და ხელმისაწვდომია, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავს და საჭმლის მომზადება ესაჭიროება, ან ორსულადაა, ან მეძუძურია, ან მენსტრუაცია აქვს				
	4.16	განთავსების ფართი მოიცავს სივრცეებს ბავშვებზე უსაფრთხოდ ზრუნვისათვის				
	4.17	ორსული ქალებისთვის, მეძუძური დედებისთვისა და ბავშვიანი ქალებისთვის შექმნილია სპეციალურად ადაპტირებული სივრცეები				

კომპო-ნენტი	#	საკითხი	დიახ/არა/ ნაწილ	რისი გაკეთება შეუძლია თქვენს ორგანიზაციას მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?	პასუხისმგებელი პირი	
ჯანსაღი ურთიერთობების ხელშეწყობა	5.01	ოჯახთან კომუნიკაციას უწყობენ ხელს, ისევე როგორც ვიზიტებს, სატელეფონო, ვიდეო, ელ. ფოსტის, წერილების და ნებისმიერი სხვა საკომუნიკაციო საშუალებების ჩათვლით				
	5.02	სივრცე ვიზიტებისთვის არის გათვლილი დადებითი გამოცდილების მიღებაზე, სადაც შესაძლებელია კონტაქტური ვიზიტები, განსაკუთრებით, ბავშვების ვიზიტების დროს				
	5.03	დაწესებულებაში ჩხრეკის მიღების პროცედურა არაა დამამცირებელი; მინიმუმ, ისეთია, როგორც პატიმრების შემთხვევაში და არ ტარდება სხეულის სიღრმისეული დათვალიერება				
	5.04	მეუღლესთან ვიზიტის შემთხვევაში ქალ პატიმარს ისევე მიუწვდება ხელი ასეთ ვიზიტზე, როგორ კაცს და არ ხდება დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის გამო				
	5.05	ვიზიტების აკრძალვა ან შეზღუდვა არასდროს გამოიყენება ცუდი ქცევის დასასჯელად				
	5.06	პატიმარს შეუძლია დაუყოვნებლივ აცნობოს ოჯახის წევრს ან სხვა საკონტაქტო პირს სხვა დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე				
		ისინი ვინც ქალებთან და გოგოებთან მუშაობენ				
	5.07	პერსონალი და ხელმძღვანელობა ინფორმირებულია დედობის და ბავშვის აღზრდის მნიშვნელობაზე და ხელს უწყობს კომუნიკაციას ძირითადად პირადი ვიზიტებით				
	5.08	ქალებს ყოველთვის ეკითხებიან ვის შეუძლია ეწვიოს მათ, ოჯახის წევრების ჩათვლით				
		ისინი ვინც კაცებთან და ბიჭებთან მუშაობენ				
	5.09	ხელმძღვანელობა და პერსონალი აცნობიერებს ბევრი კაცი აღქმას, რომ ისინი არიან ოჯახში შემომტანის და მისი დამცველის როლში და ხელს უწყობენ კაცების ოჯახთან კომუნიკაციას და თემის ცხოვრებაში მონაწილეობას				
	5.10	პროგრამები ფოკუსირებულია ბავშვის აღზრდისა და მამობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების შეძენაზე და ხელს უწყობს მამასა და შვილის ჯანსაღ ურთიერთობებს				

კომპო-ნენტი	#	საკითხი	დიახ/არა/ ნაწილ	რისი გაკეთება შეუძლია თქვენს ორგანიზაციას მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?	პასუხისმგებელი პირი	
სრულყოფილი ფიზიკური და მენტალური ჯანდაცვა	6.01	სპეციალიზებული სამედიცინო პერსონალი სრულად გადამზადებულია ამა თუ იმ კულტურისთვის მისაღები ზრუნვისა და მკურნალობის მისაწოდებლად				
	6.02	ტრავმაზე ორიენტირებული სამკურნალო პროგრამები, ფსიქოლოგიური ზრუნვა და კონსულტაციები უზრუნველყოფილია წარსულში ვიქტიმიზაციისა და ძალადობის, ფეხმძიმე და ბავშვიანი ქალების და მათი მრავალფეროვანი კულტურების სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით				
	6.03	შედგენილია და სრულდება გამაჯანსაღებელი და კულტურული აქტიურობის განრიგი, რაც სასარგებლოა პატიმრების მენტალური და ფიზიკური ჯანმრთელობისათვის				
	6.04	პროგრამები ნარკოტიკების მომხმარებლებისა და ქცევითი პრობლემების მქონე პატიმრებისთვის შემუშავებულია და მიწოდებულია სპეციფიურ გენდერზე გათვლით და ითვალისწინებს პატიმრის გავლილ გზას გენდერული პერსპექტივიდან, რამაც შესაძლოა, მიიყვანა ეს ადამიანები ამ მდგომარეობამდე				
	6.05	თუ ტანსაცმელს უზრუნველყოფს საპატიმრო დაწესებულება, ის შესაბამისია პატიმრის ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად და არაა დამამცირებელი				
	6.06	პატიმართა კონკრეტული კატეგორიები არ ექვემდებარებიან იზოლირებულ საკანში განთავსებას, მენტალური და ფიზიკური შეზღუდვების მქონე პატიმრების ჩათვლით, როდესაც მოსალოდნელია მათი მდგომარეობის გაუარესება; ასევე, არასრულწლოვნები ფეხმძიმედა , მეძუძური ქალები და ქალები ახალშობილებით				
	6.07	ტრანსგენდერ პატიმრებს ხელი მიუწვდებათ იგივე მკურნალობასა და სამედიცინო საშუალებებზე, რასაც იღებდნენ სქესის შეცვლის მიზნით ციხეში მოხვედრამდე				
		ისინი, ვინც მუშაობენ ქალებსა და გოგოებთან				
	6.08	ფეხმძიმე არასრულწლოვანი პატიმრები იღებენ მხარდაჭერას და სამედიცინო სერვისს, რაც ზრდასრული ადამიანებისთვის მიწოდებული ზრუნვის ადეკვატურია; ამასთან, მხედველობაში მიღებულია ასაკის გამო მათი ჯანმრთელობის გართულების მომეტებული რისკი ფეხმძიმობის პერიოდში				
	6.09	თერაპევტი ან საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანო ქალთა ჯანდაცვაში სპეციალიზაციით რეგულარულად ამოწმებს ჯანდაცვის ბლოკებს დაწესებულებაში და აძლევს რეკომენდაციებს ციხის დირექტორს				
	6.10	ციხის დირექტორი ნერგავს ჯანდაცვის მრჩევლის რეკომენდაციებს, ან უთანხმოების შემთხვევაში მიმართავს საკითხს ზემდგომ დონეებზე				
	6.11	შეკავების ინსტრუმენტები არასდროს არ გამოიყენება წინასამშობიარო, მშობიარობის ან მშობიარობის შემდგომ პერიოდში				
	6.12	კულტურისთვის მისაღები ჰიგიენური პროდუქტი უფასოდ მიეწოდება ქალებსა და გოგოებს				

კომპო-ნენტი	#	საკითხი	დიახ/არა/ ნაწილ	რისი გაკეთება შეუძლია თქვენს ორგანიზაციას მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?	პასუხისმგებელი პირი	
სრულყოფილი ფიზიკური და მენტალური ჯანდაცვა	6.13	დაკმაყოფილებულია ფეხმძიმე ან მეძუძური ქალებისა და დედების ჯანმრთელობისა და კვების საჭიროებები				
	6.14	ფეხმძიმე პატიმრებს უწევენ დახმარებას და აწვდიან ისეთ სამედიცინო დახმარებას, როგორსაც ისინი მიიღებდნენ მინიმუმ ადგილობრივად, თავის თემსა თუ საზოგადოებაში				
	6.15	არასრულწლოვან ქალ პატიმრებს ხელი მიუწვდებათ ასაკის და გენდერის შესაბამის პროგრამებზე და მომსახურებაზე, როგორიცაა ფსიქოლოგის კონსულტაცია, სექსუალური ან სხვა ფორმის ძალადობის საკითხებზე				
	6.16	არასრულწლოვანი ქალი პატიმრებისათვის ხელმისაწვდომია განათლება ქალის ჯანმრთელობის საკითხებზე და რეგულარულად მიუწვდებათ ხელი გინეკოლოგის მომსახურებაზე				
	6.17	ბავშვზე ზრუნვის სპეციალისტების მომსახურება, სპეციალური ჯანდაცვის სპეციალისტების ჩათვლით, შეთავაზებულია ბავშვებისთვის, რომლებიც მშობლებთან ერთად იმყოფებიან საპატიმრო დაწესებულებაში				

კომპო-ნენტი	#	საკითხი	დიახ/არა/ ნაწილ	რისი გაკეთება შეუძლია თქვენს ორგანიზაციას მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?	პასუხისმგებელი პირი	
განვითარების შესაძლებლობის თანასწორობა	7.01	პროფესიული პროგრამები შეირჩევა საერთო საბაზრო მოთხოვნებისა და ტენდენციების გათვალისწინებით, და ეს პროგრამები გახსნილი უნდა იყოს თანაბრად ქალებისა და კაცებისთვის				
		ისინი, ვინც ქალებთან და გოგოებთან მუშაობენ				
	7.02	ქალ პატიმრებს (არასრულწლოვანთა ჩათვლით) იგივე ასაკის კაცების მსგავსად და მათთან თანაბრად მიუწვდებათ ხელი განათლებასა და პროფესიულ სწავლებაზე				
	7.03	პროგრამები ხელმისაწვდომია ქალებისთვის, რაც ქალებს ფინანსური დამოუკიდებლობის და სტაბილური ცხოვრების უზრუნველყოფის საშუალებას მისცემს; ისინი, ფოკუსირებული უნდა იყოს უნარ-ჩვევების შეძენაზე				
	7.04	პატიმრებს სთავაზობენ ფართო სპექტრის პროფესიული უნარ-ჩვევების სწავლებას, რომელიც სცდება საზოგადოებაში დამკვიდრებულ ტრადიციულ როლებსა და გენდერულ სტერეოტიპებს				
	7.05	განათლება წარმოადგენს სხვადასხვა ვარიანტების დაბალანსებულ და სრულყოფილ ნაკრებს და მორგებულია ქალებისა და გოგოების გენდერულ საჭიროებებზე				
	7.06	პროგრამები საკმაოდ მოქნილია და პასუხობს ორსული ქალების, მეძუძური დედების, ბავშვიანი ქალების და ფსიქოლოგიური დახმარების საჭიროების მქონე ქალების ინტერესებს და საჭიროებებს				
	7.07	ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებები და სხვა საკითხები ორგანიზებულია ისე, რომ დედებს ეძლევათ ციხის აქტივობებში მონაწილეობის საშუალება				
	7.08	პერსონალს შეუძლია საბავშვო დაწესებულებების საკუთარი შვილებისთვის გამოყენება				

კომპო-ნენტი	#	საკითხი	დიახ/არა/ ნაწილ	რისი გაკეთება შეუძლია თქვენს ორგანიზაციას მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?	პასუხისმგებელი პირი	
საზოგადოებასთან თანამშრომლობა	8.01	ჰოლისტური, კულტურულად მგრძნობიარე გეგმები ინდივიდუალურად შემუშავდება და ითვალისწინებს ამ პროცესით გამოწვეულ შესაძლო სირთულეებს, განსაკუთრებით სტიგმის, ოჯახისგან გარიყვის და შვილებთან ურთიერთობის აღდგენის ჩათვლით; ყველა ეს სირთულე ქალებისთვისაა დამახასიათებელი				
	8.02	სასჯელის მოხდის პერიოდში ციხის პერსონალი ეხმარება პატიმრებს ინდივიდუალური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაში გათავისუფლების შემდგომი მომსახურების მიმწოდებლებთან				
	8.03	ციხე თანამშრომლობს ადგილობრივ უნივერსიტეტებთან და ექსპერტებთან მათი პოპულაციის ფაქტებზე დაფუძნებული პოლიტიკისთვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავების მიზნით				
	8.04	ციხე თანამშრომლობს ექსპერტთა ჯგუფებთან, რომლების ბავშვის აღზრდის უნარ-ჩვევების საკითხებზე სემინარებს ატარებენ				
		ისინი, ვინც ქალებსა და გოგოებთან მუშაობენ				
	8.05	დაწესებულება თანამშრომლობს საზოგადოების ჯგუფებთან, რომლებიც დაეხმარებიან ქალებსა და გოგოებს საკუთარ საჭიროებებში უკეთ გარკვევაში				
	8.06	დაწესებულება თანამშრომლობს საზოგადოების ჯგუფებთან, რათა ქალები და გოგოები პრო-აქტიურად მოემზადონ საზოგადოებაში დასაბრუნებლად				
	8.07	დაწესებულება თანამშრომლობს საზოგადოების ჯგუფებთან, რათა ძალადობისგან გადარჩენილ ქალებსა და გოგოებს, მათთვის საჭირო დახმარება შესთავაზონ				
		ისინი, ვინც კაცებსა და ბიჭებთან მუშაობენ				
	8.08	ციხე თანამშრომლობს ექსპერტთა ჯგუფებთან, რომლებიც სხვადასხვა აქტივობებს ატარებენ სექსუალური და გენდერული ძალადობის და პრო-სოციალური მასკულინიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით				

კომპო-ნენტი	#	საკითხი	დიახ/არა/ ნაწილ	რისი გაკეთება შეუძლია თქვენს ორგანიზაციას მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?	პასუხისმგებელი პირი	ვადები
ზედამხედველობა და შეფასება	9.01	შიდა ზედამხედველობის გუნდი ან დეპარტამენტი მონიტორინგს უწევს რეგულარულ გენდერული ნიშნით სეგრეგირებულ მონაცემებს				
	9.02	დაწესებულების ხელმძღვანელობა რეგულარულად განიხილავს მონიტორინგის მონაცემებს და მოქმედებს მიზანშეწონილობის მიხედვით				
	9.03	შიდა ზედამხედველობის გუნდი ან დეპარტამენტი რეგულარულად აფასებს დაწესებულებას გენდერული რეაგირებისთვის საჭირო სტანდარტების შესრულებაზე და გასცემს რეკომენდაციებს მათი გაუმჯობესების თაობაზე				
	9.04	დაწესებულება ხელს უწყობს დამოუკიდებელი მონიტორინგისა და ინსპექტირების ორგანიზაციებს და უზრუნველყოფს მათ დაშვებას				
	9.05	ციხის დირექტორი ითვალისწინებს გარე მონიტორინგისა და ინსპექტირების ორგანიზაციებს; უთანხმოების შემთხვევაში საკითხი მიემართება ზემდგომ დონეებზე				
	9.06	გარე პარტნიორებისა და მონიტორინგის განმახორციელებლების კომენტარები და შეფასება მიუთითებს იმაზე, რომ ისინი დაუშვეს შესაბამს ზონებში, არიან უსაფრთხოდ და შეუძლიათ საკუთარი ფუნქციების ეფექტიანად განხორციელება				
		ისინი, ვინც ქალებსა და გოგოებთან მუშაობენ				
	9.07	შიდა თუ გარე შეფასების ჯგუფებში საკმაო რაოდენობის წევრი ქალია და ქალ პატიმრებს ექსკლუზიურად ესაუბრებიან ასეთი ჯგუფების ქალი-წევრები				

6. დამატებითი რესურსები

სახელმძღვანელოები და გზამკვლევები

Association for the Prevention of Torture (2018) Towards the Effective Protection of LGBTI Persons Deprived of Liberty: A Monitoring Guide, Geneva: APT.

Association for the Prevention of Torture and Penal Reform International (2015) “Women in detention: A guide to gender-sensitive monitoring”, Geneva and London: APT and PRI.

DCAF, OSCE/ODIHR, OSCE (2014) “Guidance note on integrating gender into internal police oversight”, Geneva: DCAF, OSCE/ODIHR, OSCE.

DCAF, OSCE/ODIHR, OSCE (2014) “Guidance note on integrating a gender perspective into oversight of the security sector by ombuds institutions and national human rights institutions”, Geneva: DCAF, OSCE/ODIHR, OSCE.

Institute for Criminal Policy Research (2018) A Human Rights Approach to Prison Management: Handbook for Prison Staff, 3rd edn, London: ICPR.

OSCE/ODIHR (2019) Preventing and Addressing Sexual and Gender Based Violence in Places of Deprivation of Liberty: Standards, Approaches and Examples from the OSCE Region, Warsaw: OSCE/ODIHR.

OSCE/ODIHR and Convention against Torture Initiative (2018) “Providing rehabilitation to victims of torture and other ill-treatment – A practical tool”, Warsaw and Geneva: OSCE/ODIHR and CTI.

OSCE/ODIHR and Penal Reform International (2018) Guidance Document on the Nelson Mandela Rules, Warsaw and London: OSCE/ODIHR and PRI.

Penal Reform International (2013) “UN Bangkok Rules on women offenders and prisoners: A short guide”, London: PRI.

Penal Reform International (2017) “Workbook on women in detention: Putting the UN Bangkok Rules on women prisoners into practice”, London: PRI.

UN Women, UNFPA, WHO, UNDP and UNODC (2015) “Module 3: Justice and policing”, in Essential Service Package for Women and Girls Subjected to Violence, New York: UN Women.

UN Women (2018) Practitioner’s Toolkit on Women’s Access to Justice Programming, New York: UN Women.

UNODC (2008) Handbook for Prison Managers and Policymakers on Women and Imprisonment, Vienna: UNODC.

ფოტო: კოიოტ რიჯის სასჯელაღსრულების ცენტრის პატიმრები მუშაობენ აბზინდას (არტემიზია) მოყვანაზე, 2015. აბზინდას პროგრამა ერთადერთი სამუშაოა, რომელსაც პატიმრები ასრულებენ გარეთ და მოჰყავთ ცოცხალი არსება. ბევრი პატიმარი აღწერს ამ სამუშაოს, როგორც მათი რეაბილიტაციისთვის სასარგებლოს და სტრესული და დაძაბული გარემოს დაღწევის საშუალებად. © BLM/Jeff Clark (ჯეფ კლაკრი)

UNODC (2014) Handbook on Women and Imprisonment, Vienna: UNODC.

UNOPS (2016) Technical Guidance for Prison Planning. Technical and Operational Considerations Based on the Nelson Mandela Rules, Copenhagen: UNOPS.

სტატიები და ანგარიშები

OSCE (2017) “Briefing paper: Use of tools of torture in OSCE participating States”, Manchester: Omega Research Foundation.

OSCE/ODIHR and Association for the Prevention of Torture (2016) “2016 annual meeting of NPMs from the OSCE region”, outcome report, Warsaw: OSCE/ODIHR and APT.

OSCE/ODIHR and Convention against Torture Initiative (2016) “Workshop on rehabilitation for victims of torture – Outcome report on discussion and recommendations”, Warsaw: OSCE/ODIHR and CTI.

Penal Reform International and Institutions Publiques de Protection de la Jeunesse (2014) “Neglected needs: Girls in the criminal justice system”, briefing paper, London: PRI and IPPJ.

DCAF Geneva Centre for Security Sector Governance

OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights ODIHR

UN WOMEN